# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№258 (12 633) 3 ნოემბერი ორშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენმა ძიუდოისტებმა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი მოიგეს

»»» 13



## ჰემილტონის ფორმულა

F1 Formula 1

»»» 16



## სანახაობა... ცარიელი ტრიბუნებისთვის



## საქართველოში არაფერი შეცვლილა

»»» 2-4

## ჩემპიონები!





## ქართული წილი ყაზანურ ოქროში

»»» 5

## ფეხბედნიერი

კალაძის დაბრუნება მილანის გალიდერებას დაემთხვა





ჰოფენჰაიმი ისევ მიაჭენებს

ევროთაიმი

»»» 6-10

# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა IX ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სანახაობა... ცარიელი ტრიბუნებისთვის

01.11. თბილისი. ეროვნული
150 მაყურებელი

**დინამო-ვიტ ჯორჯია 2:2**

0:1 კვარაცხელია (11. ლიპარტიას პასით), 0:2 რაზმაძე (14-პენ), 1:2 ოდიკაძე (17-პენ), 2:2 ვანაძე (67. ოდიკაძის პასით)

დინამო: ოვონო - თომაშვილი (46. შ. კაშია), ინწკირველი (46. ხმალაძე), გ. კაშია, ელიავა - ოდიკაძე, დილმელაშვილი, ნერგაძე, გველესიანი (82. სპასოევიჩი) - გ. მერებაშვილი, ვანაძე.

*სათადარიგოები:* ლორია, ფირცხალავა, ნ. ჯიშკარიანი, ჯიუსი

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ხურცილავა, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე - ბეჟვაია, რაზმაძე, გ. ჯანელიძე (53. კვალინიძე), კლიმიაშვილი - ვ. კვარაცხელია (79. ბერიაშვილი), ლიპარტია (90. ყველაშვილი).

*სათადარიგოები:* ა. მიქაბერიძე, ვასაძე, მაისაშვილი, ი. სვანიძე

გაფრთხილება: ბედიაშვილი (16), ნერგაძე (21), ხურცილავა (27), ხმალაძე (83)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

შაბათს მართლაც სანახაობა ვიხილეთ - მეოცე ჩემპიონატის უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი! ეს იყო ორი თანაბარი გუნდის შთამბეჭდავი ასპარეზობა: მწვრთნელების ტაქტიკური დუელით, ფეხბურთელების ინდივიდუალური ოსტატობითა და შეცდომებით, პენალტებით, მეკარეების დამაჯერებელი თამაშით და ასე შემდეგ. მოკლედ, ყველაფერი ვნახეთ, ფეხბურთს რაც ამშვენებს; თანაც, ორივე გუნდი ქებას იმითაც იმსახურებს, რომ ეს დაძაბული და უკომპრომისო შეხვედრა უხეშობის ფონზე არ წარმართულა. მჭიდრო პრესინგი, აგრესიული და ხისტი თამაში, მოვლენების კალეიდოსკოპური ცვლილებები - და ეს ყველაფერი... ფაქტობრივად, ცარიელი ტრიბუნების წინ ხდებოდა...

..."დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" ბოლოდროინდელ მატჩებს მუდამ განსაკუთრებული ხიბლი ახლავს და გამონაკლისი არც ეს მატჩი გამოდგა. თუმცა, სანამ უშუალოდ შეხვედრის პერიპეტიებზე ვისაუბრებდეთ, ორივე გუნდის საკადრო პრობლემებიც უნდა ვახსენოთ. მასპინძლებს ავადმყოფობის გამო **მილოშ კრშკო** გამოაკლდათ; არადა, თუ რას ნიშნავს სლოვაკი მცველი მოქმედი ჩემპიონისთვის, ამ შეხვედრაშიც ნათლად დადასტურდა - სტუმრებმა ორივე გოლი „დინამოს" ცენტრალური მცველების შეცდომების შემდეგ გაიტანეს. არანაკლები დანაკლისი ჰქონდათ „ვეტერინარებსაც" - **გიორგი დათუნაიშვილი** ტრავმის, ხოლო **გიორგი მელქაძე** დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდნენ შეხვედრას. ისე, „ვიტ ჯორჯიას" თავკაცს **რამაზ მუმლაძეს** ხშირად მიულია თამამი გადაწყვეტილებები და ახლაც, უპრინციპულეს მეტოქესთან მატჩში ძირითადში ანდო ადგილი ახალგაზრდა ფეხბურთელებს - **დავით ხურცილავას** და **გიორგი ჯანელიძეს**.

...მატჩის დასაწყისი მოულოდნელზე მეტი აღმოჩნდა - სტუმრებმა შეტევების „შტორმი" დაატეხეს მეტოქეს და ზედიზედ ორჯერ მშვენიერი მომენტიც შექმნეს. ორივეჯერ **ირაკლი კლიმიაშვილი** აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში - „ვიტ ჯორჯიას" მარცხენა ნახევარმცველმა შორეული დარტყმებით სცადა გოლის გატანა. პირველ ეპიზოდში **დიდიე ოვონომ** იყოჩაღა, მეორეჯერ კი ბურთი მცირე მანძილით ასცდა მასპინძელთა კარს. თუმცა პირველი მალე ვიხილეთ: **ჯაბა ლიპარტიამ** „სტანდარტულიდან" ბურთი „დინამოს" საჯარიმოში ჩაჰკიდა, იქ კი **ვახტანგ კვარაცხელიამ** ჩინებულად ისარგებლა მასპინძელთა მცველების პოზიციური შეცდომით და თავური დარტყმით ანგარიში გახსნა.

რამდენიმე წამში (!) კი უკვე „დინამოს" უნდა გაეტანა - **ოლეგ გველესიანმა** მარცხენა ფლანგზე ჩაიქროლა და უალრესად სახიფათო გამჭოლი გადაცემაც გააკეთა, მაგრამ სტუმრები **ლაშა ჯაფარიძემ** გადაარჩინა. ორიოდ წუთში კი ისევ სტუმრებმა შეუტიეს მწვავედ და ლიპარტიას აქტიურობას „დინამოს" კარში დანიშნული პენალტიც მოჰყვა. დიდიე ოვონომ დარტყმის კუთხე კი გამოიცნო, მაგრამ **ლუკა რაზმაძეს** მაინც ვერ აჯობა და მატჩის მე-14 წუთისთვის „ვიტ ჯორჯია" უკვე ორბურთიან უპირატესობას ფლობდა. თანაც, ნამეტნავად თვალშისაცემი გახლდათ „დინამოს" მცველთა შეცდომები და ალბათ ამის გამოც იყო, რომ მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე **რაინერ ცობელი** წამდაუწუმ კრშკოს არყოფნას უსვამდა ხაზს. თუმცა ისევ შეხვედრას დავუბრუნდეთ და ისიც ვთქვათ, რომ „დინამომ" მალე შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა, თორემ, მერე როგორ განვითარდებოდა მოვლენები, არავინ იცის. ყველაფერი კი **გიორგი მერებაშვილის** აქტიურობით დაიწყო, ვისი დარტყმული ბურთიც მეტოქის კარის ძელს მოხვდა; თუმცა მომენტი ამით არ დასრულებულა - **მათე ვაწაძესთან** ბრძოლაში **გრიგოლ ბედიაშვილმა** წესები დაარღვია და შეხვედრაში მეორე პენალტიც დაინიშნა! დინამოელთა კაპიტანმა **დავით ოდიკაძემ** დარტყმა უნაკლოდ შეასრულა და ამით საკუთარ გუნდს ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოუტანა. ჰო, ამის მერე, დაახლოებით ათწუთიანი მონაკვეთი უკვე მასპინძელთა დომინირებით აღინიშნა. ისევ მერებაშვილი-ვაწაძის ეფექტური კომბინაცია და ახალგაზრდა ცენტრფორვარდმა სტუმართა მეკარეს ოსტატურად რომ გადაუგდო თავზე ბურთი, ყველას გოლი გვეგონა. თუმცა, „ვიტ ჯორჯიას" მშველელად ისევ... ძელი მოევლინა! ეგ კიდევ არაფერი - მერებაშვილის კუთხურს **გიორგი ნერგაძის** თავური დარტყმა რომ მოჰყვა, ბურთი ამ ჯერზეც ძელს მოხვდა! ამას გარდა, პირველ ტაიმში „დინამოს" სამი ჩინებული მომენტიც ჰქონდა: მერე კი რამდენიმეწამიან ინტერვალში ბედიაშვილმა ზედიზედ აჯობა მერებაშვილსა და **გურამ კაშიას**. ისე, მერებაშვილის მომენტი, ერთობ სასეირო გახლდათ: „დინამოს" შემტევი ეფექტური დრიბლინგით, „დიაგონალზე" სამ-ოთხ მეურვეს კოხტად გასცდა და ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ ბედიაშვილმა ჩინებული რეაქცია გამოამჟღავნა. არანაკლებ ქებას იმსახურებს „დინამოს" მეკარეც: ჯაბა ლიპარტია, ფაქტობრივად, პირისპირ დარჩა დიდიე ოვონოსთან, მაგრამ ვერ აჯობა. ამ ეპიზოდში უმთავრესი კი ირაკლი კლიმიაშვილის მართლაც დიდოსტატური პასი იყო - ენერგიულმა ნახევარმცველმა „მოჭრილი" გადაცემით „დინამოს" მცველები უსაქმოდ დატოვა.

მოკლედ, პირველი ტაიმი ზღაპრული გამოდგა; ერთადერთი ხინჯი, ისევ და ისევ, ფაქტობრივად, ცარიელი ტრიბუნები იყო...

მეორე ტაიმი „დინამომ" ერთდროულად ორი ცვლილებით დაიწყო; თანაც, ცობელი ექსპერიმენტებსაც არ მორიდებია: „საყრდენი" გიორგი ნერგაძე... მარჯვენა მცველად გადაიყვანა, **შოთა კაშია** საკუთარ ძმას შეუწყვილა დაცვის ცენტრში, ხოლო **ლევან ხმალაძე** ჩვეულ ადგილზე გაამწესა. თუმცა პირველი ხიფათი ისევ სტუმრებმა შექმნეს: დაუღალავი ლიპარტია ამჯერად უკვე მარცხნიდან უტევდა და... „ვეტერინარები" პენალტს ითხოვდნენ! თუმცა შეხვედრის არბიტრი სხვა აზრზე იყო და თამაშიც გაგრძელდა. მალე ისევ ოვონოს ჯერი დადგა - ახალგაზრდა ვახტანგ კვარაცხელია მახვილი კუთხიდან ძლიერი დარტყმით გზავნიდა ბურთს მასპინძელთა კარისკენ, მაგრამ „დინამოს" მეკარემ საიმედოდ ითამაშა. ოვონომ მატჩის ბოლომდე შეინარჩუნა სიმშვიდე და ჯერ **გიორგი ბეჟვაიას** არ დაანება გოლის გატანა, მერე კი - ირაკლი კლიმიაშვილს. თუმცა, მანამდე ანგარიში უკვე საყაიმო იყო - დავით ოდიკაძემ ჩვეული ოსტატობით, როგორც იტყვიან, ბურთი თავზე დაასვა მათე ვაწაძეს და ამ უკანასკნელმაც ყველაფერი ზუსტად შეასრულა. მართლაც „გიჟურ" პირველ ტაიმთან შედარებით, შეხვედრის მეორე ნახევარში თამაშის ტემპი ოდნავ დაეცა, მაგრამ ვერავინ იტყოდა, რომ უინტერესო სანახაობა იყო. ყველაზე მთავარი კი სხვა რამ გახლდათ: მატჩის ბოლო თუ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზეც ორივე გუნდი ანგარიშის შენარჩუნებაზე კი არა, შეტევაზე ფიქრობდა!..

### მატჩის შემდეგ

**რამაზ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია):** „ყველა დამეთანხმებით, რომ სანახაობრივი თამაში ვიხილეთ. ჩინებულად დავიწყეთ, მაგრამ მერე შეცდომები დავუშვით და დასანანი გოლებიც გავუშვით. მოგებაც შეგვეძლო - თუნდაც ლიპარტიას მომენტი რად ღირდა. ამ ყველაფრის მიუხედავად, ერთი ქულით უკმაყოფილო არ ვარ და მიმაჩნია, რომ დღეს ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა".

**რაინერ ცობელი (დინამო):** „კოლეგას დავეთანხმები - ობიექტურად, ფრე მართლაც ლოგიკურად მიმაჩნია. მომენტები სტუმრებსაც ჰქონდათ და ჩვენც; იღბალი რომ გვქონოდა, ჩვენც შეგვეძლო გაგვემარჯვა - ბურთი ორჯერ ძელს მოხვდა. სამწუხაროდ, კრშკოს არყოფნამ ნამეტნავად უარყოფითად იმოქმედა: თამაში, ფაქტობრივად: 0:2-ით დავიწყეთ! საბედნიეროდ, მალე ყველაფერი გამოვასწორეთ და ჩემს ბიჭებს მადლობა ეკუთვნით თავდადებული თამაშისთვის".

**გია ტუხაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 8 | 6 | 0 | 2 | 13-4 | 18 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 2 | 1 | 10-5 | 17 |
| 3. ზესტაფონი | 8 | 4 | 2 | 2 | 8-4 | 14 |
| 4. დინამო | 8 | 4 | 1 | 3 | 14-1 | 13 |
| 5. მგლები | 8 | 4 | 0 | 4 | 10-8 | 12 |
| 6. სიონი | 8 | 3 | 3 | 2 | 9-4 | 12 |
| 7. ბორჯომი | 9 | 2 | 4 | 3 | 10-14 | 10 |
| 8. მესხეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 7-9 | 9 |
| 9. გაგრა | 9 | 2 | 2 | 5 | 7-14 | 8 |
| 10. ოლიმპი | 8 | 1 | 5 | 2 | 5-7 | 8 |
| 11. სპარტაკი | 8 | 1 | 0 | 7 | 5-17 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვაწაძე (დინამო) | 6 |
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 5 |
| გ. თოდუა (მგლები) | 5 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 5 |
| კოშკაძე (სიონი) | 4 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 4 |
| ლომია (მგლები) | 3 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 3 |

### X ტური

**7 ნოემბერი, პარასკევი**

14:00 ლოკომოტივი-ოლიმპი
14:00 სიონი-ვიტ ჯორჯია
14:00 სპარტაკი-ზესტაფონი
14:00 მგლები-დინამო

**8 ნოემბერი, შაბათი**

14:00 გაგრა-მესხეთი

*ბორჯომი ისვენებს*

02.11. თბილისი. მ. მესხი
180 მაყურებელი

**ლოკომოტივი-სიონი 0:1**

0:1 კოშკაძე (49)

ლოკომოტივი: გ. ლომაია - ფოფხაძე, კაიშაური, ფარულავა (67. დ. ჩაგელიშვილი), კახელიშვილი - სამხარაძე, ცქიტიშვილი, ზ. ჩხეტიანი (59. მახარაძე), ჩირიკაშვილი (55. ი. გილაური) - დარასელია - ალექსიძე.

*სათადარიგოები:* ბათიაშვილი, ბებუა, ლ. გრიგალაშვილი, სარალიძე

სიონი: ბობლიაშვილი - ქემოკლიძე, სვანიძე, შავგულიძე, ხუბუა - სანიკიძე, ზ. ჭელიძე, დიდავა, ა. ალავიძე (87. ჯიქია) - კოშკაძე (76. ბაჯელიძე) - შენგელია (64. რ. გოცირიძე).

*სათადარიგოები:* ქვაჩახია, ჩივაძე, იაშვილი, დავითაშვილი

გაფრთხილება: დარასელია (7), ზ. ჩხეტიანი (39), სვანიძე (40), მახარაძე (66), ალავიძე (70), ქემოკლიძე (86)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

# ძალთა ბალანსი

„ლოკომოტივი" ისევ ლიდერად რჩება, თუმც **კიკნაძე-ზამთარაძის** გუნდის ბოლო ორი საშინაო მატჩით თუ ვიმსჯელებთ, პირველადგილოსანს თითქოს ნიათი შემოაკლდა. გუშინ უილაჯოდ ირჯებოდა „ლოკომოტივი", თითქოს თამაში ეზარებოდა, ფეხბურთელები მინდორზე დაიზლაზნებოდნენ და რა გასაკვირია, რომ წააგეს.

ბოლნისის „სიონმა" სტუმრად მესამე გამარჯვება მოიპოვა, შინ კი ერთხელაც არ მოუგია. ცოტა არ იყოს, უცნაური გუნდია ეს „სიონი", ისეთი ფორვარდები ჰყავს, ბევრი გუნდი ინატრებდა, მაგრამ საგოლე მომენტების რეალიზაციაში კი მოიკოჭლებს. **სანდრო იაშვილი და სულიკო დავითაშვილი** სათადარიგოთა სკამზე ჯდომას შეაჩვია სიონელთა დამრიგებელმა **ოთარ კორღალიძემ**. მწვრთნელმა თავისი გუნდის საქმე სხვაზე უკეთ იცის, თუმც მაინც უცნაურია...

კორღალიძის გუნდმა გუშინ ლიდერს მოუგო და „სიონის" მწვრთნელზე სამდურავი ვინ უნდა თქვას? ეს არ იყო შემთხვევითი გამარჯვება. რაც მოედანზე ხდებოდა, ანგარიშიც იმავეს ასახავს. „ლოკომოტივი" გუნდს არ ჰგავდა და უნდა წაეგო, „სიონმა" კი სული და გული ჩადო თამაშში.

ბოლნისელთა გუნდს პოლიტიკოსი, ხელისუფლების ერთ-ერთი თვალსაჩინო სახე, ქვემო ქართლის გუბერნატორი **დავით კირკიტაძე** ქომაგობდა. ის თავის დროზე „ზოოვეტის" ფეხბურთელი იყო და, ალბათ, ზოოვეტური გამოცდილება უფლებას აძლევდა, კარნახითაც გაემხნევებინა სიონელები. როგორც უნდა იყოს, კარგია, რომ „სიონს" პატრონი ჰყავს, თანაც ისეთი, ფეხბურთი რომ უყვარს.

„სიონი" პირველად **არჩილ ალავიძის** შორეული ჯარიმით დაემუქრა „ლოკომოტივს" - **გიორგი ლომაიამ** ბურთი ხელებში მოიგდო. აქედან ცოტა ხანში ალავიძემ **ირაკლი შენგელიას** ისე გაუჭრა პასი, რომ ლომაიასთან პირისპირ გაიყვანა - საქართველოს ნაკრების მეკარემ კუთხურზე მოიგერია ბურთი. ერთი სიტყვით, ტერიტორიული თუ სათამაშო უპირატესობა ბოლნისელთა მხარეს იყო და პირველ ტაიმში კიდევ ერთი საგოლე შანსი გააფუჭა - **ალექსანდრე კოშკაძემ ზაზა ჭელიძე** შეატოვა ლომაიას, მეკარე დროულად გამოვიდა კარიდან, მიუხვდა ჩანაფიქრს ჭელიძეს და ხელით ბურთიც ააცალა, მაგრამ... „ლომა" ამ მომენტში საჯარიმო მოედნის გარეთ იყო გამოსული, ასე ჩანდა ტრიბუნიდან - ასეთ დროს კი ჯარიმა ინიშნება და მეკარე წითელი ბარათით ისჯება „ბოლო იმედის" ჯარიმისთვის. სასურველია, რომ ჩვენ ვცდებოდეთ და არა მატჩის არბიტრი **ლევან კვარაცხელია**. ასეთი შეცდომა ხომ ზოგადად ძალიან დიდ გავლენას ახდენს მატჩის შედეგზე.

» 3

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo34@mail.ru*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ძალთა ბალანსი

« 2

„სიონის“ ორი საგოლე მომენტი და „ლოკომოტივის“ არც ერთი სახიფათო შეტევა - ასეთი იყო ბალანსი პირველი ტაიმის შემდეგ. ვერ გეტყვით, შეუფუცხუნეს თუ არა „ლოკომოტივის“ მწვრთნელებმა ფეხბურთელებს, მაგრამ მეორე ტაიმში ამ გუნდის თამაშში ბევრი არაფერი შეცვლილა, „სიონი“ კი პირველ ნახევართან შედარებით კიდევ უფრო მიზანმიმართული იყო.

გოლი ასე გავიდა: შენგელია კარგად გაიჭრა მარცხენა ფლანგზე და კარგადაც ჩააწოდა, ცენტრფორვარდის პოზიცია ალეკო კოშკაძემ შეავსო, დასწრებაზე ორ ლოკომოტიველ მცველს აჯობა და ახლოდან ზუსტად დაარტყა. აღსანიშნავია კოშკაძის სწორი ტაქტიკური მოქმედება - ცენტრფორვარდი შენგელია მარცხნივ რომ გადაიწია, მისი მაგივრობა საჯარიმო მოედანში მან გასწია. თითქოს ელემენტარული სიტუაციაა, მაგრამ ამას შეძლება და აზროვნება სჭირდება...

„ლოკომოტივი“ ამანაც ვერ გაახელა, ვერ გაბრაზდა, ჟინი არ მოემატა, „სიონი“ კი დაცვაში არ „ჩაჯდა“ და კიდევ შეეცადა გოლის გატანას. კორძალიძემ შენგელია გამოცდილი რევაზ გოცირიძით შეცვალა, რომელიც კარგად ჩაერთო თამაშში. ბურთს პირველად რომ შეეხო, მახვილი კუთხიდან ლომაიასთან ინახით დარჩა, დარტყმას პასი არჩია, კარგად დაუგორა კოშკაძეს, რომელმაც ამჯერად უზუსტოდ დაარტყა.

დრო „სიონის“სასარგებლოდ მუშაობდა, „ლოკომოტივი“ კი ღირებულს ვერაფერს ქმნიდა, სტუმრებიც თავქუდმოგლეჯით არ მიდიოდნენ შეტევაში. ხიფათი ისევ ბოლნისელებმა შექმნეს: ჯერ ალავიძე მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში და ლომაიამ ბურთი ხელებში გააქვავა, მერე გოცირიძემ ისე გაუკეთა პასი ჭელიძეს - სიონელთა შუახაზელი, ფაქტობრივად, მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ დააყოვნა და თან სუსტად დაარტყა.

მატჩის მიწურულს ცოტა კი გააქტიურდა „ლოკომოტივი“ და ანგარიშის გათანაბრების შანსიც ჰქონდა - **დავით ჩაგელიშვილის** დარტყმული კარიდან **გელა ხუბუამ** გამოიტანა, ეგ იყო და ეგ. „ლოკოს“ ძალიან ეტყობა დაცვის ბურჯის, **ნიკა გუშარაშვილის** არყოფნა (30 სექტემბერს დაშავდა, „ვიტ ჯორჯიასთან“ მეოთხე ტურში), თუმც ეს ვერ გამოდგება იმის მიზეზად, რომ ბოლო რამდენიმე შეხვედრაში გუნდი ულაზათოდ თამაშობს.

**მატჩის შემდეგ**

**ოთარ კორძალიძე (სიონი):** „მეტოქე მაქსიმალურად კარგად გვყავდა შესწავლილი. „ლოკომოტივის“ ზოგიერთ ფეხბურთელთან ადრე მიმუშავია კიდეც და მათი ძლიერი და სუსტი მხარეები ძალიან კარგად ვიცი. ჩემმა ფეხბურთელებმა დასახულ ამოცანას კარგად გაართვეს თავი. სამი საგოლე მომენტი გვქონდა, იღბალიც ჩვენს მხარეს იყო და მეტოქეზე უკეთაც ვითამაშეთ. რაც შეეხება საგოლე მომენტების რეალიზაციას, თავდამსხმელები კი გვყავს, მაგრამ ზოგი გვიან შემოგვიერთდა, ზოგიც ვერ შეეწყო გუნდს... მოკლედ, პირველი წრის შემდეგ ვაპირებთ ფორვარდის დამატებას. სეზონის წინ კონკრეტული მიზანი არ დაგვისახავს, უბრალოდ, რაც შეიძლება მეტს უნდა მივაღწიოთ“.

**გიორგი კიკნაძე (ლოკომოტივი):** „ნამდვილად არ იყო ჩვენი დღე. მეორე ტაიმის ბოლოს ცოტა მოვუმატეთ თამაშს. დაცვაში პრობლემები გვაქვს, ტრავმის გამო გვაკლია გუშარაშვილი, ლევან სარალიძეც არ იყო ჯანზე და ვერ ვათამაშეთ. საერთო ჯამში უკმაყოფილო ვარ, აუცილებლად იქნება ცვლილებები შემადგენლობაში, დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. ერთი ისაა კარგი, რომ კვლავ პირველ ადგილზე ვრჩებით. ჩემპიონობის შანსი რამდენიმე გუნდს აქვს და ტურიდან ტურამდე სულ იმის ცდაში უნდა ვიყოთ, დაკარგული ქულები რომ ავინაზღაუროთ. რაც შეეხება შემადგენლობის დაბალანსებას, იყო თამაშები, როცა გამოცდილებიც და ახალგაზრდებიც კარგად გამოიყურებოდნენ. მათ ერთმანეთი უნდა შეავსონ, დროთა განმავლობაში ეს დაბალანსდება“.

დავით თავართქილაძე

---

02.11. რუსთავი. ფოლადი.
400 მაყურებელი

**ოლიმპი-სპარტაკი**

**1:0**

1:0 სეთურიძე (3)

ოლიმპი: მერლანი - თ. ღონღაძე, მაჭავარიანი, გ. ონიანი, აკუსაგა - გ. სეთურიძე, დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი (46. გაბიდაური), ფეიქრიშვილი (70. დეკანოსიძე) - ფიფია (62. მიკუჩაძე), მეგრელაძე.

*სათადარიგოები: სტურუა, ჩიკვილაძე, გ. ჩხეტიანი, ალადაშვილი*

სპარტაკი: ქვილითაია - კუპრეიშვილი, ჯანგიძე, ქორიძე, მამუკაშვილი - შალამბერიძე (80. მ. ღონღაძე), თარხნიშვილი, შონია, ბონდო გოცირიძე - ხიდეშელი (67. მაისურაძე), სირბილაძე.

*სათადარიგოები: გ. იაშვილი, ოქთურმანიძე, ი. კობახიძე, გაბელაია, ლ. დათუნაშვილი*

გაფრთხილება: კუპრეიშვილი (14), მაჭავარიანი (61)

არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი

# მხოლოდ უიღბლობას ნუ დავაბრალებთ...

...ადრე თუ გვიან, ეს უნდა მომხდარიყო - რუსთავის „ოლიმპმა“ მერვე ცდაზე შეძლო ნანატრი გამარჯვების მოპოვება! ჟურნალისტებიც, ქომაგებიც, ამ გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელ-ხელმძღვანელები ხშირად ვსაუბრობდით ფატალურ უიღბლობაზე; „ოლიმპის“ დანავსული სერია კი გრძელდებოდა და, რატომღაც, ხმამაღლა არავინ ახმოვანებდა არცთუ უმნიშვნელო ნიუანსს: ამ გუნდის ზოგიერთი ფეხბურთელისგან, როგორც იტყვიან, სახელი და გვარიღა არის დარჩენილი. არადა, ერთი ან ორი წლის წინ ეს ფეხბურთელები „დაფრინავდნენ“ კიდეც და თავიანთ ამპლუაში საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოებიც იყვნენ. მოკლედ, „ოლიმპის“ ახალ თავკაცს **ვარლამ კილასონიას** უდიდესი ძალისხმევა დასჭირდება გუნდი შესაბამის კონდიციებამდე რომ მიიყვანოს. არც ის იყო შემთხვევითი, რომ გუნდში მოსვლის მერე ზედიზედ მესამე მატჩში კილასონია ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაშია. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ და ახლა, ჯობია „ოლიმპის“ პირველ „სამქულიან“ თამაშს დავუბრუნდეთ.

გამარჯვება მონატრებული მასპინძლები მატჩის დასაწყისშივე ფიცხელ ეკვეთნენ მეტოქეს და პირველივე შეტევა გოლად აქციეს! **შოთა ბაბუნაშვილმა** მარცხენა ფლანგზე იაქტიურა, მერე ბურთი „სპარტაკის“ საჯარიმოში **გიორგი მეგრელაძეს** ჩააწოდა, ვისაც სტუმართა მცველი მჭიდროდ მეურვეობდა; საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ შეტევის დაგვირგვინება **გიორგი სეთურიძეს** მოუხდა - „ოლიმპის“ მარჯვენა ნახევარმცველს ახლო მანძილიდან გოლის გატანა არ გასჭირვებია.

ნაადრევმა გოლმა მასპინძლებს „დათვური სამსახური“ გაუწია - ცოტა არ იყოს, უყურადღებოდ ირჯებოდნენ და მეტოქეს რომ უფრო მეტი აგრესია გამოემჟღავნა, შესაძლოა „ოლიმპი“ დასჯილიყო კიდეც. თუმცა „აგრესიას“ და აქტიურობას შესაბამისი სათამაშო კლასიც უნდა - ამ მხრივ კი, „სპარტაკის“ ფეხბურთელები აშკარად მოიკოჭლებდნენ. ეგ კი არა, რომელ აქტიურობაზეა ლაპარაკი, როცა 90 წუთის განმავლობაში, სახიფათო მომენტს ვინ ჩივის, კარშიც კი ხეირიანად არ დაურტყამთ. პირველ ტაიმში ერთხელ **გიორგი ხიდეშელმა** „გაისროლა“ შორიდან, მერე კი, უკვე მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე **მამუკა ღონღაძემ** მახვილი კუთხიდან დაარტყა. რაღა თქმა უნდა, ორივე ამ ეპიზოდში **მირზა მერლანს** პრობლემა არ შეჰქმნია - შეხვედრის დანარჩენი დრო კი „ოლიმპის“ მეკარე, ფაქტობრივად, უსაქმოდ იყო. სამაგიეროდ, „ოლიმპს“ ჯერ კიდევ პირველ ტაიმში თავისუფლად შეეძლო ანგარიშის სხვაობა ბევრად შთამბეჭდავი გაეხადა: ჯერ **გოგა ფიფიამ** ააცილა ხელსაყრელი პოზიციიდან, მერე კი **გიორგი ფეიქრიშვილმა**. სამწუხაროდ, თამაშის ტემპი ძალზე დაბალი იყო, ისევე როგორც ფეხბურთელები მოიკოჭლებდნენ საშემსრულებლო ოსტატობაში...

მეორე ტაიმიც პირველის მსგავსი გამოდგა - კვლავაც დუნე და ერთფეროვანი თამაშის მომსწრენი გავხდით. წესითა და რიგით, სტუმრებს მთელი ძალებით უნდა შეეტიათ, მაგრამ მათი იერიშები „ოლიმპის“ საჯარიმოსთან მიახლოებას „ნიშნავდა“. სანაცვლოდ, მასპინძლები, დრო და დრო, „აფეთქდებოდნენ“ ხოლმე და ერთი-ორჯერ მწვავედაც შეუტიეს. ჯერ გოგა ფიფიას საშუალო დისტანციიდან დარტყმული ბურთი ასცდა მიზნს; მერე კი ვიხილეთ ამ უინტერესო შეხვედრის ყველაზე დინამიური ეპიზოდი: გიორგი მეგრელაძის პასით გიორგი სეთურიძე შეუჩერებლად და ძლიერად გზავნიდა ბურთს სტუმართა კარისკენ, მაგრამ **მაქსიმე ქვილითაიამ** ჩინებული რეაქციით „სპარტაკი“ აშკარა გოლისგან იხსნა. მატჩის დასრულებამდე „ოლიმპს“ კიდევ ორი მომენტი ჰქონდა, მაგრამ **ნოდარ მაჭავარიანმა** და გიორგი მეგრელაძემ ბურთი მიზანში ვერ მოახვედრეს. საბოლოოდ, არცთუ დამაჯერებელი თამაშის ფონზე „ოლიმპმა“ ჩემპიონატში ნანატრი გამარჯვება მოიპოვა. ახლა საკითხავი სხვა რამ არის: როდის დაიწყებენ რუსთაველი გუნდის სახელიანი ფორვარდები გოლების გატანას. ჰო, „ოლიმპმა“ ჯერჯერობით ხუთი გოლი გაიტანა და დღეის ჩათვლით ამას მცველები (სეთურიძე, **ჩიკვილაძე**) და ნახევარმცველი (**გაბიდაური**) ახერხებდნენ...

გია გაგოშიძე

---

02.11. ზესტაფონი. ცენტრალური.
600 მაყურებელი

**ზესტაფონი-გაგრა**

**3:0**

1:0 რ. ონიანი (60), 2:0 გელაშვილი (80. ონიანის პასით), 3:0 ნ. კვასხვაძე (87. ძარიას პასით)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - თოდუა, ლობჟანიძე, რ. ონიანი, ლომაშვილი (46.ბოიომო)-ხიდეშელი, ძარია, ბენაშვილი (55. იონანიძე), დაუშვილი - ჩასემი (62. ნ. კვასხვაძე), გელაშვილი.

*სათადარიგოები: ძაძამია, შ. ღონღაძე, სტეფანიშვილი, გ. ჭელიძე*

გაგრა: თევდორაძე - გაბუნია, მგელაძე, გიგაური, ქაჯაია - ყიფიანი, შარიქაძე (77. ჩხაიძე), ტყეშელაშვილი, დათუნაშვილი (69. ფილია) - გაბედავა, ძაგანია (84. მეტრეველი).

სათადარიგოები: კოტრიკაძე, ლალიაანი, ხოკერაშვილი, ოქრიაშვილი

გაფრთხილება: გიგაური (19)

არბიტრი: მ. ურუშაძე

# ზესტაფონი პოზიციებს იბრუნებს

ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე გულშემატკივართა სიმცირე ვილას უკვირს, მაგრამ ბოლო დროს სტადიონებზე მაყურებელთა რიცხვმა კიდევ უფრო იკლო, რაც ძალზე შემაშფოთებელია. ზესტაფონშიც კი, სადაც წინა წლებში მინიმუმ 3 000 ქომაგი დადიოდა მატჩების სანახავად, დღესდღეობით ფეხბურთელებს თითქმის ცარიელი ტრიბუნების წინაშე უწევთ ბურთის გორება. გუშინაც, „გაგრასთან“ არცთუ უმნიშვნელო მატჩს მხოლოდ 600-მდე გულშემატკივარი დაესწრო, ბევრი მათგანი კი სტადიონზე მხოლოდ მეორე ტაიმის დაწყებამდე მოვიდა...

» 4

---

02.11. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
1000 მაყურებელი

**მესხეთი-ბორჯომი**

**2:2**

0:1 კიკნაძე (12. ავალიანის პასით), 1:1 სამადაშვილი (40. გრიგალაშვილის პასით), 1:2 კიკნაძე (50. ბეჟანიძის პასით), 2:2 სამადაშვილი (76. გრიგალაშვილის პასით)

მესხეთი: ძამუნაშვილი - რაქვიაშვილი, გ. კვახაძე, მემარნიშვილი, ლეკიშვილი - ინასარიძე (71. კობესაშვილი), თაყაძე, თედიაშვილი, გრიგალაშვილი - სუდაძე (65. ქოჩორაშვილი) - სამადაშვილი.

*სათადარიგოები: სომხიშვილი, გაგუა, მურმანიშვილი, ყურულაშვილი*

ბორჯომი: შეყრილაძე - ი. ლომიძე, ქარქუზაშვილი, ლაცაბიძე, ვ. ხორგუაშვილი - ნოზაძე, ლ. ვაშაკიძე, ალავერდაშვილი, ავალიანი - ბეჟანიძე (71. ბაქრაძე), კიკნაძე.

*სათადარიგოები: კ. ჯინჭარაძე, ნ. ლომიძე, ვაჩიბერაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ქავთარაძე, დევიძე*

გაფრთხილება: ვაშაკიძე (13), კიკნაძე (31), ბაქრაძე (85)

არბიტრი: ო. ხეცაძე

# აქეთ დუბლი, იქით დუბლი




მესხეთის შეტევა

ავტორის ფოტო

სამცხელთა დერბი ძალზე დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. ამაზე მატჩის შედეგიც მეტყველებს. უცნაური იყო, რომ „ბორჯომი“ მშობლიურ მოედანზე სტუმრის რანგში წარდგა სათამაშოდ. მასპინძელი „მესხეთისგან“ განსხვავებით „სტუმრები“ საბრძოლო შემადგენლობით იყვნენ. დისკვალიფიცირებული **ბორის გონჩაროვის** გარდა, ახალციხელებს სხვა გამორჩეული ფეხბურთელებიც აკლდნენ - **ლადო ახალაია, ლაშა ქებაძე, ლევან მერებაშვილი, ვლადიმერ გოჩაშვილი** და მეკარე **გიორგი სომხიშვილი**. აქვე უნდა ითქვას, რომ სომხიშვილის დუბლიორ **გელა ძამუნაშვილს** ურიგოდ არ უთამაშია.

„მესხეთი“ თავიდანვე სათანადოდ მობილიზებული არ იყო. ეტყობა, იფიქრეს, „ბორჯომს“ იოლად მოვუგებთო, ჰოდა, ბოლოს ფრეც სანატრელი გაუხდათ. აღსანიშნავია **გურამ სამადაშვილისა** და **ირაკლი კიკნაძის** დუბლები. კიკნაძე უკვე მესამე ტურია, მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. სხვათა შორის, გასული სეზონის მეორე წრეში ის „მესხეთში“ თამაშობდა და გუშინ ყოფილ გუნდს ორი გოლით გაახსენა თავი.

მართალია, სტარტზე ახალციხელები უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ ბორჯომელებმაც მალე გამოაჩინეს ბრჭყალები. მე-2 წუთზე სამადაშვილის დარტყმას მეკარე **შეყრილაძე** გადაეფარა. მე-11 წუთზე, კაპიტან **სუდაძის** ჩაწოდებისას, **გრიგალაშვილის** თავური ბორჯომელთა კარს ასცდა. ამის მერე სტუმართა ჯერი დადგა და გოლის გატანის პირველივე შანსი გამოიყენეს კიდეც. **ავალიანის** მიერ ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი კიკნაძემ ოსტატურად გადაგზავნა კარში - 0:1.

გაშვებულმა გოლმა მესხები გაახელა. მე-15 წუთზე, გრიგალაშვილის კუთხურის შემდეგ, **თაყაძის** თავური ოდნავ ასცდა მიზანს. მერე კი შეყრილაძემ **ჯერ მემარნიშვილის** შორეული, ძლიერი დარტყმა მოიგერია, ხოლო შემდეგ თაყაძეს არ დაანება კარი. გავიდა კიდევ ცოტა ხანი და ბორჯომელთა კიპერმა **ინასარიძეს** რთული ბურთი აუღო. ახალციხელებმა გოლი მოამწიფეს, ნაყოფი კი ტაიმის ბოლოს იგემეს. მე-40 წუთზე გრიგალაშვილის ფლანგური გარღვევა და ჩაწოდება სამადაშვილმა გოლით დააგვირგვინა - 1:1.

მეორე ტაიმი სტუმრებმა უკეთ დაიწყეს და კიდევ ერთხელ დაწინაურდნენ. 50-ე წუთზე **ბეჟანიძემ** ჩინებული პასით კიკნაძე მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. ძამუნაშვილმა დროულად ვერ დატოვა კარი და იქვე დუბლიც „გამოცხვა“ - 1.2.

ახალციხელები კიდევ ერთხელ აღმოჩნდნენ მდევრის როლში. „მესხეთი“ გამოცოცხლდა და 76-ე წუთზე ანგარიში კიდევ ერთხელ გათანაბრდა - ზეაქტიურმა გრიგალაშვილმა ამჯერად მარცხნიდან ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც სამადაშვილმა ყველას დაასწრო და თავურით წონასწორობა მეორედ აღადგინა - 2:2.

დარჩენილ დროში ახალციხელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ. შეყრილაძემ გრიგალაშვილის ორი დარტყმა მოიგერია და ამით თამაშიც მორჩა.

**მატჩის შემდეგ**

**კობა თედიაშვილი (მესხეთი):** „ზუგდიდური მატჩის შემდეგ ჩემს ფეხბურთელებს ვარწმუნებდი, რომ „ბორჯომს“ იოლად ვერ დავამარცხებდით. არ დამიჯერეს და კინაღამ დავისაჯეთ. დღეს უნდა მოგვეგო. თავიდანვე მობილიზებით რომ გვეთამაშა, ვფიქრობ, გავიმარჯვებდით“.

**გიორგი სუხიაშვილი (ბორჯომი):** „ჩვენთვის ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს. მოკლე პერიოდში ზედიზედ სამი მატჩის ჩატარება მოგვიწია. ეს კი ამ პირობებში ძალზე ძნელია. მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ვფიქრობ, გულშემატკივარმა ისიამოვნა“.

ნიკა გვათუა
ბორჯომი-თბილისი

# ზესტაფონი პოზიციებს იბრუნებს

« 3

მატჩს ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „გაგრამ“ კარგი სტარტის შემდეგ პოზიციები დათმო და სატურნირო მდგომარეობა ჰქონდა გამოსასწორებელი, „ზესტაფონს“ კი, რომელიც წამყვანი ფეხბურთელების დაკარგვის შემდეგ ძველებურად ველარ ჩაუქობს, ლიდერებთან მიახლოება ჰქონდა ამოცანად, რასაც წარმატებით გაართვა თავი.

გუშინ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ტაიმები ვნახეთ. თამაში კი ორმხრივ შეტევებში დაიწყო. მასპინძლები, რომელთაც ტრავმების გამო მეკარე **გრიგოლ ჭანტურია** და **ბექა გოცირიძე** აკლდათ, დებიუტში საკმაოდ ფრთხილობდნენ და სტუმრებს ბურთის კონტროლის საშუალებას აძლევდნენ. ჰოდა, „გაგრაც“ ბევრს მოძრაობდა და შეტევებშიც უფრო თამამად მიდიოდა. პირველი მომენტი სწორედ სტუმრებმა შექმნეს: მე-3 წუთზე, მარცხენა ფლანგზე **ლომაშვილის** უხეში შეცდომის შემდეგ, **გაბუნია კვასხვაძესთან** პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ მახვილი კუთხიდან დარტყმულზე მეკარემ რეაგირება მოასწრო და გუნდი გოლისგან იხსნა. გაგრელები ცოტა ხანს კიდევ ფლობდნენ უპირატესობას, შემდეგ კი თანდათან მასპინძლებიც გაერკვნენ ვითარებაში და ტაიმის ბოლომდე თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა.

მომენტების მხრივ „ზესტაფონმა“ მეტოქე აშკარად დაჯაბნა, მაგრამ არც „გაგრა“ ყოფილა უქმად. სტუმართა მეკარე **რევაზ თევდორაძემ** ზედიზედ ორი ურთულესი ბურთი მოიგერია. პირველად, მან **ბენაშვილის** საჯარიმო დარტყმა უკუაგდო, 36-ე წუთზე კი **ლობჟანიძის** პასით მასთან პირისპირ დარჩენილ ბენაშვილს ოთხიოდე მეტრიდან სასწაულებრივ არ დაანება კარი. 37-ე წუთზე **ჩასემის** სოლორეიდისა და **ძარიას** უძლიერესი დარტყმის შემდეგ თევდორაძეც უძლური იყო, მაგრამ... ბურთმა მხოლოდ გაგრელთა კარის მარცხენა ძელი „მოიკითხა“... ტაიმის ბოლოს კი მეტოქე სტუმრებმაც ანერვიულეს - **გაბედავამ** საჯარიმოს გარედან უძლიერესად დააქუხა და კვასხვაძემ გაჭირვებით შეძლო ბურთის კუთხურზე გადაგდება.

მეორე ტაიმის საწყისი 10-15 წუთი პირველის ანალოგიური იყო. მერე, ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „გაგრას“ დაღლა დაეტყო, **თემურ მახარაძემ** კი შეცვლები გამოიცნო - მინდორზე გასულმა **ზურაბ იონანიძემ** და **ნიკა კვასხვაძემ** „ზესტაფონის“ შეტევები კიდევ უფრო გაამწვავეს და სამი გოლი „გამოცხვა“.

ანგარიში მე-60 წუთზე გაიხსნა. ლობჟანიძემ ჯარიმა შეასრულა, მის მიერ ჩაკიდებულ ბურთს ძარიამ თავი წაჰკრა, რის შემდეგაც **ონიანმა** ისე მძლავრად დაჰკრა, ლამის კარის ბადე გაარღვია - 1:0.

მეორე გოლი ულამაზეს კომბინაციას მოჰყვა - კვასხვაძემ მარცხენა ფლანგზე ქუსლით დაუგორა ონიანს, ამან კი მეკარის საჯარიმოსკენ დაბალი ტრაექტორიით გაგზავნა ბურთი, სადაც მცველებს **ნიკა გელაშვილმა** დაასწრო და ანგარიში გაზარდა - 2:0.

ამის შემდეგ **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდი მთლიანად მოიშალა და ზესტაფონელებმა მესამედაც იხეირეს: **ხიდეშელი-ძარია-კვასხვაძის** სწრაფი სამსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დასრულდა.

**მატჩის შემდეგ**

**ვლადიმერ ხაჩიძე (გაგრა):** „ჩვენ, ფაქტობრივად, ბავშვებით დაკომპლექტებული გუნდი გვყავს, ისინი ჯერ არ არიან მზად, რომ ასეთი კალენდრის პირობებში სტაბილურობა შეინარჩუნონ. პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ მეორე ნახევარში ძალები აღარ გვეყო. ცუდია, რომ დიდი ანგარიშით დავმარცხდით. ვშიშობ, ფეხბურთელებზე ამან დამთრგუნველად არ იმოქმედებს“.

**თემურ მახარაძე (ზესტაფონი):** „დღეს ღირსეული მოწინააღმდეგე გვყავდა. ძალიან რთული თამაში იყო და ანგარიში, შესაძლოა, სულ სხვანაირი ყოფილიყო. პირველ ტაიმში ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მერე და მერე გამოცდილებამ და კლასმა თავისი გაიტანა“.

**დავით კოხრეიძე**
**ზესტაფონიდან**

ეროვნული ნაკრები

# ხვალ კუპერის სამშაბათობაა

## გოცირიძე ჯერაც მკურნალობს, ყენიასთვის რუმინეთი არ იქნება

4 ნოემბერს **ექტორ კუპერი** „მიხეილ მესხზე“ შეპირებულ „სამშაბათობას“ გამართავს. ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დანიშვნისთანავე განაცხადა, რომ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებს ყურადღებას მიაქცევდა და სიტყვა არ გაუტეხია.

კუპერი და მისი ასისტენტი **ხოსე ფანტაგუცი** ჩვენი პირველობის თამაშებს სისტემატურად ესწრებიან და არც ნანობენ - აქ ნახეს ფეხბურთელები (**გიორგი ლომაია, ლექსო კვახაძე, ლუკა რაზმაძე, უჩა ლობჟანიძე, ბექა გოცირიძე, დავით ოდიკაძე, გიორგი მერებაშვილი**), რომლებმაც კვიპროს-ბულგარეთთან მატჩებში მეტ-ნაკლებად გამოიჩინეს თავი. კუპერმა პირველი „სამშაბათობა“ სწორედ ბოლო ორ შესარჩევ დაპირისპირებამდე გამართა. ასე იქნება ხვალაც, უცვლელია შეხვედრის ადგილიც.

ტრავმიდან გამომდინარე, კუპერის „სამშაბათობას“ **ბექა გოცირიძეც** გამოტოვებს. გუშინ მას არც „ზესტაფონი“-“გაგრის“ შეხვედრაში უთამაშია. 20 წლის თავდამსხმელმა ჯერ კიდევ არ იცის, რამდენად სერიოზულია ტრავმა. ბექას კუნთი გაეჭიმა და ბულგარეთთან მატჩის ბოლო წუთებზე კუპერმა ამიტომაც შეცვალა. ფეხბურთელს ტრავმა ჯერ კიდევ არ მოუშუშებია.

*„კუნთის ტკივილი ისე მაწუხებს, ვარჯიშსაც ვერ ვახერხებ, ნემსებს მიკეთებენ. უკვე მეორე მატჩის გამოტოვებამ მომიწია. ჯერ ისიც არ ვიცი, რამდენი ხნით დავისვენებ. ასეთი გაურკვევლობა არანაკლებ მაწუხებს, ვიდრე ტრავმა. იმედია, მოედანს მალე დავუბრუნდები“* - გვითხრა გოცირიძემ.

მოახერხებს თუ არა „ზესტაფონის“ ფორვარდი რუმინეთთან ამხანაგურ შეხვედრაში თამაშს, უახლოეს დღეებში გაირკვევა. წესით, გაჭიმულ კუნთს ორკვირიანმა დასვენებამ უნდა უშველოს, ანუ 12-13 ნოემბრისთვის, როცა ეროვნული გუნდი სარუმინეთოდ შეიკრიბება, გოცირიძე მზად უნდა იყოს.

**ლევან ყენიას** კი მარტო „სამშაბათობის“ გამოტოვება კი არა, იანვრამდე მოუწევს დასვენება. ეს სამწუხარო ინფორმაცია 18 წლის ფეხბურთელმა თავად გაგვიმხილა. საქართველოს ნაკრებისა და „შალკეს“ შემტევი ნახევარმცველი კვიპროსთან მატჩის დროს დაშავდა, ბულგარეთთან დაპირისპირებას კი ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს.

თავდაპირველი დიაგნოზი არც ისე საშიში იყო. ლევანი დაამშვიდეს, კუნთი მხოლოდ გაჭიმულია, მეტი არაფერიო. მაგრამ ახლა... მოდით, თავად ფეხბურთელისგან გავიგოთ, რა სიტუაციაა:

*„კვიპროსის ნაკრებთან შეხვედრამდე ტკივილები მაწუხებდა. ამის გამო, ორი დღე დამასვენეს. თუმცა საშიში არაფერი გვეგონა და მოედანზე ამიტომაც გავედი. მერე გავარკვიე, რომ თურმე, გაწყვეტილი კუნთით მითამაშია. ექიმმა ეს თამაშის შემდეგ მითხრა - გაჭიმული კი არა, გაწყვეტილიაო. ასე რომ, კარგა ხნით მომიწევს დასვენება. როგორც ვხვდები, ბუნდესლიგის პირველი წრე ჩემთვის დასრულებულია“.*

### მარადონას სიტყვები არასწორად თარგმნესო...

რაკი კუპერი ვახსენეთ, აქვე მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ ერთ საინტერესო დეტალზე, რომელიც **დიეგო მარადონას** თბილისურ ვიზიტს და მის მიერ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარს უკავშირდება. გაგახსენებთ, მარადონას თანამემამულე კუპერის თაობაზეც დაუსვეს კითხვა. დიეგოს პასუხი კი ასე მოგვაწოდეს: „მე კუპერს არ ვცნობ“. სინამდვილეში, დიეგოს სიტყვები არასწორად გვითარგმნეს. მან თქვა - ქართველ ფეხბურთელებს უფრო ვიცნობ, ვიდრე კუპერსო, ანუ - ექტორს ახლოს არ ვიცნობო. ეს პრესკონფერენციაზე დამსწრე, ესპანურის მცოდნე ერთ-ერთმა პიროვნებამ გვითხრა.

მოკლედ მარადონა კუპერს არათუ ცნობს ძლიერ სპეციალისტად, არამედ დიდ პატივსაც სცემს. მაგალითისთვის ეს ფაქტიც გამოდგება: აეროპორტიდან სასტუმრომდე არგენტინელები ავტობუსით მიიყვანეს. მარადონამ გზაში საყვარელი მუსიკის მოსმენა მოისურვა. აღმოჩნდა, რომ ავტობუსიდან (რომელიც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ემსახურება) მაგნიტოფონი კუპერის მოთხოვნით ამოიღეს (ფეხბურთელებს გონება ეფანტებათ, ბაზიდან სტადიონამდე გზაში მხოლოდ ფეხბურთზე უნდა იფიქრონო). როცა მარადონას აუხსნეს, რომ ამაში კუპერის ხელი ერია, ასეთი რეაქცია ჰქონდა - პრობლემა არ არის, მაგარი კაციაო...

შევიტყვეთ ერთი საინტერესო ამბავიც - მარადონას თბილისური ვიზიტი რომ არ ჩაშლილიყო, არგენტინელებს 300 ათასი დოლარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და სპორტის დეპარტამენტმა გადაუხადეს. როგორც ამტკიცებენ, ფეხბურთელები მეტს არც ითხოვდნენ. მარადონამ 100 000 დოლარი აიღო, დანარჩენი 200 000 კი მეგობრებს გაუნაწილა. არადა, იყო ლაპარაკი, თითქოს, არგენტინელი ლეგენდა პირადად მილიონ ევროს ითხოვდა. 100 ათასის თაობაზე ჩვენი ინფორმაცია ვეტერანთა მატჩის მონაწილე **ბეტო კარანსას** ნათქვამს ემყარება. მან ეს თავის ქართველ მეგობარს გაუმხილა...

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# სირაძე ნალჩიკიდან მიდის

## შემდეგი გაჩერება: ცსკა, მოსკვა თუ რუბინი?


დავით სირაძე

**დავით სირაძე რუსეთის პრემიერლიგაში პირველ სეზონს ამთავრებს. მეორე ბუნდესლიგის „პადერბორნიდან“ ნალჩიკის „სპარტაკში“ გადაბარგებულ თავდამსხმელს პირველ ხანებში რუსულ ფეხბურთთან ადაპტაცია გაუჭირდა. ძირითად შემადგენლობაში ჩატარებული რამდენიმე შეხვედრის შემდეგ სირაძე სათადარიგოთა შორის აღმოჩნდა. როგორც დრომ აჩვენა, 25 წლის ფორვარდს პირველი წრე უცხო გარემოსთან შესაგუებლად დასჭირდა, მეორე წრეში კი გაშინაურდა, „სპარტაკის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილიც დაიბრუნა და ახლა ასარჩევად აქვს საქმე - სად გააგრძელოს კარიერა.**

**დავითს ნალჩიკში დავუკავშირდით. მან სამომავლო გეგმებსა და სიახლეებზე ისაუბრა.**

**- დავით, ნალჩიკის „სპარტაკში“ ერთწლიანი ასპარეზობის შემდეგ შეგიძლია თქვა, რომ რუსულ ფეხბურთს შეეგუე?**

- შევეგუე, ოღონდ, ნალჩიკში დარჩენა აღარ მინდა.

**- რა არ მოგწონს? პირადი კონტრაქტია ცუდი თუ...**

- არა, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, უბრალოდ, მსურს, უკეთეს გუნდში ვითამაშო.

**- კონტრაქტი ხომ დეკემბერში გიმთავრდება?**

- ...და თავისუფალი აგენტიც ვხდები. თუმცა ჯერ არ ვიცი, სად ვითამაშებ.

**- რომელიმე რუსული კლუბი ხომ არ გიწვევს?**

- რუსულიც და გერმანულიც.

**- ბუნდესლიგის გუნდია?**

- დიახ. რუსეთშიც ძალიან კარგი ვარიანტია. როგორც ჩემმა მენეჯერმა მითხრა, პრემიერლიგის ლიდერები მაკვირდებოდნენ. ჩემპიონატის დასრულებამდე უნდა გადაწყდეს ყველაფერი.

**- გერმანიაში თუ დაბრუნდები, კარგი იქნება...**

- მეც მსურს გერმანიაში დაბრუნება, მაგრამ მოლაპარაკებებიდან ჩანს, რომ რუსული ვარიანტი უფრო რეალურია, ყოველ შემთხვევაში, ამ მომენტისთვის ასეა.

**- ამბობდნენ, სირაძისთვის ნალჩიკი ტრამპლინია და თუ თავს გამოიჩენს, „მოსკვაში“, ცსკა-ში ან „სატურნში“ გადავაო. ამ კლუბებს ხომ არ გულისხმობდი?**

- „სატურნი“ არა, მაგრამ „მოსკვა“, ცსკა და „რუბინი“ ნამდვილად არიან დაინტერესებულნი.

**- შენი არჩევანი საითკენ იხრება?**

- უარს არც ერთზე არ ვიტყოდი. „მოსკვა“ ამბიციური კლუბია, ცსკა უეფას თასის მფლობელია და სხვა რაღა უნდა ვთქვა? ანდაც ყაზანის „რუბინი“, რომელიც მალე გაიფორმებს რუსეთის ჩემპიონის ტიტულს... ჩემი დასაწუნი მათ არაფერი სჭირთ.

**- დავაზუსტოთ: კლუბები პირდაპირ კონტრაქტის გაფორმებას გთავაზობენ თუ ჯერ სინჯებზეა ლაპარაკი?**

- არანაირი გასინჯვა, სამივე პირდაპირ კონტრაქტს მთავაზობს. სინჯები არც მე მაძლევს ხელს.

**- დასახელებული სამეულიდან რომელი უფრო აქტიურობს?**

- გითხარით ის, რაც ამ დროისთვის ჩემი აგენტისგან ვიცი. ყველაფერი ჩემპიონატის დასრულებამდე გაირკვევა, სადღაც ერთ თვეში.

**- და მაინც, ცსკა რუსული არმიის გუნდია. მიგიწევს კი გული?**

- არმიის გუნდი რომ არის, ეს მეც ვიცი. ზოგადად ვამბობ, რომ მოსკოვურ გუნდში გადასვლა ჩემი კარიერისთვის კარგი იქნება. დედაქალაქში გაცილებით მეტი თვალი გიყურებს, აქ ადვილად ხვდები სელექციონერთა ყურადღების ქვეშ, ვიდრე, მაგალითად, ნალჩიკში.

**- ექტორ კუპერმა რუმინეთთან ამხანაგური მატჩისთვის გამოგიძახა?**

- ჯერ „სპარტაკში“ მიწვევა არ მოსულა.

**მერაბ მამულაშვილი**

# გრიგოლ ჭანტურია ზესტაფონიდან გაუშვეს?

გუშინ „ზესტაფონის“-“გაგრის“ შეხვედრის განაცხადში მასპინძელთა სათადარიგოებს შორისაც არ ყოფილა კაპიტანი **გრიგოლ ჭანტურია**. როგორც შევიტყვეთ, წინა ტურში, „ბორჯომში“ ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ, კლუბის პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** მისი გაშვება გადაწყვიტა. თუმცა ჯერ კიდევ უცნობია, რა გახდა ამის მიზეზი, არის თუ არა ეს გადაწყვეტილება საბოლოო და ა.შ.

კლუბი კომენტარის გაკეთებას არ ჩქარობს. „ზესტაფონში“ იმედი აქვთ, რომ პრეზიდენტი გამოცდილ მეკარეს გუნდში დააბრუნებს. თავად ჭანტურიასთან გასაუბრებაც ვცადეთ, მაგრამ მან თავი შორს დაიჭირა. აშკარაა, რომ ისიც გაურკვევლობაშია. შეგახსენებთ, რომ 35 წლის მეკარეს ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია.

**მერაბ მამულაშვილი**

# ბეგლარიშვილი: ჯერ მხოლოდ ვარჯიში

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **ზაქარია ბეგლარიშვილი** „აიაქსში“ ერთი თვის წინ ჩაირიცხა. ჰოლანდიურ გრანდში ის „ფონდ არველაძეების“ დახმარებით მოხვდა. ბეგლარიშვილს, **რონალდ და ფრანკ დე ბურებთან** ერთად, რეკომენდაცია **შოთა არველაძემ** გაუწია.

ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ 18 წლის ქართველმა ევროკავშირის ქვეყანაში თამაშის უფლება მოიპოვა და სექტემბრის ბოლოს ამსტერდამში გაემგზავრა. ჩვენმა გულშემატკივარმა ის პირველად 5 სექტემბერს, პირდაპირ ეთერში იხილა, როცა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მინსკში რუსეთთან სამარცხვინოდ (0:4) დამარცხდა. იმ შეხვედრაში ქართველებიდან ერთადერთი ნათელი წერტილი სწორედ ბეგლარიშვილი გახლდათ. მისი ორი მშვენიერი გადაცემით ჩვენს გუნდს ანგარიშის შემცირება შეეძლო, მაგრამ...

ამჟამად ზაქარია „აიაქსის“ სარეზერვო გუნდში ვარჯიშობს. ოფიციალურ მატჩებში ის ჯერჯერობით ვერ მონაწილეობს: *„ამის უფლება ჯერ არ მაქვს. ოფიციალურ შეხვედრებში თამაშის ნებას მალე მომცემენ. სამი დღის წინ მორიგი მატჩი გვქონდა, სრულად ვითამაშე და მგონი, მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა“* - გვითხრა ბეგლარიშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**


ზაქარია ბეგლარიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

უქმეების მიმოხილვა

# კვირკველია და სალუქვაძე რუსულ მწვერვალზე

## პრემიერლიგა უქართველოდ მაინც არ დარჩა

ამ უქმეებზე აზერბაიჯანის ჩემპიონატში ტური არ ყოფილა, ასე რომ, ქართული ლეგიონის გოლთაცვენით ვერ გაგახარებთ. სამაგიეროდ, სასიამოვნო სიახლეა რუსეთიდან - ჩემპიონატის დასრულებამდე 3 ტურით ადრე დავით კვირკველიამ და ლაშა სალუქვაძემ ამ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული ოფიციალურად გაიფორმეს. ნისლიანი ალბიონიდანაც კარგი ამბავია - როგორც იქნა, პრემიერლიგაში ზურაბ ხიზანიშვილი გამოჩნდა. ლატვიაში კი გამარჯვების გოლი გაიტანა ვლადიმერ დვალიშვილმა („სკონტო")...



დავით კვირკველია (მარცხნივ) რუსეთის ჩემპიონია

### ელირსა!

როგორც იქნა! პოლ ინსმა თამაშის საშუალება ზურაბ ხიზანიშვილსაც მისცა. ქართველმა მცველმა პრემიერლიგის მე-11 ტურში სეზონში პირველად მოირგო „ბლექბერნ როვერსის" მაისურა. ეს „ვესტ ბრომვიჩთან" საგარეო შეხვედრის 77-ე წუთზე მოხდა. ამ დროს „ბლექბერნი" 1:2-ს აგებდა, თან მოედანზე 10 კაცით იყო დარჩენილი. ზურას გამოსვლა სტუმართათვის ფეხბედნიერი გამოდგა. მათ თამაშის გადარჩენა შეძლეს - 2:2. მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე კი ხიზანიშვილმა პირველი ყვითელი ბარათიც მიიღო.

იტალიაში ჯერ კიდევ ველით **ლევან მჭედლიძის** გამოჯანმრთელებას, **კახა კალაძე** კი ტრავმის შემდეგ დაბრუნდა და „ნაპოლისთან" 75-ე წუთიდან ითამაშა.

### ისააკის თავთან ვერას გახდა

ბუნდესლიგის ორ „ქართულ" გუნდს, როგორც ჩანს, სეზონში სხვადასხვა ამოცანა ექნებათ გადასაჭრელი - თუკი **ლევან კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** „შალკე" პირველობისთვის იბრძოლებს, **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუეს" ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევს თავის გადადება. „შალკემ" სტუმრად 2:0 მოუგო „კოტბუსს". ლევან კობიაშვილმა (8 მატჩი მიმდინარე ჩემპიონატში) 90 წუთი ითამაშა, ხოლო ყენია კვლავ ტრავმირებულია.

იაშვილის (10 მატჩში) „კარლსრუე" ბუნდესლიგის ლიდერ „ჰოფენჰაიმს" ესტუმრა და 1:4 დამარცხდა. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ტრავმა მიიღო და 65-ე წუთზე შესაცვლელი გახდა. ქართველი და ჰოფენჰაიმელი **ისააკ ვორსა** საჰაერო დუელში თავებით შეასკდნენ ერთმანეთს. „შპორტალმა" კობიაშვილის თამაში 3.5 ქულით შეაფასა, იაშვილისა კი 4.5-ით. „შალკე" 20 ქულით მეოთხე ადგილზეა, ხოლო „კარლსრუე" 9 ქულით მე-14-ზე.

მეორე ბუნდესლიგაში კვლავ არ ჩანან **დავით თარგამაძე** და **ოთარ ხიზანეიშვილი**, **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენი" კი დღეს ითამაშებს.



ზურაბ ხიზანიშვილი (მარჯვნივ)

### შტურმის მორიგი შტურმი

ავსტრიაში „შტურმი" 29 ქულით მეორე ადგილზეა, მას შემდეგ, რაც ვენის „აუსტრია" სტუმრად 3:1 დაამარცხა. **გიორგი შაშიაშვილმა** და **ილია კანდელაკმა** „შტურმის" რიგებში ტრადიციულად 90-90 წუთი ითამაშეს.

დანიის პირველ დივიზიონში დაქვეითებული „ვიბორგი" მთლად ხელიდან წავიდა - სტარტზე ზედიზედ მოგებული 8 მატჩის შემდეგ, ერთი შეხვედრა ფრედ ითამაშა და 3 წააგო. ამჯერად, „ვიბორგი" შინ, მეორე ადგილზე მყოფ „ჰერფოლგესთან" დამარცხდა (2:4) და ლიდერობა დაკარგა. **გიორგი ფოფხაძემ** „ვიბორგში" შეუცვლელად ითამაშა.

ჩეხურ გამბრინუსლიგაში **დიმიტრი ტატანაშვილი** არ გამოჩენილა. მისი „პლზენი" კი „იაბლონეცს" დაუზავდა - 1:1. სლოვაკეთში „ნიტრა" „არტმედიას" ეწვია და ფრედ (1:1) ითამაშა. **ირაკლი ლილუაშვილმა** სტუმართა რიგებში 61-ე წუთამდე ითამაშა. „ნიტრა" 14 ქულით მე-9 ადგილზეა.

### რუბინ ჩემპიონ!

რამენსკოეში, „სატურნისა" და „რუბინის" მატჩის ბოლოსწინა წუთზე, სერბმა **სავო მილოშევიჩმა** გამარჯვების გოლი გაიტანა (2:1) და თათრეთის დედაქალაქის გუნდი პირველად გახადა ჩემპიონი. წინა დღით, „რუბინის" მდევარი ცსკა „სპარტაკთან" დამარცხდა (0:1). სამი ტურით ადრე, „რუბინს" ტიტულის დასაბევებლად ერთი მოგებაც ჰყოფნიდა. ქართული ტრიოდან „სატურნთან" მხოლოდ **დავით კვირკველიამ** ითამაშა. მან მოედანზე 90 წუთი დაჰყო (5.5 championat.ru-სგან). პირველ ტაიმში კვირკველიამ მცირე ტრავმა მიიღო, მეორეში კი - ყვითელი ბარათი. **ნუკრი რევიშვილი** (არც ერთი მატჩი ძირითადში) სათადარიგო იყო, **ლაშა სალუქვაძე** კი განაცხადში არ ყოფილა.

მოკლედ, კვირკველია (24 მატჩი, 3 გოლი) და სალუქვაძე (14 მატჩი) რუსეთის ჩემპიონები არიან. რევიშვილმა წინა დღეს ამ კლუბების დუბლიორთა მატჩში ითამაშა და კარი „მშრალად" შეინახა - 0:0.

ცუდად აქვს საქმე **ლევან გვაზავას** (24 მატჩი, 2 გოლი) „ლუჩს", რომელიც შინ 0:1 დამარცხდა „ამკართან" და გასავარდნ ზონაში დარჩა. გვაზავამ (5.0 championat.ru-სგან) 90 წუთი ითამაშა.

ნალჩიკში „სპარტაკმა" „ტომის" წინაალმდეგ მატჩი მხოლოდ ერთი ქართველით, **დავით სირაძით** დაიწყო, ისიც პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს. თამაში კი 1:1 დასრულდა. „სპარტაკი" 31 ქულით მე-10 ადგილზეა.

### ასათიანს ტრავმა, ჯაკობიას კონტრაქტი

უკრაინის ვიშა ლიგას მე-13 ტურში ლიდერმა კიევის „დინამომ" ლვოვის „კარპატი" **მალხაზ ასათიანის** გარეშე დაამარცხა - 4:0. მალხაზს სათასო მატჩში ბარძაყის კუნთი დაეჭიმა და **იური სიომინმა** ის ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის „გადაინახა". ამ შეხვედრას უქართველოდ მაინც არ ჩაუვლია - სტუმართა რიგებში 90 წუთი ითამაშა **სანდრო გურულმა**, მაგრამ კიეველთა წინააღმდეგ ისიც ვერაფერს გახდა. სანდრო გუნდში სტანდარტული სიტუაციების შემსრულებელია, რაც ახალწვეულის კვალობაზე იშვიათად ხდება ხოლმე. ხარკოვში „მეტალისტისა" და „ჩერნომორეცის" მატჩში (2:0) ქართული დუელი არ შედგა - განაცხადში არც **ლაშა ჯაკობია** („მეტალისტი") ყოფილა და არც **კახა მუავანაძე** („ჩერნომორეცი"). „მეტალისტის" მთავარმა მწვრთნელმა **მირონ მარკევიჩმა** თამაშის შემდეგ განაცხადა, რომ ჯაკობიასთან კლუბმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ყოფილ გუნდთან პაექრობაში დამარცხდა **გიორგი ციმაკურიძე**. „ზარია" დონეცკში „შახტარს" დანებდა - 1:3. ლუგანსკელთა „ათიანმა" მთელი მატჩი ითამაშა. ერთი გოლი „ზარიამ" ქართველის შეცდომის შედეგად გაუშვა. თავად ციმაკურიძე კი ამტკიცებს, რომ მან და მისმა თანაგუნდელებმა ფავორიტს სათანადო წინააღმდეგობა გაუწიეს:


იაშვილსა და კარლსრუეს ჰოფენჰაიმთან ჭიდაობაში არაფერი გამოუვიდათ

*„პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ. იყო შეცდომებიც, მაგრამ საერთო ჯამში „შახტარს" სერიოზული წინააღმდეგობა გავუწიეთ. ა, რა მოხდა მეორე ტაიმში, ამას ნამდვილად ვერ ავხსნი. სამწუხაროდ, მატჩზე მთელი 90 წუთის განმავლობაში კონცენტრირება ვერ მოვახერხეთ".*

ვასილ გიგიაძისა და **ლადო ბურდულის** „ტავრიამ" სტუმრად 4:2 იმარჯვა „ლვივზე". ბურდული სათადარიგო იყო, ისევე, როგორც გიგიაძე, თუმცა ამ უკანასკნელს 57-ე წუთიდან თამაშის საშუალება მიეცა. „დნიპროს" განაცხადში ერთი ქართველიც არ ყოფილა.

### კაუნასმა შანსი გაიჩინა

**თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისმა", რომელმაც გასულ ტურში 39-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა, აპოპ-ი შინ 2:0 დაამარცხა. ქეცბაიამ **კლიმენტი წიტაიშვილი** არ ათამაშა. „აპოლონმა" 1:0 მოუგო აეკ-ს. მასპინძელმა **ლევან მაღრაძემ** პირველი ტაიმი ითამაშა.

ლატვიურ ვირსლიგაში **თამაზ პერტიას** „დინაბურგმა" „სკონტოს" უმასპინძლა და 0:1 წააგო. „დინაბურგი" სეზონს **პავლე დათუნაიშვილის** გარეშე ჩაამთავრებს, სტუმართა რიგებში კი გოლი **ვლადიმერ დვალიშვილმა** გაიტანა. მან ეს 23-ე წუთზე მოახერხა, 78-ეზე კი შეცვალეს (მანამდე ყვითელი ბარათის მიღებაც მოასწრო). **დავით გამეზარდაშვილმა** სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა. ჩემპიონმა „ვენტსპილსმა" სტუმრად 2:0 დაამარცხა „რიგა". მატჩში, რომელიც აღარაფერს წყვეტდა, **ზურაბ მენთეშაშვილს** არ უთამაშია. „ვენტსპილსი" 63 ქულით პირველია, „სკონტოს" 47 ქულა აქვს და მე-3 ადგილზეა. „დინაბურგმა" 38 ქულით მე-4 ადგილი გაინაღდა. ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლ ოთხეულში „ბლაზმა" „ოლიმპსს" დაუზავდა - 2:2. **ირაკლი ქორთუამ** სრულად ითამაშა. რეზეკნეს გუნდს ვირსლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გადათამაშება ელის.

ლიტვაში საჩემპიონო დოლი გადამწყვეტ ფაზაშია. „კაუნასმა" უშუალო კონკურენტ „ეკრანასს" 2:0 მოუგო. **ნუკრი მანჩხავამ** 90 წუთი დაჰყო მოედანზე, ხოლო **აკაკი ხუბუტია** 68-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში. ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე „ეკრანასი" მხოლოდ 5 ქულით უსწრებს ჩემპიონს, თანაც ქართველთა გუნდს ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. გადამწყვეტი შეხვედრა 5 ნოემბერს გაიმართება, როცა ისევ ეს ორი გუნდი დაუპირისპირდება ერთმანეთს.

მოლდოვის ნაციონალურ დივიზიონში მე-18 ტურის მატჩები გაიმართა. ჩემპიონმა „შერიფმა" სტუმრად 2:1 დაამარცხა ბელცის „ოლიმპია". **ვაჟა თარხნიშვილმა** სრულად ითამაშა. „დაჩიამ" შინ 1:0 მოუგო „აკადემიას". **სერგი ორბელაძემ** და **ლევან კორღალიძემ** 90-90 წუთი გაატარეს მოედანზე და ორივე ყვითელი ბარათებიც მიიღეს. „ქართული" გუნდები ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. „შერიფი" - 42 ქულა; 2. „ზიმბრუ" - 33; 3. „დაჩია" - 32.

### გარანტირებული მეოთხე

ყაზახეთში 29-ე ტურის მატჩები გაიმართა. **ლაშა ჭელიძის** „კაისარმა" „ატირაუსთან" სტუმრად უგოლოდ ითამაშა. ქართველი მცველი თავიდან ბოლომდე გაისარჯა. „კაისარი" 49 ქულით მეოთხეა და ჩემპიონატის დასრულების მერეც ამ ადგილზე დარჩება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

იტალია. სერია A X ტური




# უფსკრულის პირას

## ბოლონიაში სამწვრთნელო ცვლილებას ელოდებიან, კიევოშიც?

ყველაფერს აქვს თავისი დასასრული. ვფიქრობთ, „რომაში“ **ლუჩანო სპალეტის** ერა სწორედაც რომ დასრულებულია. მხოლოდ ფორმალური გადაწყვეტილებაა მისალები. მართალია, „ტრიგორიაში“ მწვრთნელს დიდ პატივს სცემენ, მაგრამ ნდობის კრედიტი უკვე ამოწურულია. მან „რომას“ ფასეული ვერაფერი მოაგებინა. ნებისმიერი მწვრთნელის შესაძლებლობებს თავისი ზღვარი აქვს. უნდა იგრძნო, რომ ამ ზღვარზე ხარ და იმის იქით ფეხს ველარ დგამ, ჰოდა, უნდა დაიხურო ქუდი და წახვიდე. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ „რომას“ პრეზიდენტმა ქალბატონმა **როზელა სენსიმ** მწვრთნელს სრული ნდობა გამოუცხადა, თუმც ეს იყო ავანსი, რომელიც დიდი ხნით არ გაცემულა. შაბათს „რომას“ ტურინში რაღაც უნდა დაემტკიცებინა...

აპენინებზე არავინ დავობს, რომ სპალეტი სერიოზული სპეციალისტია. ბოლოს და ბოლოს, „იუვენტუსიდან“ წასვლის წინ **მარჩელო ლიპიმ** მემკვიდრედ სწორედ სპალეტი ისურვა. საყოველთაო აღიარებით, სპალეტის „რომა“ იტალიაში ყველაზე თვალწარმტაც ფეხბურთს თამაშობდა, მაგრამ ეს ვერ დაგვირგვინდა იმ დიდი გამარჯვებით, რაც 8 წლის წინ „რომას“ **ფაბიო კაპელომ** მოუტანა. სპალეტი ხომ კაპელო არ არის. დღეს „რომა“ სულს ღაფავს. რაოდენ ძნელი წარმოსადგენიც არ უნდა იყოს, ზედიზედ ოთხი მარცხის შემდეგ ის გავარდნის კანდიდატია. ვფიქრობთ, ამ სიტუაციაში გუნდს ვერც **ფრანჩესკო ტოტი** უშველიდა...

საფინალო სასტვენის შემდეგ სპალეტი ერთხანს გაშტერებული იდგა და მოედანს უაზროდ გასცქეროდა. ვერ დავიჩემებთ, მაგრამ არ არის გამორიცხული, ის ფიქრობდა, რომ უკვე პრესკონფერენციაზე გაეკეთებინა გადადგომის შესახებ განცხადება. ჟურნალისტებთან საუბრისას გამოჩნდა, რომ ის მძიმე ვერდიქტს ელოდება:

*„ჩემთვის ძალიან ახლობელია ეს კლუბი, მისი ხელმძღვანელობა, ალარაფერს ვამბობ გუნდზე, რომელიც შეილივით მიყვარს... მაგრამ მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ, ყველას, გვეშინია იმისი, რომ კრიზისიდან ველარ გამოვალთ. სამწუხაროდ, ამგვარი გრძნობა კრიზისს უფრო აღრმავებს და სწორედ ეს უნდა გავითავისოთ. თუმცა მაინც მჯერა, რომ გამოსავალი არსებობს და ეს გამოსავალი ერთიანობა, სიმშვიდე და ენთუზიაზმია. გადადგომა? კლუბს ჰყავს მფლობელები, რომლებიც ძალიან კარგად ერკვევიან სიტუაციაში. თუკი ისინი გადაწყვეტილებას მიიღებენ, მე ყველაფრისთვის მზად ვიქნები“.*

„რომასგან“ განსხვავებით, „იუვენტუსი“ კრიზისიდან გამოდის. **კლაუდიო რანიერის** შეგირდებმა ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმეს. „ქალბატონი“ უაღრესად მოტივირებული და მობილიზებული იყო. ჩანს, რომ ტურინულ გრანდს „შემოლაწუნებამ“ უშველა. მისი თითოეული რგოლი, მეტადრე თავდასხმა, მეტოქისას ბარე ერთი თავით აღემატებოდა. რომაელთაგან გამოვარჩევდით მხოლოდ მეკარე **დონის**, რომელმაც სამი „მკვდარი“ ბურთი მოიგერია. ეფექტურობის მხრივ, **ამაურის** „მაკრატელაა“ აღსანიშნავი, თუმც სირთულით **კიელინის** თავური გაცილებით ძნელი მოსაგერიებელი იყო...

მასპინძლებმა ანგარიში 38-ე წუთზე გახსნეს. **დელ პიერომ** ბრწყინვალედ შეასრულა საფირმო ჯარიმა, დონი 25 მეტრიდან დარტყმულს ვერ შესწვდა და ბურთი პირდაპირ „ცხრიანში“ გაეხვია. დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, დელ პიერომ დროულად შენიშნა **მარკიონის** მანევრი, რომელმაც ბავშვივით გააცურა **რიისე** და მეკარეს წამებში დაასწრო - 2:0.

„ინტერმა“ კინაღამ ორი ქულა დატოვა რეჯოკალაბრიაში, სადაც სერია A-ს აუტსაიდერს ხვდებოდა. მანამდე, ჩემპიონმა მიჯრით ორი ნულოვანი ფრე ითამაშა და ლიდერობა დათმო. „რეჯინასთან“ წაბორძიკების შემთხვევაში **ჟოზე მოურინიოს** კრიტიკის უფრო მძლავრი ტალღა დაატყდებოდა თავს (თუმც მეორე ტაიმის გამო, კრიტიკის გვარიან დოზას ის მაინც ვერ დაუძვრება). და აი, მას მშველელად **კორდობა** მოევლინა. ბოლო კუთხურის შემდეგ, როცა მსაჯი უკვე წამზომს დასცქეროდა, კოლუმბიელი წამით ღიად დარჩა და 5-6 მეტრიდან ბურთი კარში მოათავსა. არადა, „რეჯინამ“ თავგამოდებით იბრძოლა - ორბურთიანი სხვაობაც გააბათილა, საგოლე მომენტებიც შექმნა, მაგრამ ბოლოს მაინც მოადუნა ყურადღება და დაისაჯა. მაგრამ თავგამოდება არც „ინტერს“ აკლდა და მოურინიომ ეს საგანგებოდაც შეუქო თავის სამწყსოს, განსხვავებით იმ ორი უხეში შეცდომისგან, რასაც მასპინძელთა გოლები მოჰყვა.

დრამატულად წარიმართა მატჩი უდინეში, სადაც ერთ-ერთი ლიდერი წელს სოლიდურად მოთამაშე „ჯენოას“ მასპინძლობდა. „უდინეზეს“ მწვრთნელმა **პასკუალე მარინომ კვალიარელა** და **დი ნატალე** (მცირე ტრავმა აწუხებდა) თადარიგში დატოვა. თუმცა პირველი ტაიმი მათ გარეშეც მოიგო. მარინოს ისინი შესვენების შემდეგ დასჭირდა. მეორე ტაიმის შუაწელში „ჯენოამ“ წინ გასვლა მოახერხა, თუმცა შეცვლაზე შესულმა კვალიარელამ მალევე აღადგინა წონასწორობა. მასპინძელთა მწვრთნელი ვა-ბანკზე წავიდა და ჯერაც ტრავმამოუშუშებელი დი ნატალეც ჩართო თამაშში. კაპიტანს ცოტა დააკლდა, გმირი რომ გამხდარიყო - მის მიერ ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმული **რუბინიომ** ძლივს მოიგერია. მიუხედავად დაკარგული ქულებისა, ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით „უდინეზე“ ცხრილის სათავეში რჩება.

„ლაციოს“ ძალიან გაუჭირდა „კატანიასთან“. **დელიო როსიმ** სასტარტოში 3 ფორვარდი დააყენა, თუმც მეორე ტაიმიდან ტაქტიკა შეცვალა. გამარჯვების გოლი კი მაშინ გავიდა, როცა წინ მხოლოდ ორი თავდამსხმელი იყო, ხოლო გმირად - შეცვლაზე შესული ნახევარმცველი **ფოჯა** მოგვევლინა. მართალია, არგენტინელი **სარატე** ველარ ყოჩაღობს, მაგრამ გუშინდელ შეხვედრაში ჩვეულებრივად აქტიური იყო და საგოლე პასიც გაიფორმა.

გუშინდელი ტურის შემდეგ ორი სამწვრთნელო ცვლილებაა მოსალოდნელი. „ბოლონიამ“ და „კიევომ“ ზედიზედ 3-3 მატჩი წააგეს, შესაბამისად, **დანიელე არიგონი** და **ჯუზეპე იაკინი** გადაყენების რეალური კანდიდატები არიან. „სიენასა“ და „სამპდორიას“ გამარჯვებებისთვის თითო გოლი დასჭირდათ. ტოსკანურ დერბიში „ფიორენტინის“ მარცხი, მეტწილად, მასპინძელთა მეკარე **კურჩის** ბრწყინვალე თამაშმა განაპირობა, თუმც უსაქმოდ არც **ფრეი** ყოფილა. „სამპმა“ „ტორინო“ ბელუჩის ქუსლურით დაამარცხა (ზედიზედ მეორე გამარჯვება). არ არის გამორიცხული, პოსტიდან „ტოროს“ მწვრთნელი **ჯანი დე ბიაზიც** მოხსნან. „ატალანტისა“ და „ლეჩეს“ მატჩში, რომელიც უგოლოდ დასრულდა, მასპინძლებს ნაღდი პენალტი არ დაუნიშნეს.

ტურის ბოლო მატჩში „მილანმა“ „ნაპოლის“ 1:0 მოუგო და ერთპიროვნულ ლიდერად მოგვევლინა. „როსონერი“ ბოლო პერიოდში ქულას ქულაზე აგროვებს. მართალია, **კარლო ანჩელოტი** თამაშის ხარისხით ჯერაც უკმაყოფილოა, მაგრამ ქულები ამ ხარისხსაც მოაქვს.

„მილანს“ ძალიან გაუჭირდა, რაც მოსალოდნელიც იყო. მატჩამდე ხომ „ნაპოლი“ მეტოქეს ერთი საფეხურით უსწრებდა და „უდინეზესთან“ ერთად ლიდერობდა კიდეც. „როსონერიმ“ კი ორხელისუფლებიანობა ერთი გამარჯვებით დაამხო და სათავეში თავად წამოსკუპდა. მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე **კაკამ** პენალტი ვერ გაიტანა და თითქოს, „მილანი“ ქულების დაკარგვას უნდა შეგუებოდა, მაგრამ... „ნაპოლი“ იმ **დენისმა** დალუპა, წინა ტურში თავისიანებს ჰეთ-თრიკით რომ მოაგებინა. არგენტინელმა ბურთს უხერხულად მოარტყა თავი და ავტოგოლი გაიფორმა.

და ბოლოს ჩვენთვის სასიამოვნო ფაქტიც: ერთთვიანი პაუზის შემდეგ მოედანზე დაბრუნდა **კახა კალაძე**, რომელიც ანჩელოტიმ 75-ე წუთზე ფავალის ნაცვლად ათამაშა.

**გიორგი გელაშვილი**

### მომდევნო ტური

8 ნოემბერი. ბოლონია-რომა, ტორინო-პალერმო. 9 ნოემბერი. ნაპოლი-სამპდორია, ლეჩე-მილანი, ლაციო-სიენა, ჯენოა-რეჯინა, ფიორენტინა-ატალანტა, კიევო-იუვენტუსი, კატანია-კალიარი, ინტერი-უდინეზე.

### რეჯინა-ინტერი 2:3

**რეჯინა:** კამპანიოლო-5.5, ლანძარო-6.5 (75. კოზენცა), ჩირილო-6, კ. ვალდესი-5.5, კოსტა-5.5, ბარეტო-6, კარმორა-6, ვიჯანი-6.5, ბრიენცა-7 (82. ტონიოცი), კოცა-7 (69. დი ჯენარო-6), კორადი-6.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-5.5, მაიკონი-7, კორდობა-7, კივუ-6 (75. ბურდისო), მაქსველი-5.5, კვარეშმა-6.5 (82. ობინა), ვიეირა-6.5, ხ. ძანეტი-6, მანსინი-5.5 (58. კრესპო-6), იბრაჰიმოვიჩი-6.5, ბალოტელი-5.

**გოლები:** 0:1 მაიკონი (9), 0:2 ვიეირა (24), 1:2 კოცა (34), 2:2 ბრიენცა (54), 2:3 კორდობა (90)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 25-19; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 17-19 (7-7); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 22 500

### იუვენტუსი-რომა 2:0

**იუვენტუსი:** მანინგერი-6, გრიგერა-6 (77. მელბერგი), ლეგროტალიე-6.5, კიელინი-6.5, მოლინარო-6.5, ტიაგო-6, სისოკო-6, მარკიონი-6.5, ნედვედი-6 (81. დე ჩელიე), დელ პიერო-7, ამაური-7 (74. იაკვინტა-6).

**რომა:** ა. დონი-6.5, პანუჩი-6 (58. სისინიო-5.5), მექსე-5.5, ჟუანი-5, რიისე-5, დე როსი-6.5, პისარო-6 (68. ოკაკა ჩუკა-5.5), პეროტა-5.5, ტადეი-5.5 (46. მენეზი-5.5), ბაპტისტა-6, ვუჩინიჩი-5.

**გოლები:** 1:0 დელ პიერო (38), 2:0 მარკიონი (48)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 11-6; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 4-7; **კარში დარტყმა:** 21-6 (6-0); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 21 700

### უდინეზე-ჯენოა 2:2

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი-7, ფერონეტი-6, ა. კოდა-6, დომიცი-6, ლუკოვიჩი-6, ინლერი-6, გ. დ'აგოსტინო-7, პეპე-6.5, ისლა-6, სანჩესი-5.5 (71. დი ნატალე-6.5), ფლორო ფლორესი-6.5 (59. კვალიარელა-7).

**ჯენოა:** რუბინიო-6, პოტენცა-6, ბოკეტი-6, ფერარი-6.5, კრიშიტო-5 (61. მ. როსი-6), ვანდენ ბორე-6.5, ტ. მოტა-6.5, იურიჩი-6.5, იანკოვიჩი-6.5 (61. სკული-6.5), გასბარონი-6.5 (71. ბიავა-6), მილიტო-7.

**გოლები:** 1:0 გ. დ'აგოსტინო (4-პენ), 1:1 მილიტო (64-პენ), 1:2 სკული (67), 2:2 კვალიარელა (78)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 20-24; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 12-21 (5-9); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 18 000

### ლაციო-კატანია 1:0

**ლაციო:** კარისო-6, ლიხტშტაინერი-6.5, სივილია-6.5, როზენალი-7, რადუ-6, ბროკი-6 (69. ფოჯა-7.5), კ. ლედესმა-6.5, მაური-6, პანდევი-5.5 (84. ს. ინძაგი), როკი-5.5 (46. მეგნი-5), სარატე-7.5.

**კატანია:** ბიცარი-6.5, სარდო-6, სილვესტრე-5, სტოვინი-6.5, საბატო-5.5, პ. ლედესმა-6.5, იცკო-5.5 (87. მარტინესი), კარბონი-6, ბიაჯანტი-5.5 (85. ბაიოკო), მასკარა-6, პლასმატი-5.5 (69. მორიმოტო-5.5).

**გოლი:** 1:0 ფოჯა (85)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 9-26; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 14-6 (7-1); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 25 000

### სიენა-ფიორენტინა 1:0

**სიენა:** კურჩი-7, როსეტინი-6, სუნიგა-6, პორტანოვა-6.5 (85. მოტი), დელ გროსო-5.5, ვერგასოლა-6, კოდრეა-6, გალოპა-6, ხარჯა-7, კალაიო-5.5 (46. ფრიკი-6), მაკარონე-7 (89. გეზალი).

**ფიორენტინა:** ს. ფრეი-7, კომოტო (15. ძაური-5), კროლდრუპი-6.5, გამბერინი-5, პასკუალი-5.5, დონადელი-5.5, მელუ-5.5, ალმირონი-5.5 (75. კუჟმანოვიჩი), სანტანა-5.5, პაცინი-6, მუტუ-6 (67. იოვეტიჩი-6).

**გოლი:** 1:0 ხარჯა (76)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 7-5; **კარში დარტყმა:** 10-12 (4-4); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 12 468

### ატალანტა-ლეჩე 0:0

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-6.5, დარიჩი-6.5, ტალამონტი-6.5, თ. მანფრედინი-6 (65. კაპელი-6), ბელინი-6 (76. რივალტა), პინტუ-5, დე აშენტისი-6.5, გუარენტე-5 (63. პადოინი-6), ხ. ვალდესი-6, კ. დონი-5, ფლოკარი-5.5.

**ლეჩე:** ბენუსი-6.5, პოლენგი-6, სტენდარდო-7 (46. ფაბიანო-6), დიამუტენი-7, ანტუნეში-6.5, მუნარი-6.5 (84. კასტილიო), ძანკეტა-7.5, არიატი-6, არდიტო-6.5 (65. კაზერტა-6), კაჩა-6, ტირიბოკი-6.

**გაძევება:** ხ. ვალდესი (67. ატალანტა)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 12-18; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 9-11 (1-3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 10 000

### პალერმო-კიევო 3:0

**პალერმო:** ა. ფონტანა-6.5, კასანი-5.5, კაროციერი-6 (79. დელაფიორე), კიაერი-7.5, ბალცარეტი-7, ნოჩერინო-7, მილიაჩო-5.5, ბრეშანო-5, სიმპლისიუ-5.5 (90. ჯოვ. ტედესკო), კავანი-6.5, მიკოლი-7 (81. ბუდანი).

**კიევო:** სორენტინო-5.5, ნ. ფრეი-6, მანდელი-5, იეპესი-4.5, სკარდინა-5, ლუსიანო-6.5 (74. მ. ესპოზიტო-5.5), პატრასკუ-4.5 (55. ლუნკო-6), ბენტივოლიო-5.5, მარკოლინი-5 (63. პინცი-6), ბოგდანი-5, პელისიერი-6.5.

**გოლები:** 1:0 მიკოლი (23-პენ), 2:0 კიაერი (37), 3:0 კავანი (46)

**გაძევება:** ბრეშანო (48. პალერმო)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 20-16; **თამაშგარე:** 9-5; **კარში დარტყმა:** 11-17 (3-2); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 21 000

### კალიარი-ბოლონია 5:1

**კალიარი:** მარკეტი-6, ფ. პიზანო-7 (80. მატიო), ლოპესი-6.5, ბიანკო-7, აგოსტინი-7.5, ბიონდინი-6.5, კონტი-6.5, პაროლა (21. ლაძარი-7), კოსუ-7.5, მატრი-7 (64. ჟედა-7), აკვაფრესკა-8.

**ბოლონია:** ანტონიოლი-6, ტერცი-5, მორასი-4.5, კასტელინი-5 (46. ბრიტოსი-4), ლანა-5, ვალიანი-5 (65. კოელიო-5), მუდინგაი-5.5, კარუსი-5, როდრიგესი-5, დი ვაიო-6, მარაცინა-4 (73. ბერნაჩი-5).

**გოლები:** 0:1 დი ვაიო (18), 1:1 აკვაფრესკა (45), 2:1 კონტი (48), 3:1 აკვაფრესკა (52), 4:1 ჟედა (69), 5:1 ჟედა (85)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 14-23; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 23-4 (13-1); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 13 000

### სამპდორია-ტორინო 1:0

**სამპდორია:** კასტელაცი-6.5, ლუკინი-6 (52. ბოტინელი-5.5), გასტალდელო-6, აკარდი-6.5, დ. ფრანჩესკინი-6, პადალინო-6.5, სამარკო-6 (49. დესენა-6), პიერი-5.5, დელვეკიო-5.5 (71. ციგლერი-5.5), ბელუჩი-6.5, კასანო-7.

**ტორინო:** კალდერონი-6, კოლომბო-6.5 (75. პ. ძანეტი-5.5), ნატალი-6 (36. ოგბონა-6.5), დი ლორეტო-6, მ. პიზანო-6.5, დიანა-6, ჯემაილი-6, ბარონე-6 (84. ზოიმელი), რუბინი-5.5, სტელონე-6, ამორუზო-6.5.

**გოლი:** 1:0 ბელუჩი (85)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 20-20; **თამაშგარე:** 8-2; **კარში დარტყმა:** 15-10 (5-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 20 500

### მილანი-ნაპოლი 1:0

**მილანი:** აბიატი-6, ძამბროტა-6, ბონერა-6, ფავალი-5.5 (75. კალაძე), იანკულოვსკი-6.5, გატუზო-7, ამბროზინი-6.5 (60. პატო-5), ზეედორფი-7, კაკა-5.5, რონალდინიო-6.5, ბორიელო-6 (71. ფ. ინძაგი-6).

**ნაპოლი:** იეცო-7.5, სანტაკროჩე-6.5 (55. პაციენცა-5.5), კანავარო-6.5, კონტინი-6, მაჯო-5.5, ბლაზი-6 (87. რუსოტო), გარგანო-6.5, ჰამშიკი-5.5 (46. არონიკა-6), მანინი-6, დენისი-5, ლავეცი-7.

**გოლი:** 1:0 დენისი (86-საკ. კარში)

*85-ე წუთზე კაკამ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაძევება:** მაჯო (44. ნაპოლი)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 13-2; **ჯარიმა:** 25-19; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 20-6 (6-3); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 54 079

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 10 | 7 | 1 | 2 | 15-7 | 22 |
| 2. უდინეზე | 10 | 6 | 3 | 1 | 19-8 | 21 |
| 3. ინტერი | 10 | 6 | 3 | 1 | 16-7 | 21 |
| 4. ნაპოლი | 10 | 6 | 2 | 2 | 14-8 | 20 |
| 5. ლაციო | 10 | 6 | 1 | 3 | 18-12 | 19 |
| 6. იუვენტუსი | 10 | 5 | 3 | 2 | 11-7 | 18 |
| 7. ჯენოა | 10 | 5 | 2 | 3 | 14-10 | 17 |
| 8. ფიორენტინა | 10 | 5 | 2 | 3 | 12-8 | 17 |
| 9. პალერმო | 10 | 5 | 1 | 4 | 15-14 | 16 |
| 10. კატანია | 10 | 4 | 3 | 3 | 9-8 | 15 |
| 11. ატალანტა | 10 | 4 | 2 | 4 | 9-9 | 14 |
| 12. სიენა | 10 | 3 | 3 | 4 | 8-8 | 12 |
| 13. ლეჩე | 10 | 2 | 5 | 3 | 9-11 | 11 |
| 14. კალიარი | 10 | 3 | 1 | 6 | 10-13 | 10 |
| 15. სამპდორია | 9 | 2 | 4 | 3 | 7-11 | 10 |
| 16. ტორინო | 10 | 2 | 2 | 6 | 9-14 | 8 |
| 17. რომა | 9 | 2 | 1 | 6 | 9-17 | 7 |
| 18. კიევო | 10 | 1 | 3 | 6 | 6-16 | 6 |
| 19. ბოლონია | 10 | 2 | 0 | 8 | 8-19 | 6 |
| 20. რეჯინა | 10 | 1 | 2 | 7 | 8-19 | 5 |

**ბომბარდირები:** 7 - ჯილარდინო (ფიორენტინა); 6 - მიკოლი (პალერმო), მილიტო (ჯენოა), სარატე (ლაციო); 5 - ამაური (იუვენტუსი), დენისი (ნაპოლი), დი ვაიო (ბოლონია), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), პანდევი (ლაციო), კვალიარელა (უდინეზე); 4 - აკვაფრესკა (კალიარი), კავანი (პალერმო), კორადი (რეჯინა), დი ნატალე (უდინეზე), ფლოკარი (ატალანტა), ჰამშიკი (ნაპოლი).

## სერია B

### XII ტური

**ბარი-პიზა 1:0**

გოლი: 1:0 ბარეტო (69-პენ)

**ემპოლი-ანკონა 1:3**

გოლები: 0:1 ნასი (19), 1:1 ლოდი (23), 1:2 ნასი (74), 1:3 მასტრონუნციო (79)

**მანტოვა-გროსეტო 2:1**

გოლები: 1:0 ლოკატელი (14), 2:0 გოდეასი (69), 2:1 სფორცინი (78)

**მოდენა-ჩიტადელა 3:3**

გოლები: 0:1 განჩი (4), 0:2 მეჯორინი (18), 1:2 გასპარეტო (34), 2:2 ბრუნო (61-პენ), 3:2 ჯემიტი (84), 3:3 იორი (90-პენ)

**პიაჩენცა-პარმა 1:1**

გოლები: 1:0 დელ მარე (70), 1:1 პიზანუ (89)

**სალერნიტანა-ვიჩენცა 0:0**

**ტრევიზო-ალბინოლეფე 1:1**

გოლები: 0:1 ლანერი (3), 1:1 ძანინელი (31)

**ტრიესტინა-ფროზინონე 2:2**

გოლები: 0:1 ბიზო (24), 0:2 ანტონაცო (45), 1:2 ტაბიანი (47), 2:2 არდემანი (74)

**აველინო-სასუოლო 0:0**

**ასკოლი-რიმინი დღეს**

**ლივორნო-ბრეშა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გროსეტო | 12 | 6 | 3 | 3 | 24-17 | 21 |
| 2. ემპოლი | 12 | 6 | 3 | 3 | 17-12 | 21 |
| 3. ვიჩენცა | 12 | 5 | 5 | 2 | 15-6 | 20 |
| 4. სასუოლო | 12 | 6 | 2 | 4 | 17-11 | 20 |
| 5. ბარი | 12 | 5 | 5 | 2 | 12-10 | 20 |
| 6. ბრეშა | 11 | 5 | 4 | 2 | 14-12 | 19 |
| 7. პარმა | 12 | 4 | 6 | 2 | 16-11 | 18 |
| 8. ალბინოლეფე | 12 | 4 | 6 | 2 | 12-11 | 18 |
| 9. სალერნიტანა | 12 | 5 | 3 | 4 | 11-13 | 18 |
| 10. ტრიესტინა | 12 | 4 | 5 | 3 | 17-16 | 17 |
| 11. ანკონა | 12 | 4 | 4 | 4 | 19-14 | 16 |
| 12. ლივორნო | 11 | 3 | 7 | 1 | 16-11 | 16 |
| 13. პიზა | 12 | 4 | 4 | 4 | 15-14 | 16 |
| 14. მანტოვა | 12 | 4 | 4 | 4 | 11-10 | 16 |
| 15. ფროზინონე | 12 | 4 | 4 | 4 | 15-17 | 16 |
| 16. პიაჩენცა | 12 | 3 | 4 | 5 | 8-11 | 13 |
| 17. რიმინი | 11 | 3 | 2 | 6 | 11-18 | 11 |
| 18. ასკოლი | 11 | 2 | 3 | 6 | 6-12 | 9 |
| 19. ჩიტადელა | 12 | 2 | 5 | 5 | 8-13 | 8 |
| 20. ტრევიზო | 12 | 2 | 5 | 5 | 12-18 | 7* |
| 21. მოდენა | 12 | 1 | 4 | 7 | 13-23 | 7 |
| 22. აველინო | 12 | 1 | 6 | 5 | 9-18 | 6* |

*შენიშვნა: * - ტრევიზოს დაკლებული აქვს 4 ქულა, აველინოს 3*

**ბომბარდირები:** 9 - მასტრონუნციო (ანკონა); 7 - კ. ლუკარელი (პარმა); 6 - ედერი (ფროზინონე), ლოდი (ემპოლი), სანსოვინი (გროსეტო), ტავანო (ლივორნო); 5 - ბრუნო (მოდენა), ნასი (ანკონა), ნოსელი (სასუოლო), პიხლმანი (გროსეტო), ზგრინია (ვიჩენცა), ვანტაჯატო (რიმინი).

## სერია C1/A

### X ტური

ჩეზენა-ნოვარა 1:1; ლენიანო-ვენეცია 2:1; ლუმეცანე-კრემონეზე 0:0; პერგოკრემა-ლეკო 1:2; პორტოგრუარო-ვერონა 0:0; პროპატრია-პრო სესტო 1:1; რეჯანა-რავენა 1:1; სამბენედეტეზე-მონცა 0:0; სპალ-პადოვა 1:0.

## სერია C1/B

### X ტური

ფოჯა-არეცო 2:1; ფოლინიო-პესკარა 0:0; გალიპოლი-კავეზე 5:1; იუვე სტაბია-პისტოიეზე 0:0; პაგანეზე-პერუჯა 2:1; პოტენცა-სორენტო 1:1; ტარანტო-კროტონე 0:1; ვირტუს ლანჩანო-ტერნანა 2:0; ბენევენტო-რეალ მარჩანიზე დღეს.

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. IX ტური

# ტანგო წვიმაში




ვალენსიამ ლიდერობა დათმო

„ბარსელონა" ჯერჯერობით შეუჩერებელია. კატალონიური გრანდი ყველა სტადიასა და ყველანაირ ამინდში იმარჯვებს. თავად განსაჯეთ. **ხოსეპ გვარდიოლას** ბიჭებმა პრიმერა დივიზიონში, ჩემპიონთა ლიგასა და სამეფო თასზე საერთო ჯამში ზედიზედ 11 მატჩი მოიგეს. მართალია, მათ მსოფლიო გრანდი ჯერ არ გადაყრიათ, მაგრამ ასეთი წარმატებული სვლა გარკვეული დასკვნის გამოტანის საფუძველს ნამდვილად გვაძლევს. „ბარსელონამ" სეზონი ცუდად დაიწყო. სადებიუტო ორ ტურში მათ ჯერ „ნუმანსიასთან" წააგეს, შემდეგ კი „რასინგს" შინ დაუზავდნენ. იმდროინდელ პრესაში კრიტიკული წერილები იწერებოდა და მიმომხილველები ამბობდნენ, „ბარსას" წელს ძალიან გაუჭირდებაო. ვინც ამ მოსაზრებას აქვეყნებდა, რა თქმა უნდა, ვერ წარმოიდგენდა, რომ მომდევნო 11 მატჩი კატალონიელთა შთამბეჭდავი გამარჯვებებით დასრულდებოდა. თავად განსაჯეთ, გვარდიოლას ფეხბურთელებმა „ატლეტიკო", „ბაზელი", „ალმერია' და „მალაგა" დიდი ანგარიშით გაანადგურეს. კატალონიელთაგან პირველად 6 გოლი ხიხონის „სპორტინგმა" იგემა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამ გუნდის მილწევები აღფრთოვანებას იწვევს.

მალაგაში კოკისპირულად წვიმდა. მოედანი წყალბურთის აუზს უფრო ჰგავდა, ვიდრე საფეხბურთო არენას. სპეციალისტები ფიქრობდნენ, რომ ტექნიკური ფეხბურთის მოყვარულ „ბარსას" საკუთარი თამაშის პოვნა და მოგება გაუჭირდებოდა, მაგრამ კატალონიელებმა ყველა პროგნოზი დაამხეს. ანდალუსიელებთან გამარჯვებაში **ჩავიმ** უდიდესი წვლილი შეიტანა. ანგარიში სწორედ მისი საჯარიმო დარტყმის წყალობით გაიხსნა. მართალია, მასპინძლებმა მალევე გაათანაბრეს, მაგრამ სტუმრებს ამის გამო ნერვიულობა არ დასტყობიათ. ისინი კვლავ მშვიდად და აუღელვებლად თამაშობდნენ. გვარდიოლას თითოეული მოთამაშე დარწმუნებული იყო, რომ შინ 3 ქულით დაბრუნდებოდა. ასეც მოხდა. მალაგელთა სიხარული ცოტა ხანს გაგრძელდა, რადგან **დუდას** გოლს **მესიმ** უპასუხა. ახალგაზრდა არგენტინელმა მშვენიერი რეიდი განახორციელა. მართალია, წვიმის გამო დარტყმის წინ ოდნავ წაიბორძიკა, მაგრამ დროულად წამოდგა და **არნაუს** შორეულ კუთხეში გაუტანა. მეორე ტაიმში **ჩავიმ** შეცვლაზე შესული **ტიერი ანრის** შესანიშნავი პასი ლამაზ გოლად აქცია. ბოლოს **ველიგტონმა** საკუთარი კარი დალაშქრა და ამით ყველაფერი დასრულდა.

ხოსეპ გვარდიოლამ შეხვედრა ასე შეაფასა: *„მოედანი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ თამაში შეუძლებელი გახდა. დღეს ფეხბურთის ხილვას არ ველოდი, მაგრამ ჩემმა ბიჭებმა სასწაული მოახდინეს. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მათ სრულიად ახალი თამაში გამოიგონეს. როცა მსაჯმა შეხვედრის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო, ფეხბურთელებს ვუთხარი, ძალიან ფრთხილად ითამაშეთ, ასეთ ამინდში უმცირესი შეცდომაც კი საკრალური შეიძლება გამოდგეს-მეთქი. ბიჭებმა დამიჯერეს. ძალიან ყურადღებით იასპარეზეს და მორიგი 3 ქულა მოიპოვეს. სახლში, რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვბრუნდებით."*

„მალაგის" მთავარმა მწვრთნელმა **ანტონიო ტაპიამ** კაპიტულაცია აღიარა. მისი თქმით, „მალაგას" დღესდღეობით „ბარსელონის" დამარცხება არ შეუძლია.

„ვალენსია" მიმდინარე სეზონში პირველად დამარცხდა. ეს კი საკმარისი გახდა იმისთვის, რომ „ღამურებს" პირველობა „ბარსელონისთვის" დაეთმოთ. „რასინგი" „ვალენსიისთვის" ტრადიციულად უხერხული მოწინააღმდეგეა. სანტანდერელებმა „მესტალიიდან" მორიგი 3 ქულა წაიღეს. ამ საქმეში ყველაზე დიდი როლი **ჩიტემ** ითამაშა. მისმა ჰეთთრიკმა მასპინძლები წელში გატეხა. გუნდს ყოვლისშემძლე **დავიდ ვილიამაც** ვერ უშველა. შესაძლოა, **უნაი ემერის** გუნდი ცუდმა ამინდმაც შეიწირა. კლიმატური პირობები, რა თქმა უნდა, ორივე კლუბისთვის თანაბრად შემაწუხებელი იყო, მაგრამ აშკარად გამოჩნდა, რომ დატბორილ მოედანზე სტუმრები შედარებით კომფორტულად გრძნობდნენ თავს და სახიფათო კონტრიერიშებსაც აწყობდნენ. ასე იყო თუ ისე, სანტანდერელებმა ღირსეულად ითამაშეს. სხვათა შორის, თავი მასპინძლებსაც არ დაუზოგავთ, მაგრამ მათ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვეს. ერთ-ერთ ასეთ შეცდომად **დავიდ ალბელდას** ავტოგოლი შეიძლება მივიჩნიოთ. ვილიას გულშემატკივრებს ამჯერად მხოლოდ იმით შეუძლიათ დაიმშვიდონ თავი, რომ დავიდს მოედანი უგოლოდ ამჯერადაც არ დაუტოვებია. მან 28-ე წუთზე პენალტით გაიტანა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე უნაი ემერი ნირწამხდარი გამოცხადდა, თუმცა ფეხბურთელების მისამართით ერთი სასაყვედურო სიტყვაც არ უთქვამს: *„რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს, მაინც ვაღიარებ, რომ „რასინგი" ღირსეული მოწინააღმდეგე აღმოჩნდა და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. ბუნებრივია, დღეს გამარჯვება გვსურდა. ერთი შეხედვით, 3 ქულის მოსაპოვებლად ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ ხელმოცარული დავრჩით. საშინაო მარცხი ორმაგად მტკივნეულია, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაქცეულა. ახლა მთავარია, განწყობა გავიუმჯობესოთ და მომდევნო დაპირისპირებებისთვის კარგად მოვემზადოთ."*

„რასინგის" მთავარი მწვრთნელი, **ხოსე რამონ ლოპეს მუნისი** გამარჯვებაზე მეტად ფეხბურთელების გულმოდგინებით იყო კმაყოფილი. მისი თქმით, მოთამაშეებმა მწვრთნელის უკლებლივ ყველა მითითება ზედმიწევნით კარგად შეასრულეს.

„ატლეტიკომ" ზედიზედ 4 მატჩში მოუგებელი მატჩის შემდეგ, როგორც იქნა, მოიგო. უნდა აღინიშნოს, რომ ოთხიდან მადრიდელებმა სამი წააგეს. ამ ყველაფრის გამო **ხავიერ აგირეს** სავარძელს წყალი შეუდგა, თუმცა, წინა ტურში „ვილიარეალთან" გადარჩენილი ქულისა და „მალიორკასთან" გამარჯვების გამო მექსიკელ სპეციალისტს ნდობის მანდატი გაუხანგრძლივეს. აგირემ დასვენებული **სერხიო აგუერო** ძირითად შემადგენლობაში დააბრუნა. არგენტინელმა მწვრთნელს იმედები გაუმართლა. კუნმა სულ რაღაც ნახევარ საათში დუბლი შეასრულა და „როხიბლანკოს" ჰაერივით საჭირო 3 ქულა შესძინა. სამეფო თასის შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, 20 სექტემბრის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა „ატლეტიკოს" გოლი არ გაუშვია. გემახსოვრებათ, რომ წინა ტურში მადრიდელებმა „ელ მადრიგალზე" 4 ბურთი იგემეს. 3 კვირით ადრე კი „ბარსელონას" 6 გოლი გაატანინეს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მალიორკასთან" კარის მშრალად შენახვა კარგი ტენდენციაა.

ალბათ, იმის თქმაც შეიძლება, რომ ბილბაოში მოპოვებული გამარჯვებით „ვილიარელმა" მცირე კრიზისი დაძლია. მართალია, **მანუელ პელეგრინის** გუნდს პრიმერა დივიზიონში ჯერ არ წაუგია, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ „ბილბაოსთან" შეხვედრამდე 3 დღით ადრე „ყვითლებმა" „პოლი ეხიდოსთან" სამარცხვინო ანგარიშით 0:5 წააგეს. პელეგრინიმ გულშემატკივრებს განუმარტა, რომ ეს შემთხვევითობა იყო და პირობა მისცა, შეცდომას უახლოეს მატჩშივე გამოვასწორებთო. ფეხბურთელებმა ჩილელ სპეციალისტს სიტყვა არ გაატეხინეს. სტუმრებმა ბასკები პირწმინდად დაჩაგრეს. მასპინძლებმა მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ტაიმში გასწიეს. შესვენების შემდეგ კი კაპიტულაცია გამოაცხადეს.

„ესპანიოლმა" ზედიზედ 6-მატჩიან მოუგებელ სერიას დაუსვა წერტილი. ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება **რაულ ტამუდოს** გოლის წყალობით იქნა მოპოვებული. „ოსასუნა" კი ისევ ღრმა კრიზისშია. შეგახსენებთ, პამპლონური გუნდი ერთადერთია, რომელსაც მიმდინარე სეზონში ერთი თამაშიც არ მოუგია.

„ვალიადოლიდმა" მცირე სასწაული მოახდინა. კასტილიურმა კლუბმა „სევილიასთან" მატჩში ჯერ ორბურთიანი ჰანდიკაპი ამოქაჩა, შემდეგ კი გამარჯვების გოლიც შეაგდო. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ანდალუსიელებმა 3 ქულა მასპინძელთა მეკარის, **სერხიო ასენხოს** „არაჩვეულებრივი" თამაშის გამო დაკარგეს.

„სპორტინგი" აღარ ხუმრობს. სეზონის დასაწყისში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ პრიმერა დივიზიონის დებიუტანტები ზედიზედ მე-4 გამარჯვებას მოიპოვებდნენ. ეს ყველაფერი ხომ „ბარსელონასა" და „რეალთან" გაცამტვერების შემდეგ შეძლეს. ხიხონელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ამ ორმა უდიდესმა შეურაცხყოფამაც ვერ გატეხა.

„რეალმა" „უნიონ რეალთან" სათასო შეხვედრაში განცდილ სამარცხვინო ფიასკოს „ალმერიასთან" ფრეც დაუმატა. მიუხედავად იმისა, რომ მადრიდელები სტუმრად თამაშობდნენ, მიმომხილველები მათგან გამარჯვებას ელოდნენ. „რეალი" ხომ ყოველთვის ფავორიტია, მაგრამ ამჯერად **ბერნდ შუსტერის** ბიჭებმა საკმაოდ უსახურად ითამაშეს და სამი ქულის მოპოვება, ალბათ, არ დაიმსახურეს. ყოველ შემთხვევაში, „ალმერია" ბოლომდე იბრძოდა და წასაგებად ნამდვილად ცოდო იყო.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### მომდევნო ტური

9 ნოემბერი. **ბარსელონა-ვალიადოლიდი, დეპორტივო-ესპანიოლი, რასინგი-სპორტინგი, რეალი-მალაგა, სევილია-რეკრეატივო, ხეტაფე-ვალენსია, მალიორკა-ბილბაო, ოსასუნა-ატლეტიკო, ვილიარეალი-ალმერია, ნუმანსია-ბეტისი.**

### ბილბაო-ვილიარეალი 1:4

**ბილბაო:** ირაისოსი, ირაოლა, აიტორ ოსიო, ამორებიეტა (46. უსტარიტსი), ბალენსიაგა, დავიდ ლოპესი, ორბაისი, იესტე (61. ხავი მარტინესი), გაბილონდო, ეჩებერია (61. იონ ველესი), ფ. ლორენტე.

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ანხელი, გონსალო, გოდინი, კაპდევილია, სანტი კასორლა, მარკო სენა, ბრუნო, პირესი (83. ედმილსონი), როსი (63. მატი ფერნანდესი), ხ. ლორენტე (89. ალტიდორი).

**გოლები:** 0:1 როსი (24), 1:1 ეჩებერია (28), 1:2 პირესი (52), 1:3 პირესი (59), 1:4 ალტიდორი (90)

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 15(6)-14(6); **კუთხური:** 5-2; **თამაშგარე:** 1-0; **ჯარიმა:** 23-21; **ბურთის ფლობა:** 25%-75%

**მაყურებელი:** 37 000

### ატლეტიკო-მალიორკა 2:0

**ატლეტიკო:** ლო ფრანკო, ანტონიო ლოპესი, პერეა, ჰეიტინგა, პერნია, მაქსი როდრიგესი, ასუნსაო, მანიშე, სიმაო (87. ლუის გარსია), ფორლანი (66. სინამა პონგოლე), აგუერო (81. რაულ გარსია).

**მალიორკა:** მოია (46. ლუქსი), ხოსემი, რამისი, დ. ნავარო, კორალესი, ვალერა, მარტი (81. ვებო), მ. სუარესი, სკალონი (46. ტრეხო), არანგო, ადურისი.

**გოლები:** 1:0 აგუერო (14), 2:0 აგუერო (28)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 12(3)-19(8); **კუთხური:** 2-8; **თამაშგარე:** 0-1; **ჯარიმა:** 18-18; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 35 000

### მალაგა-ბარსელონა 1:4

**მალაგა:** არნაუ, გომესი, ველიგტონი, ელდერი, კალეხა, ელისეუ, მიგელ ანხელი, აპონიო (67. ფერნანდო), დუდა (75. ლუკე), ბაა, ადრიანი (61. ნაჩო).

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, დანიელ ალვეში, პიკე, პუიოლი, მარკესი, იაია ტურე, ჩავი, ინიესტა (49. ანრი), ბუსკეტსი, მესი (79. ვიქტორ სანჩესი), ეტო'ო (84. კრკიჩი).

**გოლები:** 0:1 ჩავი (5), 1:1 დუდა (12), 1:2 მესი (18), 1:3 ჩავი (52), 1:4 ველიგტონი (80-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 5(2)-14(4); **კუთხური:** 1-4; **თამაშგარე:** 1-1; **ჯარიმა:** 19-24; **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 30 000

### ვალენსია-რასინგი 2:4

**ვალენსია:** რენანი, მიგელი, რაულ ალბიოლი (67. მარჩენა), ალექსისი, მორეტი (61. მორიენტესი), ალბელდა, მანუელ ფერნანდესი (61. ბარახა), ხოაკინი, მატა, ვისენტე, ვილია.

**რასინგი:** ტონიო, პინილიოსი, მარკანო, სესარ ნავასი, სეპსი, ლასენი, კოლსა, მუნიტისი (88. გონკალვეში), ოსკარ სერანო, ჯონათან პერეირა (83. მორატონი), ჩიტე (90. ხუანხო).

**გოლები:** 0:1 ჩიტე (22), 1:1 ვილია (27-პენ), 1:2 ჩიტე (48), 2:2 ხოაკინი (67), 2:3 ჩიტე (79), 2:4 ალბელდა (84-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 11(7)-11(4); **კუთხური:** 4-4; **თამაშგარე:** 6-6; **ჯარიმა:** 17-19; **ბურთის ფლობა:** 67%-33%

**მაყურებელი:** 15 000

### სპორტინგი-ნუმანსია 3:1

**სპორტინგი:** პიჩუ, ნერუ, ხერარდი, კანელია, სასტრე, დიეგო კამაჩო, მატაბუენა, ბილიჩი (80. მიჩელი), კარმელო (18. კიკე მატეო), ხიმენესი, ლუის მორანი (64. დავიდ ბარალი).

**ნუმანსია:** კოლინასი, ბორისი, მანუელ პავონი, დომინგო, ხუანრა, ნაგორე, ხუან მორენო (73. ლორენსი), ა. ეჩებერია (61. გორკა ბრიტი), კამარერო, ბარკერო, მარიო (68. კერო).

**გოლები:** 0:1 ა. ეჩებერია (20), 1:1 ლუის მორანი (33), 2:1 ბილიჩი (65), 3:1 ბილიჩი (76-პენ)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 18(6)-9(3); **კუთხური:** 2-3; **თამაშგარე:** 2-1; **ჯარიმა:** 25-20; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 23 994

### ვალიადოლიდი-სევილია 3:2

**ვალიადოლიდი:** სერხიო ასენხო, ნანო, გარსია კალვო, მარკოსი, პედრო ლოპესი, მედუნიანინი, რუბიო (50. ვივარ დორადო), გოიტომი, ესკუდერო (46. კანობიო), ჯონათან სესმა, პედრო ლეონი (84. ბორხა).

**სევილია:** პალოპი, ესკუდე, სკილაჩი, ფერნანდო ნავარო, კონკო, დუშერი (46. ფასიო), მარესკა (67. არმენტეროსი), ლუიშ ფაბიანო, რენატო (86. ფერნანდო), რომარიკი, ხესუს ნავასი.

**გოლები:** 0:1 რენატო (19), 0:2 ხესუს ნავასი (24), 1:2 ჯონათან სესმა (44), 2:2 კანობიო (51), 3:2 კანობიო (64)

**გაძევება:** ლუიშ ფაბიანო (34. სევილია)

**გაფრთხილება:** 2-5; **დარტყმა:** 15(6)-6(4); **კუთხური:** 5-1; **თამაშგარე:** 3-3; **ჯარიმა:** 17-17; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 14 714

### ესპანიოლი-ოსასუნა 1:0

**ესპანიოლი:** კამენი, პარეხა, ხარკე, ბერანჟე, სერხიო სანჩესი (90. ლაკურსი), მოისეს ურტადო, დე ლა პენია (60. ლოლა), ტამუდო (79. კალეხონი), ლუის გარსია, ნენე, კორო.

**ოსასუნა:** რობერტო, მიგელ ფლანიო, როვერსიო, ოიერი, ასპილიკუეტა, ფრანსისკო პუნიალი, ნექუნამი, კიკე კოლა, ექტორ ფონტი (59. შოჯაეი), ხოკინი (73. დელპოტრი), ხუანფრანი (66. პანდიანი).

**გოლი:** 1:0 ტამუდო (62)

*ტამუდომ მე-9 წუთზე ვერ გაიტანა პენალტი*

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 10(3)-14(3); **კუთხური:** 1-2; **თამაშგარე:** 3-1; **ჯარიმა:** 27-21; **ბურთის ფლობა:** 20%-80%

**მაყურებელი:** 10 000

### რეკრეატივო-ხეტაფე 1:1

**რეკრეატივო:** რიესგო, არსო, მორისი, კასადო, იაგო ბუსონი, ხესუს ვასკესი, ხავი ფუეგო, აიტორ ტორნავაკა, ხავიერ კამუნიასი (87. აკალე), მარკო რუბენი (61. სისი), ხავი გერერო (76. კოლუნგა).

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, დანიელ დიასი, ბელენგერი, სელესტინი (63. გერონი), ლიხტი (79. კეპა), კორტესი, კასერო, გრანერო, მანუ (64. გავილანი), სოლდადო, ხუან ალბინი.

**გოლები:** 1:0 ხავი გერერო (50), 1:1 ხუან ალბინი (82)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 8(3)-17(3); **კუთხური:** 1-3; **თამაშგარე:** 6-0; **ჯარიმა:** 25-17; **ბურთის ფლობა:** 34%-66%

**მაყურებელი:** 18 000

### ალმერია-რეალი 1:1

**ალმერია:** დიეგო ალვესი, პელერანო, ჩიკო, მანე, ბრუნო, მოსკერა, ხუანიტო (73. სორიანო), კორონა (46. კალუ უჩე), პიატი, ორტისი (46. კრუსატი), ნეგრედო.

**რეალი:** კასილიასი, კანავარო, პეპე (48. მეტცელდერი), ჰაინცე, სერხიო რამოსი, დიარა, გაგო, რაული, სნეიდერი (78. გუტი), რობენი, იგუაინი (72. ვან დერ ვაარტი).

**გოლები:** 0:1 რაული (38), 1:1 პიატი (82)

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 15(3)-13(6); **კუთხური:** 5-3; **თამაშგარე:** 1-4; **ჯარიმა:** 25-11; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 15 000

### ბეტისი-დეპორტივო 0:3

**ბეტისი:** კასტო, დავიდ რივასი, არსუ, ფერნანდო ვეგა, ნელსონი, ხესუს კაპი, მუპმეთ აურელიო, პავონე (71. ხოსე მარი), ემანა (46. ხუანმა), სერხიო გარსია, დამია.

**დეპორტივო:** არანსუბია, ზე კასტრო, ლოპო, კაზმირსკი, მანუელ პაბლო, ხუან როდრიგესი, დე გუსმანი (8. სერხიო), რიკი (71. ბოდიპო), ვერდუ (81. ვალერონი), გუარდადო, ლაფიტა.

**გოლები:** 0:1 რიკი (60), 0:2 ლაფიტა (79), 0:3 ლაფიტა (87)

**გაძევება:** სერხიო გარსია (64. ბეტისი)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 20(7)-15(7); **კუთხური:** 13-1; **თამაშგარე:** 2-5; **ჯარიმა:** 13-14; **ბურთის ფლობა:** 57%-44%

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 9 | 7 | 1 | 1 | 28-8 | 22 |
| 2. ვილიარეალი | 9 | 6 | 3 | 0 | 17-8 | 21 |
| 3. რეალი | 9 | 6 | 2 | 1 | 24-13 | 20 |
| 4. ვალენსია | 9 | 6 | 2 | 1 | 20-9 | 20 |
| 5. სევილია | 9 | 5 | 2 | 2 | 15-8 | 17 |
| 6. ატლეტიკო | 9 | 4 | 1 | 4 | 19-16 | 13 |
| 7. ხეტაფე | 9 | 3 | 4 | 2 | 10-9 | 13 |
| 8. მალაგა | 9 | 4 | 1 | 4 | 10-13 | 13 |
| 9. დეპორტივო | 9 | 3 | 3 | 3 | 8-9 | 12 |
| 10. ესპანიოლი | 9 | 3 | 3 | 3 | 7-10 | 12 |
| 11. ალმერია | 9 | 3 | 3 | 3 | 10-14 | 12 |
| 12. სპორტინგი | 9 | 4 | 0 | 5 | 16-22 | 12 |
| 13. მალიორკა | 9 | 3 | 2 | 4 | 8-12 | 11 |
| 14. ვალიადოლიდი | 9 | 3 | 1 | 5 | 9-11 | 10 |
| 15. რასინგი | 9 | 2 | 3 | 4 | 9-12 | 9 |
| 16. ბეტისი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-11 | 8 |
| 17. ნუმანსია | 9 | 2 | 1 | 6 | 8-17 | 7 |
| 18. რეკრეატივო | 9 | 1 | 4 | 4 | 5-14 | 7 |
| 19. ბილბაო | 9 | 1 | 2 | 6 | 7-17 | 5 |
| 20. ოსასუნა | 9 | 0 | 4 | 5 | 3-9 | 4 |

**ბომბარდირები:** 10 - ვილია (ვალენსია); 9 - ეტო'ო (ბარსელონა); 6 - ბილიჩი (სპორტინგი), მესი (ბარსელონა); 5 - ნეგრედო (ალმერია), რაული (რეალი), იგუაინი (რეალი).

### II დივიზიონი

### X ტური

**კასტელონი-ლას პალმასი 1:1**

**გოლები:** 1:0 ურანგა (22), 1:1 მარკესი (90)

**ხიმნასტიკი-სოსიედადი 1:2**

**გოლები:** 0:1 მოა (26), 1:1 მოისესი (74), 1:2 დე სერიო (90)

**ხირონა-სარაგოსა 1:0**

**გოლი:** 1:0 მანგა (29)

**უესკა-კორდობა 3:1**

**გოლები:** 1:0 მარტინი (34-პენ), 2:0 რობერტო (62), 3:0 მარტინი (65), 3:1 პიერინი (76)

**ხერესი-მურსია 5:3**

**გოლები:** 0:1 მონტორო (17), 0:2 კრესპი (42-საკ. კარში), 1:2 მომო (56), 2:2 აიტამი (61), 3:2 ბერმეხო (68), 3:3 დიალიბა (76), 4:3 მომო (78), 5:3 კალე (90-პენ)

**ალიკანტე-ალბასეტე 1:2**

**გოლები:** 1:0 ფრანსისკო (7), 1:1 ვერსა (8), 1:2 კოსტა (30)

**ალავესი-ელჩე 0:3**

**გოლები:** 0:1 სანტოსი (37), 0:2 ბოლადო (77), 0:3 როდრი (90)

**ეიბარი-ლევანტე 0:0**

**სევილია II-ერკულესი 1:2**

**გოლები:** 1:0 პუკი (6), 1:1 ტოტე (56), 1:2 კრუსი (82)

**სელტა-სალამანკა 2:0**

**გოლები:** 1:0 დინეი (18), 2:0 ტრაშორასი (90)

**ტენერიფე-ვალეკანო 2:0**

**გოლები:** 1:0 პენსი (62), 2:0 ნინიო (87)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ერკულესი | 10 | 5 | 5 | 0 | 15-5 | 20 |
| 2. სალამანკა | 10 | 6 | 2 | 2 | 12-8 | 20 |
| 3. სარაგოსა | 10 | 5 | 2 | 3 | 20-13 | 17 |
| 4. ხერესი | 10 | 5 | 2 | 3 | 16-12 | 17 |
| 5. კასტელონი | 10 | 4 | 4 | 2 | 16-12 | 16 |
| 6. ტენერიფე | 10 | 5 | 1 | 4 | 19-16 | 16 |
| 7. ვალეკანო | 10 | 4 | 4 | 2 | 17-14 | 16 |
| 8. ალბასეტე | 10 | 4 | 3 | 3 | 13-12 | 15 |
| 9. უესკა | 10 | 3 | 5 | 2 | 15-12 | 14 |
| 10. სოსიედადი | 10 | 3 | 5 | 2 | 11-9 | 14 |
| 11. ხირონა | 10 | 3 | 5 | 2 | 10-8 | 14 |
| 12. ხიმნასტიკი | 10 | 3 | 4 | 3 | 16-13 | 13 |
| 13. ლევანტე | 10 | 3 | 4 | 3 | 12-15 | 13 |
| 14. კორდობა | 10 | 3 | 3 | 4 | 8-10 | 12 |
| 15. ალავესი | 10 | 3 | 3 | 4 | 13-17 | 12 |
| 16. ეიბარი | 10 | 3 | 3 | 4 | 8-14 | 12 |
| 17. ლას პალმასი | 10 | 2 | 5 | 3 | 11-10 | 11 |
| 18. სელტა | 10 | 2 | 5 | 3 | 8-10 | 11 |
| 19. მურსია | 10 | 2 | 2 | 6 | 8-16 | 8 |
| 20. ელჩე | 10 | 1 | 4 | 5 | 8-13 | 7 |
| 21. ალიკანტე | 10 | 1 | 4 | 5 | 9-16 | 7 |
| 22. სევილია B | 10 | 1 | 3 | 6 | 5-15 | 6 |

ინგლისი. პრემიერლიგა. XI ტური



# ლივერპულმა ლიდერობა ქარს გაატანა

## შვიდი ქულა სამ მატჩში: ჰარი რედნაპის სასწაული გრძელდება

„ტოტენჰემი" ძალას იკრებს. **ჰარი რედნაპმა** სამ თამაშში შვიდი ქულა მოიპოვა. შუა კვირაში „მამლებმა" „არსენალი" გააწბილეს - თამაშის მიწურულს ორი გოლი გაუტანეს და ანგარიში გაუთანაბრეს (4:4). „ლივერპულსაც" ასე დაემართა - „ტოტენჰემმა" მეორე გოლი მსაჯისაგან დამატებულ დროში უძლვნა (1:2).

**რობი კინმა** ყოფილი კლუბის წინააღმდეგ პირველად ითამაშა. გასულ ზაფხულს „ლივერპულმა" „ტოტენჰემს" მის სანაცვლოდ 20.3 მილიონი გირვანქა მიუთვალა. თამაში გახურებული არ იყო, რომ კინმა საგოლე პასი გააკეთა: მან საჯარიმოს მარჯვენა კიდეზე უმეთვალყურეოდ დატოვებული **დირკ კუიტი** შენიშნა. ჰოლანდიელმა მახვილი კუთხიდან ზუსტად დასცხო.

მასპინძელთა დაცვა სუსტად თამაშობდა. თვალშისაცემი იყო მეკარე **ეურელიო გომესის** ნერვიულობა. კუიტის გოლი ნაწილობრივ მისი დამსახურება იყო. "ტოტენჰემმა" თამაში დაალაგა და ანგარიშის გათანაბრებას შეეცადა.

**ვედრან ჩორლუკამ** შორიდან დაარტყა, მაგრამ ააცილა. საპასუხო იერიშისას კუიტმა ბურთი **სტივ ჯერარდს** დაუგორა. "ლივერპულის" კაპიტანი საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ ვერ გაიტანა. "ტოტენჰემი" მეტოქეს ვალში არ დარჩენია. გუნდები სახიფათო მომენტებს ერთმანეთის მიყოლებით ქმნიდნენ.

41-ე წუთზე **ლუკა მოდრიჩმა** საჯარიმოს ხაზიდან ძლიერად დასცხო. **პეპე რეინამ** დარტყმის მომენტი ვერ დაინახა. მას **ჩაბი ალონსო** ეფარებოდა. მეკარემ მაინც ივაჟკაცა და დიდებული რეაქციის ხარჯზე ბურთი უკუაგდო.

მეორე ტაიმში რედნაპმა **რომან პავლიუჩენკო** გამოიყვანა. ჯერარდმა ორჯერ სახიფათოდ შეუტია მეტოქის კარს. მას ჯერ გომესმა აუღო, შემდეგ ოდნავ ააცილა. ამასობაში 69-ე წუთი დადგა. "ტოტენჰემმა" სტუმართა კართან კუთხური მოაწყო. **ლედლი კინგი** მაღალი ბურთის დაუფლებას შეეცადა. **ჯეიმი კარაგერმა** ვითარების განმუხტვა სცადა, მაგრამ საკუთარ კარში შეაგდო. თამაში დასასრულს უახლოვდებოდა. მაყურებელი ერთი ქულითაც კმაყოფილი ჩანდა. ლივერპულის ცენტრალურმა მცველებმა მორიგი უხეში შეცდომა დაუშვეს. პავლიუჩენკო **დარენ ბენტის** გამჭოლ პასს დაეუფლა და ერთი შეხებით გაიტანა...

"ჰალ სიტიმ" ზედიზედ მეორედ წააგო, მაგრამ შაბათის მატჩის შემდეგ უფრო მეტი გულშემატკივარი გაიჩინა. დებიუტანტებმა "მანჩესტერ იუნაიტედს" დიდი ბრძოლა გაუმართეს, მაშინაც კი, როდესაც ტაბლოზე 4:1 ენთო, ბრძოლა არ შეწყვიტეს და ორი ბურთი გაქვითეს. "ჰალ სიტის" უკეთესი შედეგის მისაღწევად აღარც დრო ეყო და აღარც ძალა.

**ფილ ბრაუნის** შეგირდებმა სტუმრად "ნიუკასლს", "ტოტენჰემსა" და "არსენალს" მოუგეს. თეორიულად, "ოლდ ტრეფორდზე" გამარჯვებაც შეიძლებოდა, მაგრამ სტუმარმა მცველებმა გულუბრყვილო შეცდომები დაუშვეს. "ეშმაკები" კი ასეთ შეცდომებს არავის პატიობენ.

ანგარიში მესამე წუთზე გაიხსნა. საგოლე კომბინაცია **დიმიტარ ბერბატოვმა** და **კრისტიანო რონალდომ** გაითამაშეს. გოლი ამ უკანასკნელმა გაიტანა. "ჰალმა" ორი გამოკვეთილი თავდამსხმელი - **მარლონ კინგი** და **დანიელ კუზენი** გამოიყვანა. მათ უკან კიდევ ერთი ფორვარდი, **ჯოვანი** თამაშობდა. მათი შეკავება არც ისე ადვილი იყო.

ყველაზე მეტად **ნემანია ვიდიჩს** გაუჭირდა. უცნაურია, რომ სერბი მცველისათვის ყვითელი ბარათიც არ უჩვენებიათ. ის ხისტად თამაშობდა და არაერთხელ მოცელა მეტოქე. 23-ე წუთზე ვიდიჩი კინგთან ორთაბრძოლაში დაჯარიმდა. **ენდი დოსონმა** ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა. **დანიელ კუზენმა** ყველას დაასწრო და წონასწორობა აღადგინა.

"ჰალმა" ანგარიში მხოლოდ ექვსი წუთის განმავლობაში შეინარჩუნა. **უეინ რუნის** კონტრშეტევა ბერბატოვმა გააგრძელა. მან მარცხენა ფლანგზე **მაიკლ ქერიკს** გაუგორა ბურთი. ქერიკი უმეთვალყურეოდ დატოვეს. ის საჯარიმოში შევიდა და გაიტანა.

მეორე გოლს "იუნაიტედის" შეტევები მოჰყვა. **მაიჰილმა** რონალდოს იერიში მოიგერია, რუნის გოლი არ ჩაუთვალეს. შესვენებამდე ერთი წუთით ადრე სტუმართა კართან კუთხური დაინიშნა. **ნანიმ** ბურთი ახლო ძელთან ჩააწოდა. რონალდომ პოზიცია ზუსტად შეარჩია და დუბლი გამოაცხო (მეშვიდე გოლი ამ სეზონში).

მეორე ტაიმი ისევ "იუნაიტედის" იერიშებით დაიწყო. 15 წუთის განმავლობაში "ეშმაკები" სტუმართა კარს დაუნდობლად ბომბავდნენ. რონალდომ და ბერბატოვმა ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს. სამაგიეროდ, ვიდიჩმა იხეირა. მან რუნის კუთხური აქცია გოლად.

ფერგიუსონს, როგორც ჩანს, უფრო მეტი გოლი სურდა. მან ნანის ნაცვლად **კარლოს ტევესი** გამოიყვანა. "იუნაიტედს" აღარ გაუტანია. სამაგიეროდ, "ჰალ სიტიმ" გაქვითა ორი გოლი და მასპინძელი გულშემატკივარი გვარიანად ანერვიულა. 69-ე წუთზე **ბერნარ მენდიმ პატრის ევრა** მოატყუა. **ვან დერ სარმა** ბურთის მოგერიება ვერ შეძლო.

"მანჩესტერმა" კვლავ შეუტია. "ჰალმა" მეტოქე კონტრშეტევაზე დაიჭირა და 82-ე წუთზე პენალტს გამოჰკრა ხელი. **რიო ფერდინანდმა** მენდი წააქცია. 11-მეტრიანის შესრულება ჯოვანიმ ითავა და სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირა. სტუმრებმა მეტის გაკეთება ვერ მოახერხეს...

"არსენალმა" მორიგი გამაოგნებელი მარცხი იწვნია. მას პრემიერლიგის მეორე დებიუტანტმა "სტოკ სიტიმაც" მოუგო. "მეთოფეებმა" ბოლო ორ მატჩში ოთხი ქულა გაანიავეს. მათ "ჩელსისაგან" ექვსი ქულა ჰყოფთ. "არსენალს" სხვა უსიამოვნებებიც შეემთხვა: **რობინ ვან პერსის** წითელი ბარათი აუფრიალეს, **ემანუელ ადებაიორი** და **თეო უოლკოტი** დაშავდნენ. **არსენ ვენგერს** ყველა სიკეთესთან ერთად, საკადრო პრობლემებიც ემუქრება.

"ჩელსიმ" "სანდერლენდს" ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა. ნიკოლა ანელკამ ჰეთ თრიკი მიითვალა. **ფრენკ ლემპარდმა** პრემიერლიგაში მე-100 გოლი შეაგდო. ხოლო **ალექსის** გოლი იმავე ტურში "ჩელსისათვის" მე-1000 აღმოჩნდა. "სანდერლენდმა" თამაში მთავარი მწვრთნელის გარეშე დაასრულა. მსაჯმა **მარტინ ატკინსონმა** როი კინს წითელი ბარათი აუფრიალა, რადგან ეს უკანასკნელი მას გვირაბში დახვდა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. კინის საქმე შეიძლება სადისციპლინო კომისიამაც განიხილოს.

**შალვა ბიბილაშვილი**

### მომდევნო ტური

8 ნოემბერი. **არსენალი-მანჩესტერ იუნ, ჰალი-ბოლტონი, ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი, სანდერლენდი-პორტსმუთი, ვესტ ჰემი-ევერტონი, ვიგანი-სტოკი.** 9 ნოემბერი. **ასტონ ვილა-მიდლსბრო, ბლექბერნი-ჩელსი, ფულჰემი-ნიუკასლი, მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი.**

### ევერტონი-ფულჰემი 1:0

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჟაგიელკა, იობო, ლესკოტი, ფილნევილი, ფელაინი (61. საა), ოსმანი, არტეტა, პიენაარი (76. ანიჩებე), იაკუბუ (84. ვოგანი), ტიმ კაჰილი.

**ფულჰემი:** შვარცერი, ჰანგელანდი, აარონ ჰიუზი, კონჩესკი, პანტსილი, დენი მერფი, ბულარდი (84. ბეირდი), გერა (88. დემპსი), საიმონ დევისი (90. ნევლანდი), ზამორა, ენდი ჯონსონი.

**გოლი:** 1:0 საა (87)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 13(2)-15(3); **ჯარიმა:** 12-14; **კუთხური:** 6-5; **ბურთის ფლობა:** 55%-46%.

**მაყურებელი:** 31 278

### ჩელსი-სანდერლენდი 5:0

**ჩელსი:** პეტრ ჩეხი, ტერი, ალექსი, ეშლი კოული (37. ბრიჯი), ბოსინგვა, ლემპარდი, დეკუ, ობი მიკელი, მალუდა, ჯო კოული (63. დროგბა), ანელკა (75. მინეირო).

**სანდერლენდი:** ფულოპი, ნოსვორთი, ანტონ ფერდინანდი, მაკარტნი, შიმბონდა, ტაინიო, უაითჰედი, რიჩარდსონი, მალბრანკი (46. ჰენდერსონი), ჯოუნსი (58. სისე), ვოგჰორნი (46. დიუფი).

**გოლები:** 1:0 ალექსი (27), 2:0 ანელკა (30), 3:0 ანელკა (45), 4:0 ლემპარდი (51), 5:0 ანელკა (53)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 23(9)-1(0); **ჯარიმა:** 6-11; **კუთხური:** 4-0; **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

**მაყურებელი:** 41 693

### მანჩესტერ იუნ.-ჰალ სიტი 4:3

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ვიდიჩი, რიო ფერდინანდი, ევრა, გარი ნევილი, ანდერსონი (88. ოში), ქერიკი (72. გიგზი), ნანი (64. ტევესი), რონალდო, ბერბატოვი, რუნი.

**ჰალი:** მაიჰილი, ზაიათი, ტერნერი, დოსონი, მაკშეინი, ჯორჯ ბოატენგი (87. ფოლანი), ბრაიან ჰიუზი (59. მენდი), ჯოვანი, მარნი, კუზენი, მარლონ კინგი (63. ჰალმოში).

**გოლები:** 1:0 რონალდო (3), 1:1 კუზენი (23), 2:1 ქერიკი (29), 3:1 რონალდო (44), 4:1 ვიდიჩი (57), 4:2 მენდი (69), 4:3 ჯოვანი (82-პენ)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 22(9)-11(6); **ჯარიმა:** 13-13; **კუთხური:** 9-1; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 75 398

### მიდლსბრო-ვესტ ჰემი 1:1

**მიდლსბრო:** ტერნბული, პოგატეცი, რიგოტი, ენდრიუ ტეილორი, ვიტერი (46. ჰოიტი), დიგარდი (57. არკა), ონილი, დაუნინგი, ალიადიერი, თუნჯაი, აფონსო ალვეში (67. მიდო).

**ვესტ ჰემი:** გრინი, აპსონი, კოლინსი, ილუნგა, ნილი, კოლისონი, მულინზი, ბოა მორტე (85. ბოუიერი), ფობერი, ბელამი, სიერსი (74. ეთერინგტონი).

**გოლები:** 0:1 მულინზი (21), 1:1 მიდო (84)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 14(5)-14(5); **ჯარიმა:** 11-17; **კუთხური:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 25 164

### პორტსმუთი-ვიგანი 1:2

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, დესტენი, სოლ კემპბელი, ბელჰაჯი, გლენ ჯონსონი, შონ დევისი, დიარა, ტრაორე (46. კრანჩარი), დიოპი (73. უტაკა), კრაუჩი, დეფო.

**ვიგანი:** კერკლანდი, ბრემბლი, ბოისი, ფიგეროა, მელხიოტი, კატერმოული, პალასიოსი, კუმასი, ვალენსია, ზაქი (89. ანრი კამარა), ჰესკი.

**გოლები:** 0:1 ზაქი (45-პენ), 1:1 კრანჩარი (82), 1:2 ჰესკი (90)

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 20(4)-18(6); **ჯარიმა:** 12-12; **კუთხური:** 9-6; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 18 416

### სტოკ სიტი-არსენალი 2:1

**სტოკი:** სორენსენი, ადბულაიე ფაიე, შოკროსი, ჰიგინბოთემი, გრიფინი, დელაპი, ოლოფინიანა, დიაო (78. ველანი), ფულერი (86. კრესველი), ამდი ფაიე, სიდიბე (90. კიტსონი).

**არსენალი:** ალმუნია, სილვესტრი, კოლო ტურე, კლიში, სანია (58. უოლკოტი), სონგი, ფაბრეგასი, დიაბი, დენილსონი (65. ვან პერსი), ბენდტნერი, ადებაიორი (73. ველა).

**გოლები:** 1:0 ფულერი (11), 2:0 ოლოფინიანა (73), 2:1 კლიში (90)

**გაძევება:** ვან პერსი (76. არსენალი)

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 9(3)-14(4); **ჯარიმა:** 12-8; **კუთხური:** 3-5; **ბურთის ფლობა:** 28%-72%.

**მაყურებელი:** 26 704

### ვესტ ბრომვიჩი-ბლექბერნი 2:2

**ვესტ ბრომვიჩი:** კარსონი, ოლსონი, დონკი (46. ჰიოფკენსი), პოლ რობინსონი, ცუიველოონი, ვალერო, გრინინგი, მორისონი (69. ბრანტი), კორენი, დებნარი, მილერი (80. ლუკ მური).

**ბლექბერნი:** პოლ რობინსონი, ნელსენი, სამბა, ოლსონი (63. პედერსენი), სიმპსონი (46. თუგაი), ენდრიუსი, გრელა, უორნოკი, ემერტონი (78. ხიზანიშვილი), მაკარტი, რობერტსი.

**გოლები:** 0:1 მაკარტი (12-პენ), 1:1 ბედნარი (55), 2:1 მილერი (62), 2:2 ენდრიუსი (89)

**გაძევება:** მაკარტი (36. ბლექბერნი)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 20(7)-11(6); **ჯარიმა:** 13-20; **კუთხური:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 24 976

### ტოტენჰემი-ლივერპული 2:1

**ტოტენჰემი:** გომესი, ლედლი კინგი, ვუდგეიტი, ასუ-ეკოტო (46. ჰატონი), ჩორლუკა, ჰადლსტონი, ზოკორა, ოჰარა (46. პავლიუჩენკო), ბენტლი, დარენ ბენტი, მოდრიჩი (75. ლენონი).

**ლივერპული:** რეინა, აგერი, კარაგერი, დოსენა, არბელოა, ჩაბი ალონსო, მასკერანო, რობი კინი (66. ბაბელი), ჯერარდი, რიერა (78. ბენაიუნი), კუიტი.

**გოლები:** 0:1 კუიტი (3), 1:1 კარაგერი (69-საკ.კარში), 2:1 პავლიუჩენკო (90)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 10(3)-17(4); **ჯარიმა:** 18-14; **კუთხური:** 4-4; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 36 183

### ბოლტონი-მანჩესტერ სიტი 2:0

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ენდი ობრაიენი, გარი კაჰილი, სამუელი, სტეინსონი, მაკენი, მუამბა, ნოლანი, მეტიუ ტეილორი, მუსტაფა (43. რიკარდო გარდნერი), კევინ დევისი.

**სიტი:** ჰარტი, დანი, ბენ-ჰაიმი, რიჩარდსი, საბალეტა, ელანო (69. ჰამანი), კომპანი, ევანსი (69. სტარიჯი), ირლანდი, რობინიო, რაიტ-ფილიპსი.

**გოლები:** 1:0 რიკარდო გარდნერი (76), 2:0 დანი (88-საკ.კარში).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 22(4)-13(5); **ჯარიმა:** 17-22; **კუთხური:** 6-1; **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 21 095

### ნიუკასლი-ასტონ ვილა დღეს

| გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 11 | 8 | 2 | 1 | 27-4 | 26 |
| 2. ლივერპული | 11 | 8 | 2 | 1 | 16-8 | 26 |
| 3. მანჩესტერ იუნ. | 10 | 6 | 3 | 1 | 19-8 | 21 |
| 4. არსენალი | 11 | 6 | 2 | 3 | 23-12 | 20 |
| 5. ასტონ ვილა | 10 | 6 | 2 | 2 | 19-12 | 20 |
| 6. ჰალ სიტი | 11 | 6 | 2 | 3 | 17-18 | 20 |
| 7. ევერტონი | 11 | 4 | 3 | 4 | 15-19 | 15 |
| 8. მიდლსბრო | 11 | 4 | 2 | 5 | 11-16 | 14 |
| 9. პორტსმუთი | 11 | 4 | 2 | 5 | 11-17 | 14 |
| 10. მანჩესტერ სიტი | 11 | 4 | 1 | 6 | 23-18 | 13 |
| 11. ვესტ ჰემი | 11 | 4 | 1 | 6 | 15-19 | 13 |
| 12. სტოკ სიტი | 11 | 4 | 1 | 6 | 13-19 | 13 |
| 13. ბლექბერნი | 11 | 3 | 4 | 4 | 13-20 | 13 |
| 14. სანდერლენდი | 11 | 3 | 3 | 5 | 9-16 | 12 |
| 15. ფულჰემი | 10 | 3 | 2 | 5 | 8-9 | 11 |
| 16. ვიგანი | 11 | 3 | 2 | 6 | 13-16 | 11 |
| 17. ბოლტონი | 11 | 3 | 2 | 6 | 10-13 | 11 |
| 18. ვესტ ბრომვიჩი | 11 | 3 | 2 | 6 | 10-18 | 11 |
| 19. ტოტენჰემი | 11 | 2 | 3 | 6 | 13-17 | 9 |
| 20. ნიუკასლი | 10 | 2 | 3 | 5 | 12-18 | 9 |

**ბომბარდირები:** 8 - ანელკა (ჩელსი); 7 - ზაკი (ვიგანი); 6 - აგბონლაორი (ასტონ ვილა), რობინიო (მანჩესტერ სიტი), კრისტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნ); 5 - ადებაიორი (არსენალი), ბენტი (ტოტენჰემი), ქერიუ (ასტო ვილა), ჯოვანი (ჰალი), დეფო (პორტსმუთი), ლემპარდი (ჩელსი), ფერნანდო ტორესი (ლივერპული), ვან პერსი (არსენალი).

### ჩემპიონატი

### XV ტური

**ბრისტოლი-რედინგი 1:4**

**გოლები:** 0:1 დოილი (14), 0:2 ჰანტი (16), 0:3 დოილი (47), 0:4 სისე (54), 1:4 როსენორი (90)

**ბარნლი-ნორვიჩი 2:0**

**გოლები:** 1:0 იგლსი (55), 2:0 იგლსი (60)

**ჩარლტონი-ბარნსლი 1:3**

**გოლები:** 0:1 მაკენი (3), 0:2 მაკენი (17), 0:3 მური (39), 1:3 მადსონი (75)

**კრ. პალასი-შეფილდ უენ. 1:1**

**გოლები:** 0:1 კლარკი (7), 1:1 უოტსონი (54-პენ)

**დონკასტერი-სვონსი 0:0**

**იფსვიჩი-ქუინზ პარკი 2:0**

**გოლები:** 1:0 სტიდი (73), 2:0 სტიდი (75)

**პრესტონი-საუთჰემპტონი 2:3**

**გოლები:** 1:0 ჯოუნსი (36), 2:0 ელიოტი (43), 2:1 პირსი (64), 2:2 სურმანი (69), 2:3 მაკგოლდრიკი (90)

**შეფილ იუნ.-პლიმუთი 2:0**

**გოლები:** 1:0 ბიტი (49-პენ), 2:0 ბიტი (57)

**უოტფორდი-ბლექპული 3:4**

**გოლები:** 1:0 ჰოსკინსი (4), 1:1 საუზერნი (18), 2:1 რასიაკი (36), 2:2 ბერჯესი (56), 3:2 სმიტი (68-პენ), 3:3 ტეილორ-ფლეტჩერი (85), 3:4 გოუ (90)

**კარდიფი-ვულვერჰემპტ. 1:2**

**გოლები:** 0:1 იველუმო (4), 0:2 ებანს-ბლეიკი (9), 1:2 მაკორმაკი (19)

**დერბი-ნოტინგემი 1:1**

**გოლები:** 0:1 ვილია (55-საკ.კარში), 1:1 ვილია (65).

**გაძევება:** მაკგუგანი (74. ნოტინგემი)

**ბირმინგემი-ქოვენთრი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვულვერჰემპტ. | 15 | 11 | 1 | 3 | 35-23 | 34 |
| 2. ბირმინგემი | 14 | 9 | 3 | 2 | 18-9 | 30 |
| 3. რედინგი | 15 | 8 | 3 | 4 | 33-16 | 27 |
| 4. ბარნლი | 15 | 7 | 5 | 3 | 21-18 | 26 |
| 5. შეფილდ იუნ. | 15 | 7 | 4 | 4 | 18-8 | 25 |
| 6. კარდიფი | 15 | 6 | 7 | 2 | 19-13 | 25 |
| 7. ქუინზ პარკი | 15 | 6 | 4 | 5 | 14-14 | 22 |
| 8. იფსვიჩი | 15 | 5 | 6 | 4 | 23-16 | 21 |
| 9. დერბი | 15 | 5 | 6 | 4 | 19-17 | 21 |
| 10. სვონსი | 15 | 5 | 6 | 4 | 18-17 | 21 |
| 11. ბრისტოლი | 15 | 5 | 6 | 4 | 17-16 | 21 |
| 12. პლიმუთი | 15 | 6 | 3 | 6 | 18-18 | 21 |
| 13. ბლექპული | 15 | 5 | 6 | 4 | 17-19 | 21 |
| 14. პრესტონი | 15 | 6 | 2 | 7 | 18-20 | 20 |
| 15. შეფილდ უენს. | 15 | 5 | 4 | 6 | 16-25 | 19 |
| 16. ბარნსლი | 15 | 5 | 3 | 7 | 14-17 | 18 |
| 17. კრ.პალასი | 15 | 4 | 5 | 6 | 17-17 | 17 |
| 18. ქოვენთრი | 14 | 4 | 5 | 5 | 16-17 | 17 |
| 19. ნორვიჩი | 15 | 4 | 4 | 7 | 16-21 | 16 |
| 20. საუთჰემპტ. | 15 | 4 | 4 | 7 | 15-24 | 16 |
| 21. უოტფორდი | 15 | 4 | 3 | 8 | 23-27 | 15 |
| 22. ჩარლტონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15-21 | 15 |
| 23. ნოტინგემი | 15 | 2 | 4 | 9 | 12-24 | 10 |
| 24. დონკასტერი | 15 | 2 | 3 | 10 | 7-22 | 9 |

### I ლიგა

### XV ტური

საუთენდი-კოლჩესტერი 3:3, ბრაიტონი-მილუოლი 4:1, ჩელტენჰემი-ლიდსი 0:1, ჰადერსფილდი-ქრუ 3:2, ლესტერი-ბრისტოლი 2:1, ლეიტონი-ჰარტლპული 1:0, მილტონი-ტრანმერი 1:0, ოლდჰემი-იოვილი 0:2, პიტერბორო-ჰერეფორდი 2:0, სკანთორპი-სვინდონი 3:3, სტოკპორტი-კარლაისლი 3:0, უოლსოლი-ნორთჰემპტონი 3:1.

### II ლიგა

### XV ტური

ბორნმუთი-ჩესტერფილდი 1:1, ბრედფორდი-ბარნეტი 3:3, ბრენტფორდი-როშდეილი 1:2, დაგენჰემი-აქრინგტონი 0:0, ექსეტერი-ჩესტერი 2:0, გრიმსბი-დარლინგტონი 1:2, ლინკოლნი-პორტ ვეილი 0:1, მაკლსფილდი-ჯილინგემი 0:1, მორკომბი-ოლდერშოტი 2:0, ნოთს ქაუნთი-ბერი 0:1, როტერჰემი-უიკომბი 0:0, შრუსბერი-ლუტონი 3:0.

### კონფერენსი

### XVII ტური

სალისბერი-ქროული 2:0, ოლტრინჩემი-ჰისტონი 0:1, ბეროუ-ფორესტ გრინი 3:1, ბარტონი-ებსფლიტი 3:1, კემბრიჯი-რაშდენი 0:0, კეტერინგი-ვეიმუთი 0:1, კიდერმინსტერი-გრეისი 2:0, ნორთვიჩი-ისტბორნი 1:2, ოქსფორდი-იორკი 1:0, ტორკი-მანსფილდი 2:0, უოქინგი-სტივენიჯი 0:1, რექსჰემი-ლიუისი 2:0.

გერმანია. ბუნდესლიგა. XI ტური

# გოლები, ინტრიგა, სკანდალები



ჰოფენჰაიმი ისევ მიაჭენებს

**ბუნდესლიგა** უინტერესო არასდროს ყოფილა, მაგრამ ეს სეზონი ამ მხრივ (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც) აშკარად განსაკუთრებულია. ტური არ გავა, რომ ერთდროულად რამდენიმე ძალიან საინტერესო და რაც მთავარია, უხვგოლიანი მატჩი არ ვიხილოთ. გერმანიის ჩემპიონატში ყოველთვის ბევრი გოლი გადიოდა (ამიტომაცაა ბუნდესლიგაში დასწრების ყველაზე დიდი მაჩვენებელი), მაგრამ ამ სეზონმა უკვე მოლოდინს გადააჭარბა. მე-11 ტურში საშუალოდ მატჩში 3.7 (!) გოლი გავიდა. და მერე როგორი გოლები...

უპირველესყოვლისა გამოსარჩევია **დიეგოს** გენიალური გოლი. ბრაზილიელმა ფლეიმეიკერმა კრიზისში მყოფ „ვერდერს" სულზე მოუსწრო და იმ დროს, როცა ბრემენელმა ფანებმა უკვე დაიწყეს იმაზე ფიქრი, რომ დიეგოს „ვერდერი" ფეხებზე ეკიდა, მათმა უსაყვარლესმა მოთამაშემ ისევ გაშალა ფრთები. გადავინაცვლოთ „ჰოფენჰაიმში", სადაც გულშემატკივრებისთვის უკვე აბსოლუტურად ჩვეულებრივი ამბავია ის, რომ ამ გუნდს თამაშში 3-4 გოლი ისე გააქვს, როგორც არაფერი. **რალფ რანგნიკის** „ჰოფე" ნებისმიერ მეტოქეს ამწარებს. საინტერესოა, მაინც სადამდე გასტანს **იბიშევიჩისა** და კომპანიის ეს სასწაული. ნუთუ 34-ე ტურის ჩათვლით ასე იქნება? შემდეგი გაჩერება: მიუნხენი, სადაც ასევე დაიწყო გოლების წვიმა. ამასთან, ბაიერნელებმა **ლუკას პოდოლსკის** ისევ დაარტყმევინეს სამადლო პენალტი. მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ პოლდის მიუნხენურ გრანდში მომავალი არ აქვს. გარდა გოლებისა, ბუნდესლიგა არასპორტული ქცევების კორიანტელითაც გვაინტრიგებს. მაგალითად, ამჯერად „შალკეს" საყრდენი ნახევარმცველი **ორლანდო ენგელაარი** გამოვიდა მწყობრიდან და გააგდეს კიდეც. სწორედ ამ უკანასკნელის გაძევების შემდეგ გაიტანეს გელზენკირხენელებმა ის გოლები, რამაც **ლევან კობიაშვილის** (მარცხენა მცველად 90 წუთი ითამაშა) გუნდს საჭირო სამი ქულა მოუტანა. ყველაზე ცუდად კი არმინიელი **ტეშე** მოიქცა, რომელმაც ბაიერნელ **ფრანკ რიბერის** კინაღამ ფეხი მოსტეხა. საბედნიეროდ, ფრანგი გამთამაშებელი გადარჩა. საბედნიეროდო, იმიტომ ვამბობთ, რომ რიბერი და მისი გენიალური ქმედებები არა მარტო „ბაიერნისთვისაა" ფასდაუდებელი, არამედ მთელი ბუნდესლიგისთვის - რიბერი გერმანიის ჩემპიონატს კიდევ უფრო მეტად ალამაზებს.

როგორც ჩანს, „ბაიერნის" პროგრესი და წინსვლა უკვე შეუჩერებელი პროცესია. უკვე აღარავის ახსოვს ის, რომ **იურგენ კლინსმანის** გუნდმა სეზონი ძალიან მძიმედ დაიწყო. ზედიზედ ოთხი გამარჯვება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ რეკორდმაისტერი მესამე ადგილზე აღმოჩენილიყო და ცხადია, ბავარიელები ამაზე არ გაჩერდებიან. შაბათს, „არმინიასთან" მოგებული მატჩის შემდეგ ყველა რიბერიზე და პოდოლსკიზე საუბრობდა - პირველზე პოზიტიურად, უკანასკნელზე კი ნეგატიურად. მიუხედავად იმისა, რომ **ლუკა ტონი** ისევ ტრავმირებულია, კლინსმანმა პოლდი სასტარტო შემადგენლობაში მაინც არ გაამწესა. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ კლინსიმ ტაქტიკა შეცვალა: ამჯერად ის ერთი თავდამსხმელით (**კლოზე**) თამაშობს, რომელსაც უკნიდან სამი შემტევი ნახევარმცველი ეხმარება. თავის მხრივ, ამ ტრიოს ორი საყრდენი აზღვევს. კლინსმანი: *„ეს არ არის პოდოლსკის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება, არამედ, ეს არის ოტლისა და ბოროვსკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება, მაგრამ მე ვიცი, რომ ლუკასს გული სტკივა."*

მაგრამ ამ ტაქტიკით, პირველ ტაიმში „ბაიერნმა" „არმინიასთან" მხოლოდ ფრეს მიაღწია - 1:1. სწორედ ამიტომ, იურგენი მეორე ტაიმში ისევ 4-4-2-ს დაუბრუნდა, შეიყვანა რა მოედანზე **კროოსი** და პოდოლსკი. ლუკასმა ჯერ რიბერის გაატანინა, მერე კი პენალტით თვითონაც შეაგდო. პოდოლსკი: *„ძალიან გავბრაზდი, თავიდანვე რომ არ მათამაშეს, მაგრამ შეცვლაზე კარგად შევედი და გოლიც გავიტანე. არსებული ვითარება არ მაკმაყოფილებს. ზამთარში წასვლაზე ვიფიქრებ."* საფინალო სასტვენის შემდეგ კი ბილეფელდელთა ბომბარდირი **არტურ ვიხნიარეკი** გაბრაზდა: სანამ მსაჯი ობიექტური იყო, 1:1 გახლდათ, მერე კი „ბაიერნს" მიუდგა და 12 კაცის წინააღმდეგ, მით უმეტეს მაშინ, როცა რეკორდმაისტერს ეთამაშები, ველარაფერს გახდები, ახლა კი ცხადია, ყველა ბედნიერია, „ბაიერნმა" რომ მოიგოო. ნებისმიერ აზრს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ფაქტია, რომ პენალტამდე რიბერი ერთობ თეატრალურად დაეცა. თუმცა ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ ბავარიელებმა გამარჯვება დაიმსახურეს. გადახედეთ სტატისტიკას: დარტყმები: 35-2; კუთხური: 20-0; ბურთის ფლობა: 72%-28%...

როდესაც „ბაიერნი" „არმინიას" ამარცხებდა, მიუნხენური გრანდის შეფ-სკაუტი **პაულ ბრაიტნერი** მანჰაიმში გახლდათ და „ჰოფენჰაიმის" თამაშს უყურებდა. ფაქტია, „ჰოფეს" უკვე ბავარიელებმაც ძალიან სერიოზულად შეხედეს. ამაზე რეკორდმაისტერის მენეჯერ **ული ჰიონესის** სიტყვებიც მეტყველებს, რომელმაც თქვა: უკვე დარწმუნებული ვარ, რომ „სოფლელები" ჩემპიონობისთვის იბრძოლებენო. რანგნიკის გუნდს კი „ბაიერნიც" ფეხებზე ჰკიდია და მისი შეფ-სკაუტიც - „ჰოფე" ცეკვას ლაღად აგრძელებს. „პროფესორ რალფის" ბიჭებმა ახლა „კარლსრუეს" გადაურბინეს (4:1) და ლიდერებად რჩებიან. ეს გახლდათ „ჰოფენჰაიმის" ზედიზედ მეხუთე გამარჯვება. 31 გოლი 11 მატჩში - რა უნდა ქნას „ჰოფემ" ამაზე მეტი? გუნდის მფლობელმა, მეცენატმა **დიტმარ ჰოპმა** თქვა, არცერთი ჩვენი ფეხბურთელი არ იყიდებაო. ეს სიგნალი გახლდათ ბრაიტნერის მისამართით: მხოლოდ უყურებ და მეტი არაფერი! პაულმა ნამატჩევს „ჰოფენჰაიმი" საუკეთესო შეფასებებით შეამკო. ვინ გაიტანდა გოლებს, თუ არა ვედად იბიშევიჩი? ბოსნიელმა ამჯერად დუბლი შეასრულა და 11 თამაშში ახლა 16 გოლი აქვს. დუბლითვე გამოირჩა ახალგაზრდა ნიგერიელი ფეხბურთელი **ჩინედუ ობასი ოგბუკეც**. ობასის, იბიშევიჩისა და **ბას** ტრიო მართლაც შეუდარებელია!

*„შუა კვირაში თამაში გვქონდა და მიუხედავად ამისა, დღეს მაინც ძალიან კარგად ვითამაშეთ. შესაბამისად, ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც ჩვენი ფრენა უნდა შეწყდეს,"* - ეს რანგნიკის სიტყვებია. „პროფესორი" კონკურენტებს ემუქრება და „ვერცხლის სინს" უმიზნებს...

წინა ტურის მიმოხილვაში „ჰერტას" „უხმაურო" პროგრესზე ვწერდით. როგორც ჩანს, სასტიკად შევცდით, რადგან მე-11 ტურმა ბერლინური კლუბის გამოსწორებაზე შეთხზული ყველა მითი დაამსხვრია. ბრემენის „ვერდერმა" დედაქალაქური გუნდი მიწასთან გაასწორა: 5:1. ამაში კი გადამწყვეტი როლი დიეგომ და **კლაუდიო პისარომ** ითამაშეს, რომლებიც დაბრუნდნენ და ბრემენული კლუბის გამარჯვება განაპირობეს. იმის გამო, რომ „ჰერტას" პირველი მეკარეც (**დრობნი**) ტრავმირებულია და მეორეც (**ფიდლერი**), ამ შეხვედრაში **ლუსიენ ფავრის** სამწყსოს კარი 20 წლის **კრისტოფერ გენგმა** დაიცვა, რომელიც საერთოდ მოყვარულთა გუნდში თამაშობდა ხოლმე და ამ უკანასკნელმა ბუნდესლიგის სადებიუტო შეხვედრაში 5 გოლი გაუშვა. მეკარისთვის ამაზე უარესი რა უნდა იყოს! ბრემენელებმა კი აშკარად დროულად გამოისწორეს ხასიათი, რადგან სამშაბათს ჩემპიონთა ლიგაში „პანათინაიკოსს" ხვდებიან და **თომას შააფის** გუნდმა ეს თამაში აუცილებლად უნდა მოიგოს, თუკი მერვედფინალში გასვლა უნდა...

„ჰამბურგმა" უკვე მესამედ წააგო ანგარიშით 0:3 და თუ ასე გაგრძელდა, **მარტინ იოლს** მალე წყალი შეუდგება. „ჰოფენჰაიმისა" და „ვოლფსბურგის" შემდეგ, ჩრდილოგერმანულ კლუბს სამი უპასუხო გოლი ამჯერად უკვე „ჰანოვერმაც" გაუტანა - გუნდმა, რომელსაც ერთ თამაშში ამდენი ძალიან იშვიათად, თითქმის არასდროს გააქვს...

**გოტფრიდ ლენცი**

### მომდევნო ტური

7 ნოემბერი. კიოლნი-ჰანოვერი. 8 ნოემბერი. **ჰამბურგი-ბორუსია (დ), ვოლფსბურგი-კოტბუსი, კარლსრუე-ლევერკუზენი, ბოხუმი-ვერდერი, არმინია-ბორუსია (მ).** 9 ნოემბერი. **შალკე-ბაიერნი, აინტრახტი-შტუტგარტი, ჰერტა-ჰოფენჰაიმი.**

### ლევერკუზენი-ვოლფსბურგი 2:0

**ლევერკუზენი:** რ. ადლერი-3.5, კასტრო-3, მ. ფრიდრიხი-3, ენრიკე-1.5, კადლეცი-3.5, როლფესი-2.5, რენატო-3 (83. შვეგლერი), ვიდალი-2.5, ბარნეტა-2 (89. ჰაგი), ჰელმესი-4, კისლინგი-3 (83. გეკასი).

**ვოლფსბურგი:** ბენალიო-3, ძაკარდო-4.5 (69. დეჟაგა-3.5), მადლუნგი-4, ბარძალი-4.5, მ. შეფერი-4, ჟოსუე-4, რიტერი-3.5, გენტნერი-4.5, მიშიმოვიჩი (19. ჰასებე-5), გრაფიტე-5 (69. კაიუბი-4), ჯეკო-3.5.

**გოლები:** 1:0 ბარნეტა (57), 2:0 კისლინგი (65)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 18(6)-8(1); **ჯარიმა:** 15-13; **კუთხური:** 9-4; **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 19 200

### ვერდერი-ჰერტა 5:1

**ვერდერი:** ვიზე-3.5, პრიოდლი-3, მერტეზაკერი-2.5, ნალდო-2, პასანენი-2.5, ბაუმანი-2, ფრინგსი-2.5, იოზილი-2.5 (76. ჰანტი), დიეგო-1 (88. ვრანიეში), როზენბერგი-2 (82. სანოგო), პისარო-1.5.

**ჰერტა:** გენგი-5.5, ჩაჰედი-5, ა. ფრიდრიხი-5, შიმუნიჩი-5.5, მ. შტაინი-5.5 (63. კაკა-5), კაჩარი-6 (72. ლუსტენბერგერი), დარდაი-5, ნიკუ-5 (79. დომოვჩიისკი), სისერო-4, ვორონინი-5, პანტელიჩი-5.

**გოლები:** 1:0 კაჩარი (14-საკ. კარში), 2:0 დიეგო (20), 3:0 როზენბერგი (42), 4.0 პისარო (59), 4:1 სისერო (68), 5:1 პისარო (85)

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 21(11)-6(3); **ჯარიმა:** 18-13; **კუთხური:** 3-3; **ბურთის ფლობა:** 61-39%-%.

**მაყურებელი:** 40 218

### კოტბუსი-შალკე 0:2

**კოტბუსი:** ტრემელი-3, პავიჩევიჩი-3.5, კუკიელკა-4.5, კადასი-4, ციბიგი-4.5, მ. კურთი-3.5, ტ. როსტი-4, რივიჩი-4 (83. ბ. იელიჩი), სკელა-4.5, შაო-5.5 (59. იულა-3.5), დ. სიორენსენი-5 (88. ვასილიევიჩი).

**შალკე:** ნოიერი-3, რაფინია-3.5, ვესტერმანი-2.5, ბორდონი-3, კობიაშვილი-3.5, ჯოუნსი-3, ენგელაარი-5, ჰალილ ალთინთოფი-4.5 (61. ფარფანი-2.5), რაკიტიჩი-5 (68. ფ. ერნსტი-3.5), ა. შტრაიტი-3.5 (88. ასამოა), კურანი-3.5.

**გოლები:** 0:1 ვესტერმანი (80), 0:2 ფარფანი (90)

*90-ე წუთზე ფარფანმა ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი (მეკარე)*

**გაძევება:** ენგელაარი (52. შალკე)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 12(3)-10(3); **ჯარიმა:** 22-12; **კუთხური:** 2-2; **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 16 640

### ჰოფენჰაიმი-კარლსრუე 4:1

**ჰოფენჰაიმი:** ჰაასი-3, ბეკი-4, იაისლე-4, კომპერი-3.5, იბერტსბერგერი-3 (46. იანკერი-3.5), ვაისი-2 (83. ტებერი), ფორსა-3.5 (38. სალიჰოვიჩი-2), კარლოს ედუარდო-3, ობასი ოგბუკე-1, იბიშევიჩი-1.5, ბა-2.5.

**კარლსრუე:** მ. მილერი-4, ა. გიორლიტცი-5, სებასტიანი-5, შტოლი-5, აიხნერი-4.5, ადუბე-4.5 (71. პორჩელო), მუტცელი-4.5, ფრაისი-3.5 (85. ჩელოზი), იაშვილი-5 (65. ტიმი-4.5), კარნელი-4.5, კენედი-4.

**გოლები:** 1:0 იბიშევიჩი (15), 1:1 ფრაისი (20), 2:1 ობასი ოგბუკე (67), 3:1 იბიშევიჩი (75), 4:1 ობასი ოგბუკე (78)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 30(12)-10(3); **ჯარიმა:** 22-29; **კუთხური:** 6-2; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 26 300

### ბაიერნი-არმინია 3:1

**ბაიერნი:** რენზინგი-3.5, ლელი-3, ლუსიო-2, დემიკელისი-4.5, ზე რობერტო-2.5, ოტლი-3.5 (46. კროოსი-2), ვან ბომელი-3, შვაინშტაიგერი-4 (46. პოდოლსკი-2), ბოროვსკი-2.5, რიბერი-2 (86. სოსა), კლოზე-2.

**არმინია:** აილჰოფი-2.5, ნ. ფიშერი-5 (73. კაუფი), ჰერციგი-4.5, ბოლმანი-5, შულერი-5 (66. რაუ-4.5), კუჩერა-4.5, ტეშე-5, კატონგო-5.5, ტ. მარქსი-4.5 (81. აიგნერი), კამპერი-5, ვიხნიარეკი-3.

**გოლები:** 1:0 კლოზე (25), 1:1 ვიხნიარეკი (30-პენ), 2:1 რიბერი (76), 3:1 პოდოლსკი (84-პენ).

**გაძევება:** ტეშე (82. არმინია).

**გაფრთხილება:** 1-5; **დარტყმა:** 35(12)-2(1); **ჯარიმა:** 14-19; **კუთხური:** 20-0; **ბურთის ფლობა:** 72%-28%.

**მაყურებელი:** 69 000

### ჰანოვერი-ჰამბურგი 3:0

**ჰანოვერი:** ფრომლოვიტცი-2.5, ჩერუნდოლო-3, ბალიტში-2, კ. შულცი-2.5, რაუში-3, ლალა-3.5, ბ. შულცი-2.5, შტაინერი-2.5, შლაუდრაფი-2 (88. იანკოვი), ჰუშტი-2.5 (84. კრებსი), ფორსელი-3.5 (70. ჰანკე-3.5).

**ჰამბურგი:** ფ როსტი-4, დემელი-5, ბ. რაინჰარდტი-4, მატიისენი-5, აოგო-4 (75. ტიაგო ნევესი), იაროლიმი-3.5, ალექს სილვა-3.5, ტროხოვსკი-4, ოლიჩი-2.5, გერერო-4 (26. პიტროიპა-3.5), პეტრიჩი-4.5.

**გოლები:** 1:0 ბ. შულცი (5), 2:0 შლაუდრაფი (18), 3:0 შტაინერი (79)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 9(6)-22(5); **ჯარიმა:** 21-13; **კუთხური:** 4-11; **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 49 000

### შტუტგარტი-კიოლნი 1:3

**შტუტგარტი:** ლემანი-3.5, ბულარუზი-3.5 (55. ელსონი-3.5), ტასკი-4, დელპიერი-4, ბოკა-4.5, პარდო-4 (61. მარიკა-4), ხედირა-3.5, ჰიტცლშპერგერი-5 (68. ლანიგი-3.5), კაკაუ-4.5, ჰილბერტი-4, გომესი-4.5.

**კიოლნი:** მონდრაგონი-3.5, ბრეკო-3, გერომელი-2.5, მოჰამადი-3, ვომე-4, მატიპი-4.5 (32. მაკენა-3.5), პეტიტი-2, პეცონი-4, ანტარი-4.5, რადუ-3.5 (77. სანუ), ნოვაკოვიჩი-2 (89. შერცი).

**გოლები:** 0:1 ნოვაკოვიჩი (69), 0:2 ნოვაკოვიჩი (61), 1:2 ჰილბერტი (69), 1:3 პეტიტი (90)

**გაფრთხილება:** 1-5; **დარტყმა:** 16(6)-9(5); **ჯარიმა:** 13-11; **კუთხური:** 9-3; **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 55 000

### ბორუსია (დ)-ბოხუმი 1:1

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი-3.5, ოვომოიელა-4, სუბოტიჩი-3, ჰუმელსი-4.5 (46. რ. კოვაჩი-3.5), ლი-3, ტინგა-3, კელი-4, კრინგე-4.5, ბლაშჩიკოვსკი-3.5 (81. კლიმოვიჩი), ზიდანი-3, ფრაი-4 (70. ვალდესი-5).

**ბოხუმი:** ფერნანდესი-3.5, ო. შრიოდერი-5.5 (41. პფერტცელი-4), მალტრიტცი-4, იაია-5, პ. ბიონიგი-4.5, ძდებელი-3 (73. მავრაი), ფრაიერი-3, ფუხსი-4, აზაუაგი-4.5, ჰაშემიანი-5 (64. მიჩიელი-4), შინანი-4.

**გოლები:** 0:1 ძდებელი (27), 1:1 ზიდანი (44)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 14(3)-10(5); **ჯარიმა:** 14-23; **კუთხური:** 5-6; **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 71 600

### ბორუსია (მ)-აინტრახტი 1:2

**ბორუსია (მ):** გოსპოდარეკი-4.5, ლეველსი-4, პააუვე-5, დაემსი-5, ფოიგტი-5.5 (68. ვან დერ ბერგი-4), ალბერმანი-4, სფერდი-5 (56. ბრედლი-4), მარინი-3.5, ბაუმიოჰანი-4.5 (63 ნოივილი-4.5), მატმური-4, ფრენდი-3.5.

**აინტრახტი:** ნიკოლოვი-4, პ. ოხსი-4.5, რუსი-4, გალინდო-3.5, შპიხერი-4.5, მ. ფინკი-4, შტაინჰიოფერი-5, ლიუბიჩიჩი-4.5, ქორქმაზი-3 (86. ტოსკი), ფენინი-2.5, ლიბეროპულოსი-3 (88. ცუმუ).

**გოლები:** 1:0 რუსი (12-საკ. კარში), 1:1 ფენინი (16), 1:2 მ. ფინკი (52)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 12(2)-8(4); **ჯარიმა:** 22-23; **კუთხური:** 7-3; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 44 773

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოფენჰაიმი | 11 | 8 | 1 | 2 | 31-16 | 25 |
| 2. ლევერკუზენი | 11 | 8 | 0 | 3 | 26-11 | 24 |
| 3. ბაიერნი | 11 | 6 | 3 | 2 | 25-17 | 21 |
| 4. შალკე | 11 | 5 | 5 | 1 | 17-8 | 20 |
| 5. ჰამბურგი | 11 | 6 | 2 | 3 | 17-18 | 20 |
| 6. ბორუსია (დ) | 11 | 4 | 6 | 1 | 19-16 | 18 |
| 7. ჰერტა | 11 | 5 | 3 | 3 | 15-15 | 18 |
| 8. ვერდერი | 11 | 4 | 4 | 3 | 28-23 | 16 |
| 9. ვოლფსბურგი | 11 | 4 | 4 | 3 | 23-18 | 16 |
| 10. შტუტგარტი | 11 | 5 | 1 | 5 | 16-15 | 16 |
| 11. კიოლნი | 11 | 5 | 1 | 5 | 11-13 | 16 |
| 12. აინტრახტი | 11 | 3 | 3 | 5 | 13-17 | 12 |
| 13. ჰანოვერი | 11 | 3 | 3 | 5 | 13-20 | 12 |
| 14. კარლსრუე | 11 | 3 | 0 | 8 | 9-20 | 9 |
| 15. ბოხუმი | 11 | 1 | 5 | 5 | 14-19 | 8 |
| 16. არმინია | 11 | 1 | 5 | 5 | 12-20 | 8 |
| 17. ბორუსია (მ) | 11 | 2 | 1 | 8 | 10-22 | 7 |
| 18. კოტბუსი | 11 | 1 | 3 | 7 | 6-17 | 6 |

**ბომბარდირები:** 13 - იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი); 8 - ვიხნიარეკი (არმინია), ჰელმესი (ლევერკუზენი); 7 - პისარო (ვერდერი), ნოვაკოვიჩი (კიოლნი); 6 - ბა (ჰოფენჰაიმი).

### II ბუნდესლიგა

**ფიურტი-ვეენი** 1:

**გოლები:** 0:1 კოენი (54), 1:1 ალაგუ (54)

**ფრანკფურტი-ალემანია** 0:

**გოლები:** 0:1 მილხრაუმი (12), 0: აუერი (57), 0:3 ნემეტი (82)

**ზტ. პაული-ნიურნბერგი** 1:

**გოლი:** 1:0 გონსალვეში (48)

**კობლენცი-დუისბურგი** 1:

**გოლები:** 1:0 კრონტირისი (62), 1:1 მაკიად (78)

**ოსნაბრიუკი-აუგსბურგი** 1

**გოლები:**L0:1 თურკი (3), 1:1 გრინაიზენი (4

**ალენი-მაინცი** 0

**გოლები:** 0:1 ბორხა (80), 0:2 ჰოოგლანდ (86)

**ობერჰაუზენი-ჰანზა** 1

**გოლი:** 1:0 ლიუტმანი (71)

**ინგოლშტადტი-ფრაიბურგი** 4

**გოლები:** 1:0 ფლუმი (6-საკ. კარში), 2:0 კა ლი (35), 3:0 ლოკვენცი (48), 4:0 ბუხნერი (69).

**კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი** დღ

| | თ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მაინცი | 11 | 7 | 3 | 1 | 23-10 |
| 2. კაიზერსლაუტ. | 10 | 7 | 1 | 2 | 22-15 |
| 3. ფრაიბურგი | 11 | 6 | 1 | 4 | 18-12 |
| 4. ზტ. პაული | 11 | 6 | 1 | 4 | 20-21 |
| 5. ფიურტი | 11 | 5 | 3 | 3 | 25-18 |
| 6. ალემანია | 11 | 5 | 2 | 4 | 16-13 |
| 7. ალენი | 11 | 5 | 2 | 4 | 16-19 |
| 8. მიუნხენ 1860 | 10 | 5 | 1 | 4 | 15-9 |
| 9. დუისბურგი | 11 | 4 | 4 | 3 | 17-13 |
| 10. ინგოლშტადტი | 11 | 4 | 2 | 5 | 18-20 |
| 11. ჰანზა | 11 | 3 | 4 | 4 | 22-14 |
| 12. ნიურნბერგი | 11 | 3 | 4 | 4 | 13-14 |
| 13. ოსნაბრიუკი | 11 | 3 | 3 | 5 | 16-22 |
| 14. ობერჰაუზენი | 11 | 4 | 0 | 7 | 12-24 |
| 15. აუგსბურგი | 11 | 3 | 2 | 6 | 15-19 |
| 16. კობლენცი | 11 | 3 | 4 | 4 | 15-18 |
| 17. ვეენი | 11 | 1 | 5 | 5 | 9-22 |
| 18. ფრანკფურტი | 11 | 1 | 4 | 6 | 11-20 |

**ბომბარდირები:** 10 - ალაგუი (ფიურტი), აუერი (ალემანია), დემირი (ინგოლშტადტი), ტობორგი (ალენი), მაკიადი (დუისბურგი), იდ[illegible]სუ (ფრაიბურგი).

### III ბუნდესლიგა

**ემდენი-აუე 1:1, კარლ-ცაისი-აალენი ბრაუნშვაიგი-ვერდერი II 1:1, ოფენბახი-უნტ ჰახინგი 3:1, ბაიერნი II-რეგენსბურგი 2:2, დრ დენი-პადერბორნი 0:3, უნიონი-დიუსელდო 1:0, შტუტგარტი II-ზანდჰაუზენი 1:1.**

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი

XII ტური

### ოსერი-ვალანსი 0:0

**ოსერი:** რიუ, ენგბარტი, გრიშტინგი, მინო, დუდკა, პედრეტი, ნარი, კალენბერგი, ოლიეში (66. კიტამბალა), ნიკულაე (85. ა. ტრაორე), ლეჟონი (55. ლანგილი).

**ვალანსი:** პენეტო, დუკურტუა, ბიშევაცი, რაფაელი, ტიენე, ჟელვანიო, საესი, მატერი (85. პუჟოლი), ლაკური (76. სანჩესი), პიერონი (69. სებო), ბეზაზი.

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 11 503

### ლილი-ნანტი 2:0

**ლილი:** მალიჩკი, დებუში, ბერია, რამი, ემერსონი, მავუბა, კაბეიე (79. დუმონი), ბალმონი, ობრანიაკი (73. ვიტეკი), ბასტოსი, ფოვერგი (84. ჰაზარი).

**ნანტი:** ერტებისი, მულეკი, გრავგაარდი, პიერი, მარევალი, ნ'დავი, დე ფრეიტასი (60. დოსევი), ფატი, ბაბოვიჩი, და როშა, კლასნიჩი (60. კესერუ).

**გოლები:** 1:0 ობრანიაკი (40), 2:0 ფოვერგი (46)

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 13 312

### ლორიანი-გრენობლი 1:1

**ლორიანი:** კაპონე, სორო, მარშალი, სიანი, ლე ლანი, ამალფიტანო (78. ნამუში), მანსური, აბრიელი, მორელი, გამეირო, ბ. რობერი (67. ლე პენი/86. ვაირუა).

**გრენობლი:** ვიმბე, რეგრაგი, ფლაშევიტკაიჩი, რობენი, ფეგული (67. ჯა ჯეჯე), ბანინგი, ბატლი, კურტუა, აკრური, მორეირა (75. დიმიტრიევიჩი).

**გოლები:** 0:1 კურტუა (53), 1:1 აბრიელი (58-პენ)

**გაძევება:** კურტუა (70. გრენობლი)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 10 338

### მარსელი-სტ. ეტიენი 3:1

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი, კანა, ჰილტონი, ტაივო, ზიანი, მ'ბამი, ბე. შეირუ, ვალბუენა (46. კაბორე), ბენ არფა (88. სამასა), ბ. კონე (85. გრანდენი).

**სტ. ეტიენი:** ჟანო, პერენი, ბენალუანი, ტაველარიდისი, სოგე, პეიე (60. მაშადუ), ოტკორერი (67. გრაქსი), მატუიდი, დერნისი, მირალა (53. მაცუი), გომისი.

**გოლები:** 1:0 ბე. შეირუ (22), 1:1 გომისი (23), 2:1 ბენ არფა (38-პენ), 3:1 ტაივო (71)

**გაფრთხილება:** 2-4

**მაყურებელი:** 54 715

### ნანსი-ბორდო 1:0

**ნანსი:** ბრასილიანო, ელდერი, უადუ, ანდრე ლუისი, მაკალუსო, ბიანკალანი (73. მალონგა), ბერენგერი, ა. ნ'დიაიე, ნ'გემო (51. ბრისონი), ი. ჰაჯი, ფორტუნე (80. ზერკა).

**ბორდო:** რამე (22. ვალვერდე), შალმე, ენრიკუ, სო. დიავარა, პლასენტე (78. შამახი), ა. დიარა, დუკასი (46. აბ. ტრაორე), ვენდელი, გურკუფი, ბელიონი, კავენაგი.

**გოლი:** 1:0 ი. ჰაჯი (70)

**გაფრთხილება:** 2-3

**მაყურებელი:** 18 618

### ნიცა-პსჟ 1:0

**ნიცა:** ლეტიზი, დიაკიტე, აპამი, კანტე, როოლი, ემუაფნი, ჟონეშამი, ელებუიკი, ფაე, ბამოგო (76. მა. ტრაორე), ლ. რემი (9. მულუნგუი/85. მოდესტე).

**პსჟ:** ლანდრო, სეარა (78. კლემანი), ზ. კამარა, სახო, არმანი, მაკელელე, შანტომი (46. ჟიული), სესენონი, როტენი, ლუინდულა, ოარო (46. კეჟმანი).

**გოლი:** 1:0 მულუნგუი (39)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 12 434

### ტულუზა-კაენი 0:1

**ტულუზა:** კარასო, ებონდო, სეტო, მ. ფოფანა, მატიო, ბერსონი, ლარსენი (76. გინიაკი), დიდო, ბერგუნუ (41. კაპუე), სუკუნა (69. მ'ბენგი), მანსარე.

**კაენი:** პლანტე, ბარზოლა, გ. ლეკა, სორბონი, სეობი, პრომანი, რ. გომისი, ფლორენტენი (65. ტუდიჩი), ადნანი (74. ნივე), ლემაეტრი, სავიდანი.

**გოლი:** 0:1 ნივე (79)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 15 714

### ჰავრი-მონაკო 2:3

**ჰავრი:** რევო, ნესტორი, ანენი, ტისიე (63. ალა), ჟილე, ანინი, ნორო, ბენ იდირი, ბოლი (46. დავიდა), ალასანი, ლესაჟი (78. ფორე).

**მონაკო:** რუფიე, ადრიანო, კუფრე, ნკულუ, შიმიჩი, მოლო (89. პერესი), პოკრივაცი (65. ლეკო), ლიკატა (71. მერიემი), ალონსო, გოსო, იან-ჩუ პარკი.

**გოლები:** 0:1 კუფრე (19), 0:2 ლიკატა (40), 1:2 ნესტორი (48), 1:3 იან-ჩუ პარკი (49), 2:3 ალასანი (60)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 20 000

### რენი-სოშო 1:0

**რენი:** დუშე, ფანი, ბოკანეგრა, ჰანსონი, მანგანი, ბრ. შეირუ, ლემუანი, სოვი, ბრიანი, პადისი, ტომერტი (46. ეშიეჟილი).

**სოშო:** კარლაო, იოკიჩი, აფოლაბი, დაფი, ისაბეი (66. ბირსა), მეზაგი, ნოგეირა, ტულასნი, ა. სანტოსი (66. მარტინი), ერდინგი (8. ფ. სანტოსი).

**გოლი:** 1:0 ბრიანი (1-პენ)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 21 000

### ლიონი-ლე მანი 2:0

**ლიონი:** ლორისი, რევეიერი, ბუმსონგი, გასამა, კრისი, ტულალანი, ჟუნინიო (59. მაკუნი), დელგადო, ბენზემა (57. ედერსონი), ფრედი, კ. კეიტა (82. კალსტრიომი).

**ლე მანი:** ი. პელე, სედრანი, ი. კამარა, პაულო ანდრე, გედერი, ბენ ფრეი (46. ბაალი), ფ. ტომასი (66. ჟერვინიო), სტრომსტადი, კუტადორი, მაეგა (75. ჰელსტადი), ლე ტალეკი.

**გოლები:** 1:0 ბენზემა (21), 2:0 ჟუნინიო (56)

**გაფრთხილება:** 0-2

**მაყურებელი:** 37 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 12 | 8 | 3 | 1 | 18-8 | 27 |
| 2. მარსელი | 12 | 6 | 5 | 1 | 24-15 | 23 |
| 3. ბორდო | 12 | 6 | 3 | 3 | 18-11 | 21 |
| 4. ტულუზა | 12 | 6 | 3 | 3 | 10-9 | 21 |
| 5. ლილი | 12 | 5 | 5 | 2 | 17-13 | 20 |
| 6. რენი | 12 | 4 | 7 | 1 | 14-9 | 19 |
| 7. ნიცა | 12 | 5 | 4 | 3 | 16-13 | 19 |
| 8. გრენობლი | 12 | 5 | 4 | 3 | 11-9 | 19 |
| 9. ლე მანი | 12 | 5 | 3 | 4 | 18-15 | 18 |
| 10. კაენი | 12 | 4 | 5 | 3 | 18-13 | 17 |
| 11. პსჟ | 12 | 5 | 2 | 5 | 12-11 | 17 |
| 12. ოსერი | 12 | 4 | 4 | 4 | 12-11 | 16 |
| 13. მონაკო | 12 | 4 | 4 | 4 | 12-12 | 16 |
| 14. ლორიანი | 12 | 3 | 4 | 5 | 15-16 | 13 |
| 15. ნანსი | 12 | 2 | 6 | 4 | 9-13 | 12 |
| 16. ნანტი | 12 | 3 | 2 | 7 | 8-19 | 11 |
| 17. სტ.ეტიენი | 12 | 3 | 1 | 8 | 8-17 | 10 |
| 18. ვალანსი | 12 | 2 | 3 | 7 | 8-16 | 9 |
| 19. ჰავრი | 12 | 2 | 2 | 8 | 10-21 | 8 |
| 20. სოშო | 12 | 0 | 6 | 6 | 10-17 | 6 |

ბომბარდირები: 7 - ბენზემა (ლიონი); 6 - კავენაგი (ბორდო), ოარო (პსჟ), რემი (ნიცა), სავიდანი (კაენი); 5 - გინიაკი (ტულუზა), ობრანიაკი (ლილი), ბენ არფა (მარსელი), კონე (მარსელი).

### II დივიზიონი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ამიენი-ტრუა | 1:1 |
| ბასტია-სედანი | 2:0 |
| ბულონი-კლერმონი | 2:1 |
| დიჟონი-ბრესტი | 1:2 |
| გინგამი-ანჟერსი | 0:0 |
| მეცი-ვანი | 2:0 |
| მონპელიე-ნიმი | 1:1 |
| რეიმსი-შატორუ | 4:3 |
| ტური-აიაჩო | 4:1 |
| სტრასბური-ლანსი | დღეს |

## რუმინეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| გლორია (ბის)-არჯეში | 2:0 |
| კლუჟი-უნირეა | 1:0 |
| პოლიტეხნიკა-პანდური | 1:1 |
| ვასლუი-გაზ მეთანი | 1:1 |
| ფარული-ბრაშოვი | 1:1 |
| უნივერსიტატეა-ოტოპენი | 2:2 |
| დინამო-სტიაუა | 1:1 |
| ოცელული-პ. ტიმიშოარა | 2:2 |
| რაპიდი-გლორია (ბუზ) | 1:0 |

## არგენტინა

XIII ტური

| | |
|---|---|
| ინდეპენდიენტე-გოდოი | 1:1 |
| არგ. ხუნიორსი-ტიგრე | 2:0 |
| ურაკანი-ესტუდიანტესი | 1:0 |
| ლანუსი-რივერი | 2:0 |
| სან მარტინი-კოლონი | 1:1 |
| ხიმნასია (ლ)-არსენალი | 0:1 |
| ნიუელსი-როსარიო | 1:0 |
| ბოკა-სან ლორენსო | 1:0 |
| ხიმნასია (ხ)-ბანფილდი | გვ. დასრულდა |
| რასინგი-ველესი | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

IX ტური

| | |
|---|---|
| დეფენსორი-სერო ლარგო | 3:1 |
| ნასიონალი-ლივერპული | 1:2 |
| რასინგი-რამპლა | 3:2 |
| რივერ პლეიტი-სენტრალი | 1:2 |
| სერო-დანუბიო | 0:1 |
| ხუვენტუდი-ვ. ესპანიოლა | 1:3 |
| მონტევიდეო-ტაკუარემბო | 0:1 |
| პენიაროლი-ბელა ვისტა | 3:1 |

## პოლონეთი

I ტური

| | |
|---|---|
| არკა-პოლონია (ვ) | 0:1 |
| პიასტი-პოლონია (ბ) | 1:0 |
| ლეხი-ოდრა | 3:1 |
| ლკს-შლიონსკი | 0:0 |
| გურნიკი-ბელხატოვი | 2:3 |
| იაგელონია-კრაკოვია | 2:0 |
| ვისლა-რუხი | 2:0 |
| ლეგია-ლეხია | 3:0 |

## უკრაინა

XIII ტური

| | |
|---|---|
| შახტარი-ზორია | 3:1 |
| მეტალურგი (ზ)-არსენალი | 2:1 |
| ილიჩივეცი-ხარკოვი | 1:1 |
| დინამო-კარპატი | 4:0 |
| მეტალისტი-ჩერნომორეცი | 2:0 |
| ლვოვი-ტავრია | 2:4 |
| ვორსკლა-მეტალურგი (დ) | 1:0 |
| დნიპრო-კრივბასი | 1:0 |

## მექსიკა

XV ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი-ამერიკა | 1:3 |
| ჩივასი-პუმასი | 1:1 |
| ინდიოსი-პუებლა | 1:0 |
| ნეკაქსა-სან ლუისი | 1:1 |
| მონტერეი-ატლანტე | 2:1 |
| კრუს ასული-პაჩუკა | 1:2 |
| მორელია-ხაგუარესი | 5:2 |
| ტოლუკა-ატლასი | 4:0 |
| ს. ლაგუნა-ტიგრესი | გვ. დასრულდა |

## ჰოლანდია

IX ტური

| | |
|---|---|
| ტვენტე-აიაქსი | 0:2 |
| ბრედა-გრონინგენი | 1:0 |
| ეინდჰოვენი-ვილემი | 2:0 |
| ჰერენვენი-ალკმაარი | 3:3 |
| როდა-ფეიენოორდი | 0:4 |
| ვიტესი-დენ ჰააგი | 3:1 |
| უტრეხტი-ჰერაკლესი | 2:0 |
| ვოლენდამი-გრააფსხაპი | 3:1 |
| სპარტა-ნიიმეგენი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 9 | 6 | 1 | 2 | 23-10 | 19 |
| 2. აიაქსი | 9 | 6 | 1 | 2 | 17-10 | 19 |
| 3. ბრედა | 9 | 6 | 1 | 2 | 17-10 | 19 |
| 4. ეინდჰოვენი | 9 | 6 | 0 | 3 | 17-7 | 18 |
| 5. გრონინგენი | 9 | 5 | 2 | 2 | 18-6 | 17 |
| 6. ტვენტე | 9 | 5 | 2 | 2 | 12-8 | 17 |
| 7. ნიიმეგენი | 9 | 4 | 3 | 2 | 14-9 | 15 |
| 8. უტრეხტი | 9 | 4 | 2 | 3 | 9-8 | 14 |
| 9. ჰერენვენი | 9 | 3 | 4 | 2 | 21-20 | 13 |
| 10. ჰერაკლესი | 9 | 3 | 3 | 3 | 13-13 | 12 |
| 11. ვილემი | 9 | 3 | 3 | 3 | 13-15 | 12 |
| 12. დენ ჰააგი | 9 | 3 | 1 | 5 | 12-15 | 10 |
| 13. ფეიენოორდი | 9 | 2 | 2 | 5 | 16-15 | 8 |
| 14. ვიტესი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-17 | 8 |
| 15. სპარტა | 9 | 2 | 2 | 5 | 8-21 | 8 |
| 16. გრააფსხაპი | 9 | 2 | 1 | 6 | 5-16 | 7 |
| 17. როდა | 9 | 1 | 3 | 5 | 8-19 | 6 |
| 18. ვოლენდამი | 9 | 1 | 1 | 7 | 10-23 | 4 |

### II დივიზიონი

XIV ტური

ვაალვიკი-ემენი 1:0; ვეენდამი-ეინდჰოვენი A 2:2; აპელდორნი-მაასტრიხტი 2:3; ფორტუნა-ტელსტარი 2:1; დენ ბოშიროსენდაალი 2:1; ომნივორლდი-ვენლო 3:5; ჰელმონდი-ექსელსიორი 1:1; იგლზიდორდრეჰტი 0:0; კამბური-ტოპ ოსი 2:1; ჰაარლემი-ცვოლე 3:1.

## ჩეხეთი

XII ტური

| | |
|---|---|
| პლზენი-იაბლონეცი | 1:1 |
| სლავია-ბრნო | 2:1 |
| ტეპლიცე-სიგმა | 0:1 |
| ბუდეიოვიცე-ვიქტორია | 3:2 |
| ბოჰემიანსი-ზლინი | 1:0 |
| პრშიბრამი-კლადნო | 2:0 |
| ლიბერეცი-ბოლესლავი | 3:3 |
| ბანიკი-სპარტა | დღეს |

### II დივიზიონი

XIV ტური

იჰლავა-სოკოლოვი 1:0; დუკლა-კარვინა 2:0; ოლომოუცი-მოსტი 0:0; ტრშინეცი-ვიტკოვიცე 1:3; ოპავა-სპარტა II 3:0; სლოვაცკო-ფულნეკი 2:1; უსტი-ჩასლავი 2:1; პრადეცი-ბოჰემიანსი 1:2.

## კვიპროსი

VII ტური

| | |
|---|---|
| ანორთოსისი-აპოპ | 2:0 |
| ატრომიტოსი-ალკი | 1:1 |
| აპოლონი-აეკ | 1:0 |
| აპოელ-ენოსისი | 1:0 |
| დოხა-აეპ | 1:0 |
| აპეპ-ომონია | 1:3 |
| ეთნიკოსი-აელ | 3:1 |

## დანია

XII ტური

| | |
|---|---|
| ოდენსე-ოლბორგი | 1:1 |
| ნორდშელანდი-ესბიერგი | 1:1 |
| აგფ ორჰუსი-მიდტიულანდი | 2:1 |
| სიონდერისკე-რანდერსი | 1:4 |
| ვეილე-კოპენჰაგენი | 1:1 |
| ბრონდბიუ-ჰორსენსი | დღეს |

### II დივიზიონი

XII ტური

ვიბორგი-ჰერფიოლგე 2:4; ფრემი-როსკილდე 2:0; ნაესტვედი-ფრედერისია 3:0; ტისტედი-აკადემისკი 2:2; ლუნგბიუ-კიოგე 4:0; ნიკიობინგი-სილკებორგი 1:2; კიოლდინგი-ფრემადი 3:2; სკივე-ჰვიდოვრე 2:0.

## უნგრეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ზალაეგერსეგი-უიპეშტი | 2:2 |
| დიოში-ნირეგიჰაზა | 1:0 |
| ვაშაში-ფეჰერვარი | 4:1 |
| კაპოშვარი-რეაკ | 4:1 |
| ჰონვედი-კეჩკემეტი | 2:2 |
| დიოშდიორი-ჰალადაში | 1:0 |
| პაკში-შიოფოკი | 2:1 |
| მტკ-დებრეცენი | 0:1 |

## ისრაელი

VIII ტური

| | |
|---|---|
| მაკაბი (რ-გ)-მაკაბი (ჰ) | 0:3 |
| მაკაბი (ნ)-ბნეი იეჰუდა | 2:2 |
| ბნეი სახნინი-ჰაპოელი (ფ-თ) | 0:3 |
| მაკაბი (ფ-თ)-აშდოდი | 2:3 |
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (ი) | 0:1 |
| ბეითარი-ჰაპოელი (თ-ა) | დღეს |

## აშშ

პლეიოფი

| | |
|---|---|
| ნიუ ინგლენდი-ჩიკაგო | 0:0 |
| ნიუ იორკი-ჰიუსტონი | 1:1 |
| სოლტ ლეიკი-ჩივასი | 1:0 |
| კანზასი-კოლამბუსი | 1:1 |

## ეკვადორი

IV ტური

| | |
|---|---|
| დეპ. კუენკა-დეპ. მაკარა | 2:2 |
| ელ ნასიონალი-დეპ. კიტო | 1:0 |
| ბარსელონ-ლ. დე კიტო | გვ. დასრულდა |

## ბელგია

X ტური

| | |
|---|---|
| სტანდარტი-შარლერუა | 1:2 |
| ბრიუგე-კორტრეიკი | 4:1 |
| დენდერი-ვესტერლო | 2:2 |
| მეხელენი-რუზელარე | 1:2 |
| ლოკერენი-მონსი | 0:0 |
| ტუბიზე-გენკი | 1:3 |
| მუსკრონი-სერკლი | 0:1 |
| ვარეგემი-გენტი | 0:2 |
| ბეერსხოტი-ანდერლეხტი | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრიუგე | 10 | 7 | 2 | 1 | 19-8 | 23 |
| 2. ანდერლეხტი | 10 | 7 | 1 | 2 | 26-12 | 22 |
| 3. გენკი | 10 | 6 | 2 | 2 | 17-11 | 20 |
| 4. სტანდარდი | 10 | 6 | 2 | 2 | 16-10 | 20 |
| 5. გენტი | 10 | 5 | 3 | 2 | 21-11 | 18 |
| 6. ვესტერლო | 10 | 5 | 3 | 2 | 15-12 | 18 |
| 7. მუსკრონი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-12 | 17 |
| 8. ლოკერენი | 10 | 3 | 6 | 1 | 11-6 | 15 |
| 9. შარლერუა | 10 | 4 | 2 | 4 | 11-13 | 14 |
| 10. ვარეგემი | 10 | 4 | 1 | 5 | 13-12 | 13 |
| 11. სერკლი | 10 | 4 | 1 | 5 | 14-16 | 13 |
| 12. კორტრეიკი | 10 | 3 | 3 | 4 | 10-18 | 12 |
| 13. მონსი | 10 | 2 | 3 | 5 | 9-14 | 9 |
| 14. დენდერი | 10 | 2 | 3 | 5 | 14-20 | 9 |
| 15. ბეერსხოტი | 10 | 1 | 5 | 4 | 9-11 | 8 |
| 16. მეხელენი | 10 | 2 | 2 | 6 | 12-22 | 8 |
| 17. რუზელარე | 10 | 1 | 2 | 7 | 5-17 | 5 |
| 18. ტუბიზე | 10 | 1 | 1 | 8 | 7-21 | 4 |

### II დივიზიონი

XII ტური

ბევერენი-ტინენე 2:2; ბრიუსელი-ოსტენდე 1:2; ლიერსი-ლომელი 3:1; სტ. ტრუიდენი-დაინცე 3:1; ვირტონი-ტურნე 1:3; ჰამე-ანტვერპენი 2:3; ოლ. შარლერუა-ლიეჟი 6:4; ჰევერლე-ნამური 3:1; რონსე-ეუპენი 3:1.

## საბერძნეთი

VIII ტური

| | |
|---|---|
| პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 1:2 |
| ლევადია-პანსერაიკოსი | 0:0 |
| არისი-ლარისა | 0:0 |
| ოფი-ქსანთი | 0:2 |
| პანთრაკიკოსი-ტრასივულოსი | 1:0 |
| აეკ-ასტერასი | 2:1 |
| ირაკლისი-პაოკ | 1:1 |
| ოლიმპიაკოსი-ერგოტელისი | 2:0 |

### II დივიზიონი

IX ტური

პირიკოსი-იონიკოსი 2:0; ეთნიკოსი (ა)-ოლიმპიაკოსი (ვ) 2:0; ეთნიკოსი (მ)-კასტორია 1:1; კალამარია-ილისიაკოსი 3:2; კალამატა-აგროტიკოსი 2:0; კალითეა-დიაგორასი გადაიდო; კადიცასი-ატრომიტოსი 0:1; კავალა-ვერია 2:0; იანინაკერკირა დღეს.

## შვედეთი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ლიუნგსკილე-გაისი | 0:3 |
| აიკ-ჰელსინგბორგი | 3:1 |
| კალმარი-ნორჩოპინგი | 6:0 |
| სუნდსვალი-ერებრუ | 1:2 |
| ტრელებორგი-გეფლე | 3:3 |

## შვედეთი

პლეიოფი

| | |
|---|---|
| იონჩოპინგი-ოსტერი | 3:0 |
| ბუნქეფლო-ვასალუნდსი | 1:4 |

## ნორვეგია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| სტრომსგოდსეტი-ვიკინგი | 3:2 |
| როზენბორგი-ბოდო გლიმტი | 1:3 |
| ჰამარი-მიოლდე | 0:1 |
| ოლესუნდი-ლილესტრომი | 3:0 |
| ფრედრიკსტადი-ლინი | 0:2 |
| ვოლერენგა-ბრანი | 0:1 |
| ტრომსიო-სტაბეკი | 1:0 |

### II დივიზიონი

XXX ტური

ბრინი-კონგსვინგერი 2:1; ჰაუგესუნდი-მოსი 2:2; ჰიოდი-სიოგნდალი 0:3; ლოვ ჰამი-ალტა 3:0; სტარტი-ნოტოდენი 1:0; სპარტა-ოდ გრენლანდი 5:1; სანდეფიორდი-ჰიონეფოსი 0:0; ნიბერგსუნდი -სანდნესი 2:0.

## სერბეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| იავორი-ბორაცი | 2:2 |
| იაგოდინა-ნაპრედაკი | 1:0 |
| ჰაიდუკი-პარტიზანი | 1:1 |
| ჩუკარიჩკი-ოფკ | 0:1 |
| ცრ. ზვეზდა-რადი | 2:0 |
| ვოივოდინა-ბანატი | 2:0 |

## ჩრ. ირლანდია

XII ტური

| | |
|---|---|
| კლიფტონვილი-ბალიმენა | 0:0 |
| დუნგანონი-კოლრეინი | 0:1 |
| გლენავონი-კრუზეიდერსი | 1:1 |
| ნიური-ლინფილდი | 1:1 |
| ინსტიტუტი-ბანგორი | 1:0 |
| გლენტორანი-ლისბურნი | გადაიდო |

## კოლუმბია

XVII ტური

| | |
|---|---|
| ატ. ნასიონალი-დეპ. პასტო | 2:1 |
| დეპ. კალი-ინდეპენდიენტე | 0:2 |
| დეპ. კუინდიო-ამერიკა | 0:2 |
| ატ. ხუნიორი-ჩიკო | გვ. დასრულდა |
| კუკუტა-ატ. უილა | გვ. დასრულდა |

## პორტუგალია

VII ტური

| | |
|---|---|
| სეტუბალი-ტროფენსე | 0:2 |
| ნავალი-პორტუ | 1:0 |
| რიუ ავე-სპორტინგი | 0:1 |
| აკადემიკა-ბრაგა | 1:1 |
| ამადორა-ბელენენსეში | 1:1 |
| ლეიქსოეში-ფერეირა | 2:1 |
| გიმარაეში-ბენფიკა | 1:2 |
| მარიტიმუ-ნასიონალი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეიქსოეში | 7 | 5 | 1 | 1 | 12-8 | 16 |
| 2. ბენფიკა | 7 | 4 | 3 | 0 | 13-8 | 15 |
| 3. ნასიონალი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-5 | 13 |
| 4. სპორტინგი | 7 | 4 | 1 | 2 | 8-5 | 13 |
| 5. პორტუ | 7 | 3 | 2 | 2 | 9-6 | 11 |
| 6. ნავალი | 7 | 3 | 2 | 2 | 9-7 | 11 |
| 7. ამადორა | 7 | 3 | 2 | 2 | 5-8 | 11 |
| 8. ბრაგა | 7 | 2 | 3 | 2 | 9-5 | 9 |
| 9. გიმარაეში | 7 | 2 | 3 | 2 | 7-7 | 9 |
| 10. აკადემიკა | 7 | 2 | 3 | 2 | 4-5 | 9 |
| 11. მარიტიმუ | 6 | 2 | 2 | 2 | 5-3 | 8 |
| 12. სეტუბალი | 7 | 2 | 1 | 4 | 3-7 | 7 |
| 13. რიუ ავე | 7 | 1 | 3 | 3 | 5-7 | 6 |
| 14. ბელენენსეში | 7 | 0 | 4 | 3 | 5-10 | 4 |
| 15. ტროფენსე | 7 | 1 | 1 | 5 | 6-12 | 4 |
| 16. ფერეირა | 7 | 0 | 2 | 5 | 8-15 | 2 |

### II დივიზიონი

VII ტური

ფრეამუნდე-ვიზელა 1:1; ლეირია-კოვილია 1:1; პორტიმონენსე-ოლანენსე 2:3 ; სანტა კლარა-ეშტორილი 1:1; ოლივეირენსე-ავეში 0:0; გონდომარი-ჟილ ვისენტე 3:0; ფეირენსე-ბოავიშტა 2:0; ბეირა მარი-ვარზიმი 1:1.

## ირლანდია

XXXI ტური

| | |
|---|---|
| ბრეი-კობ რამბლერსი | 3:2 |
| უნივერსიტი-ბოჰემიანსი | 0:1 |
| დროგედა-ფინ ჰარპსი | 1:2 |
| სლაიგო-შემროკი | 2:1 |
| დერი-გალვეი | 2:0 |

## რუსეთი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ცსკა-სპარტაკი | 0:1 |
| ზენიტი-ხიმკი | 1:0 |
| ლუჩი-ამკარი | 0:1 |
| სატურნი-რუბინი | 1:2 |
| ნალჩიკი-ტომი | 1:1 |
| ტერეკი-მოსკოვი | 1:1 |
| ლოკომოტივი-დინამო | დღეს |
| კრილია-შინიკი | დღეს |

## სლოვენია

XV ტური

| | |
|---|---|
| კოპერი-დრავა | 3:1 |
| რუდარი-პრიმორიე | 0:1 |
| მარიბორი-პუბლიკუმი | 2:1 |
| გორიცა-ნაფტა | 3:1 |
| ინტერბლოკი-დომჟალე | 0:0 |

## სლოვაკეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| დ. სტრედა-სლოვანი | 0:4 |
| დუბნიცა-კოშიცე | 3:1 |
| მორავცე-ტრნავა | 0:1 |
| ბისტრიცა-რუჟემბეროკი | 0:2 |
| არტმედია-ნიტრა | 1:1 |
| ტატრანი-ჟილინა | 1:0 |

## ბულგარეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| ჩერნომორეცი-სპარტაკი | 2:0 |
| ჩერნო მორე-სლივენი | 3:0 |
| პირინი-ლოკომოტივი (პ) | 1:0 |
| ვიხრენი-მინიორი | 0:1 |
| ლევსკი-ცსკა | 1:1 |
| ლოკომოტივი (ს)-ბელასიცა | 3:1 |
| ლიტექსი-ლოკომოტივი (მ) | 2:1 |
| ბოტევი-სლავია | დღეს |

## ხორვატია

XIII ტური

| | |
|---|---|
| სიბალია-ოსიეკი | 0:3 |
| კროაცია-შიბენიკი | 0:0 |
| ინკერი-დინამო | 1:3 |
| ზადარი-სლავენი | 1:1 |
| ზაგრები-რიეკა | 1:1 |
| ვარტექსი-ჰაიდუკი | 0:2 |

## ბრაზილია

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| ფლამენგო-პორტუგეზა | 2:2 |
| იპატინგა-კორიტიბა | 2:0 |
| ნაუტიკო-ვიტორია | 1:0 |
| ატ. მინეირო-ბოტაფოგო | 2:1 |
| ატ. პარანაენსე-სპორტ რესიფე | 1:0 |
| გოიაში-კრუზეირო | 3:0 |
| სანტოსი-პალმეირასი | 1:2 |
| ფლუმინენსე-ვასკო | გვ. დასრულდა |
| გრემიო-ფიგეირენსე | გვ. დასრულდა |
| სან პაულუ-ინტერი | გვ. დასრულდა |

## პერუ

XVII ტური

| | |
|---|---|
| სპორტ ბოისი-სპორტი | 0:3 |
| სესარ ვალეხო-ალ. ატლეტიკო | 2:1 |
| უნივერსიტარიო-სენსიანო | 1:1 |
| ხოსე გალვესი-კორონელი | 3:1 |
| ხუან აურიჩი-სპ. კრისტალი | 2:1 |
| ს. მარტინი-ატ. მინერო | გვ. დასრულდა |
| მელგარი-ალ. ლიმა | გვ. დასრულდა |

## შოტლანდიის პრემიერლიგა

XI ტური

| | |
|---|---|
| აბერდინი-კილმარნოკი | 1:0 |
| ფალკირკი-დანდი იუნ | 0:0 |
| მოზერველი-ჰამილტონი | 2:0 |
| რეინჯერსი-ინვერნესი | 5:0 |
| სტ. მირენი-ჰიბერნიანი | 0:0 |
| ჰართსი-სელტიკი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 10 | 8 | 1 | 1 | 23-7 | 25 |
| 2. სელტიკი | 10 | 8 | 1 | 1 | 27-13 | 25 |
| 3. მოზერველი | 11 | 5 | 1 | 5 | 16-16 | 16 |
| 4. კილმარნოკი | 11 | 5 | 1 | 5 | 11-12 | 16 |
| 5. დანდი იუნ | 10 | 4 | 3 | 3 | 12-10 | 15 |
| 6. ჰიბერნიანი | 11 | 4 | 3 | 4 | 12-15 | 15 |
| 7. აბერდინი | 11 | 4 | 2 | 5 | 10-12 | 14 |
| 8. ჰართსი | 10 | 4 | 2 | 4 | 12-15 | 14 |
| 9. სტ. მირენი | 11 | 3 | 3 | 5 | 8-11 | 12 |
| 10. ფალკირკი | 11 | 3 | 2 | 6 | 14-17 | 11 |
| 11. ინვერნესი | 11 | 3 | 1 | 7 | 12-18 | 10 |
| 12. ჰამილტონი | 11 | 3 | 0 | 8 | 10-21 | 9 |

### I დივიზიონი

XII ტური

დანდი-ეირდრი 1:1; დანფერმლაინი-სტ. ჯონსტონი 1:2; ლივინგსტონი-მორტონი 1:0; პარტიკი-ქუინი 2:0; როსი-კლაიდი 3:0.

### II დივიზიონი

XII ტური

არბროა-ეირი 0:3; პიტერჰედი-ბრეჩინი 5:1; ქუინზ პარკი-ისტ ფაიფი 0:0; რეითიალოა 4:1; სტირლინგი-სტრანრარი 3:2.

### III დივიზიონი

XI ტური

ალბიონი-კოუდენბითი 3:1; დამბარტონი-ბირუიკი 5:2; ელჯინი-ფორფარი 0:1; მონროუზი-სტენჰაუზმური 0:3.

## თურქეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| ჰაჩეთეპე-კონია | 1:2 |
| ბუიუქშეჰირი-ტრაბზონი | 0:4 |
| ესქიშეჰირი-ფენერბაჩე | 2:2 |
| ბურსა-ანკარა | 0:1 |
| გენჩლერი-ანთალია | 1:2 |
| სივასი-დენიზლი | 3:1 |
| კოჯაელი-ანკარაგიუჯუ | 1:1 |
| კაისერი-ბეშიქთაში | 1:0 |
| გალათასარაი-გაზიანთეპი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტრაბზონი | 9 | 6 | 2 | 1 | 16-9 | 20 |
| 2. ანკარა | 9 | 6 | 1 | 2 | 16-7 | 19 |
| 3. სივასი | 9 | 5 | 3 | 1 | 16-8 | 18 |
| 4. ბეშიქთაში | 9 | 5 | 3 | 1 | 15-7 | 18 |
| 5. გალათასარაი | 9 | 5 | 2 | 2 | 22-11 | 17 |
| 6. კაისერი | 9 | 5 | 2 | 2 | 11-5 | 17 |
| 7. ბურსა | 9 | 5 | 0 | 4 | 14-15 | 15 |
| 8. გაზიანთეპი | 9 | 4 | 2 | 3 | 13-12 | 14 |
| 9. ფენერბაჩე | 9 | 4 | 1 | 4 | 18-15 | 13 |
| 10. ესქიშეჰირი | 9 | 3 | 4 | 2 | 13-12 | 13 |
| 11. კონია | 9 | 4 | 1 | 4 | 12-15 | 13 |
| 12. გენჩლერი | 9 | 2 | 3 | 4 | 11-15 | 9 |
| 13. ბუიუქშეჰირ | 9 | 2 | 3 | 4 | 7-13 | 9 |
| 14. დენიზლი | 9 | 2 | 2 | 5 | 11-17 | 8 |
| 15. ჰაჩეთეპე | 9 | 2 | 2 | 5 | 7-13 | 8 |
| 16. ანკარა | 9 | 1 | 3 | 5 | 8-16 | 6 |
| 17. ანთალია | 9 | 1 | 2 | 6 | 12-19 | 5 |
| 18. კოჯაელი | 9 | 0 | 2 | 7 | 8-21 | 2 |

### II დივიზიონი

X ტური

ორდუ-საქარია 1:1; გირეშუნი-დიარბაქირი 1:2; მანიშა-ადანა 3:2; მალათიასამსუნი 4:3; ბოლუში-ბბ გაზიანთეფი 1:0; ქარსიაქა-ქართალი 2:0; ქარაბუქი-ალთაი 0:1; გიუნგორენი-ერჩიესი 1:0; რიზე-ქასიმფაშა დღეს.

## ავსტრია

XV ტური

| | |
|---|---|
| კაპფენბერგი-რაპიდი | 0:2 |
| ლინცერი-ზალცბურგი | 0:2 |
| ალტახი-მატერსბურგი | 2:2 |
| ავსტრია (კ)-რიდი | 1:1 |
| ავსტრია (ვ)-შტურმი | 1:3 |

### II დივიზიონი

XIV ტური

ზალცბურგი A-ავსტრია (ლ) 1:0; ადმირა-გრიოდიგი 3:0; ტიროლი-სტ. პოლტენი 0:1; ლეობენი-ავსტრია A 0:1; ლუშტენაუ-ვინერი 1:1; გრატკორნი-ფოკლაბრუკი 2:1.

## შვეიცარია

XIII ტური

| | |
|---|---|
| ბაზელი-სიონი | 3:0 |
| გრასჰოპერსი-ვადუცი | 3:0 |
| არაუ-ქსამაქსი | 2:1 |
| ლუცერნი-ბელინცონა | 1:0 |
| იანგ ბოიზ-ციურიხი | 2:2 |

### ჩელენჯლიგა

XI ტური

ვილი-კონკორდია 2:0; ლოზანა-სტად ნიონე 1:0; ვინტერტური-ვოლენი 1:2; გოსაუ-სტ. გალენი 1:3; შო დე ფონი-ბილ ბიენი 1:0; სერვეტი-ლოკარნო 2:5; ლუგანოშაფჰაუზენი 4:0; ტუნი-ივერდონი დღეს.

## ჩილე

XVIII ტური

| | |
|---|---|
| მელიპილა-ს. მორნინგი | 1:5 |
| აუდაქსი-დეპ. ნუბლენსე | 1:1 |
| უნ. კატოლიკა-კობრელოა | 4:3 |
| ევერტონი-ოსორნო | 3:1 |
| ლა სერენა-პალესტინო | 3:0 |
| კობრესალი-უნ. კონსეპსიონი | 1:3 |
| უნ. ჩილე-ო'ჰიგინსი | 5:3 |
| უაჩიპატო-კოლო კოლო | გვ. დასრულდა |
| უნ. ესპანიოლ-რეინჯერ | გვ. დასრულდა |
| დეპ. კონსეპს-ანტოფაგ | გვ. დასრულდა |

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

ინტერვიუ გია ნაცვლიშვილთან

# ვილაპარაკოთ მხოლოდ სპორტის პოლიტიკაზე

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ახალი პრეზიდენტი ჰყავს - კახეთში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული და ძიუდოს ფედერაციის ასევე ყოფილი თავკაცი გია ნაცვლიშვილი. გამარჯვებას ბევრი უწინასწარმეტყველებდა გაკეთებული საქმეების გამო. მის მაგალითზე ნათლად დადასტურდა, რომ საქმის კეთებას არც პოლიტიკური მრწამსი უშლის ხელს და არც თანამდებობა. სწორედ გია ნაცვლიშვილის პრეზიდენტობისას მიაღწია დამოუკიდებელმა ქართულმა ძიუდომ არნახულ სიმაღლეებს - ორჯერ მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობა მოვიპოვეთ, მოვიგეთ ევროპის გუნდური პირველობაც. იმავე პერიოდში ევროპაში ზედიზედ სამჯერ იჩემპიონა ზაზა კედელაშვილმა. გვყავს ოლიმპიური ჩემპიონები... სეოკ-ის „შიდა სამზარეულოში" ჯერ არ შეუხედავს, მაგრამ ახალარჩეულმა პრეზიდენტმა უკვე იცის, რა იქნება მისი პრიორიტეტები უახლოეს ოთხ წელიწადში.



**- ბატონო გია, სეოკ-ის პრეზიდენტის არჩევნებამდე კანდიდატთაგან ყველაზე აქტიურად ხვდებოდით სხვადასხვა სახეობის ფედერაციათა თავკაცებს და მათი პოზიციაც იცოდით. უპირველესად, ალბათ, ეს გაძლევდათ ოპტიმიზმის საბაბს...**

- არა მხოლოდ ეს. ის საქმეებიც, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში ყოფნის - პრეზიდენტის რწმუნებულად მუშაობისას გამიკეთებია. რაც შეეხება შეხვედრებს, სამოცდაათამდე შეხვედრა გავმართე სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციის წარმომადგენლებთან, ცნობილ სპორტსმენებთან. სწორედ ამის შედეგად შევძელი მათი მუშაობის გაანალიზება, სამოქმედო გეგმის დასახვა და იმ სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მომავალი ოლიმპიადისთვის უფრო მეტ ლიცენზიასა და მედალს მოგვიტანს.

**- რა „მემკვიდრეობა" დახვდა ოლიმპიურ კომიტეტში ახალ პრეზიდენტს?**

- ჯერჯერობით ბევრს ვერაფერს გეტყვით. მუშაობას ორშაბათიდან შევუდგები. ისე კი, თუ „გარედან" ვიმსჯელებთ, ოლიმპიურ კომიტეტში ბევრი რამაა შესაცვლელი. ძალზე ბევრი კარგი საქმე გაკეთდა, თუმცა, აშკარაა, რომ ახალი იდეები, მიმართულებებია საჭირო. სხვა რომ არაფერი, წესდებაც კი, თუ არ ვცდები, 1996 წლის შემდეგ არ შეცვლილა და ნაკლებად შეესაბამება დღევანდელ ვითარებას. არასწორად მიმაჩნია, სეოკ-ის პრეზიდენტს, ალმასკომის წევრს განუსაზღვრელი ვადით შეეძლოს პოსტზე ყოფნა. კარგია, ალმასკომის წევრთა რაოდენობა რომ შემცირდა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რათა ოლიმპიური კომიტეტის მუშაობა რაც შეიძლება გამჭვირვალე იყოს. აუცილებელია სპორტის ამა თუ იმ სახეობის პოპულარიზაცია, რათა მეტი დაინტერესება იყოს სპონსორების, სახელმწიფოს მხრიდან.

**- „უკეთ, ვიდრე პეკინში!" - ახლა უკვე ეს არის ოლიმპიური კომიტეტის დევიზი... სურვილი სურვილად, მაგრამ, როგორ უნდა ვაქციოთ დევიზი რეალობად?**

- სპორტში უმთავრესი შედეგია. ხშირად ვამბობთ ხოლმე - კარგად ვიასპარეზეთ, მაგრამ დავმარცხდით. ასეთი მიდგომა არასწორად მიმაჩნია. ემოციები რამდენიმე დღეში ავიწყდება ყველას, ისტორიაში კი მხოლოდ შედეგი რჩება. იმ გეგმის შედეგად, რომელიც მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში უნდა განვახორციელოთ, 5-6 ისეთი სპორტსმენი გვეყოლება, რომლებიც ლონდონში ფავორიტის რანგში ჩავლენ, როგორც პეკინში ჩავიდნენ ცირეკიძე, მინდორაშვილი... გაცილებით გავზრდით იმ სახეობათა რაოდენობას, რომელშიც ქართველი სპორტსმენები იასპარეზებენ და შესაბამისად, გაიზრდება ლიცენზიების რიცხვიც. თუმცა, ჩემი ყველაზე დიდი სურვილი ის არის, ლონდონში გუნდურ სახეობაშიც შევძლოთ გამოსვლა...

**- აქცენტი წყალბურთსა და კალათბურთზეც გქონდათ...**

- ჩვენი ტრადიციისა და პოტენციალის, ასევე იმ სისტემის გათვალისწინებით, რომელთ მეშვეობითაც გუნდების მოხვედრა ხდება ოლიმპიადაზე, ყველაზე მეტი შანსი წყალბურთში გვაქვს. ბუნებრივია, ეს ურთულესი საქმე იქნება, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებთ ისეთი ნაკრების ჩამოსაყალიბებლად, რომელსაც რეალურად შეეძლება ოლიმპიადის საგზურისთვის ბრძოლა...

**- ეს სახუმარო თემა ნამდვილად არ არის, თუმცა, ოლიმპიადაზე მოხვედრამდე, წყალბურთელებს წყლიანი აუზი სჭირდებათ...**

- ვფიქრობ, სახელმწიფოს დახმარებით მოვახერხებთ ყოფილი 5 დეკემბრის ქუჩაზე არსებული აუზების რეაბილიტაციას. იქ არის სტანდარტული - 50 მეტრი სიგრძის, 25-მეტრიანი და ე.წ. საჭყუმპალაო აუზები. ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად შევძლებთ მათთვის თანამედროვე სახის მიცემას. მანამდე წყალბურთელები ისევ ლაგუნა ვერეს აუზში ივარჯიშებენ, საერთაშორისო ტურნირებშიც მიიღებენ მონაწილეობას და საქართველოს პირველობაც ჩატარდება...

**- ისევ ალმასკომს დავუბრუნდეთ. ლუკა კურტანიძემ სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა...**

- სიმართლე გითხრათ, ამის მიზეზი ნამდვილად ვერ გავიგე... ლუკამ საკმაოდ დიდხანს ილაპარაკა და თქვა, რომ ყრილობას იმიტომ ტოვებდა, ლერი ხაბელოვმა კანდიდატურა რომ მოხსნა... ვერაფერს გეტყვით, მხოლოდ ის ვიცი, რომ ლუკა კურტანიძე დიდი სპორტსმენი იყო, დიდ პატივს ვცემ და ასე იქნება ყოველთვის...

**- ვიცე-პრეზიდენტ ხაბელოვის მსგავსად ალმასკომს არც სეოკ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გოგი თოფაძე დასწრებია... როგორ აპირებთ ოლიმპიური კომიტეტისთვის უაღრესად საჭირო ადამიანებთან თანამშრომლობას?**

- ბატონ გოგის რამდენიმე დღის წინაც შევხვდი. მასაც და ბატონ ლერისაც დიდ პატივს ვცემ და თანამშრომლობისთვისაც მზად ვარ. მათთანაც და ყველა იმ ადამიანთანაც, ვისაც ქართული სპორტისთვის სარგებლობის მოტანა შეუძლია...

**- აქვე, ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილზეც უნდა გკითხოთ. შესაძლოა, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები გქონდეთ, თუმცა, თქვენ ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელი ხართ, ის კი, ქართველ სპორტსმენთაგან ერთ-ერთი უდიდესი....**

- მიუხედავად იმისა, რომ ალმასკომის წევრთა რაოდენობა შემცირდა, წარმოუდგენელია ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილისა და ბატონი ჯანო ბაგრატიონისთვის არ ყოფილიყო ადგილი. ორივე მათგანი ალმასკომის საპატიო პრეზიდენტი გახლავთ... აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ალმასკომის წევრთა შორის უამრავი ისეთი ადამიანია, რომელთაც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები აქვთ. თუმცა ეს შეხედულებები კარს იქით უნდა დატოვონ და ალმასკომის დარბაზში ისე შემოვიდნენ. ოლიმპიურ კომიტეტში მხოლოდ სპორტის პოლიტიკაზე შეიძლება ლაპარაკი. ქართული სპორტის საკეთილდღეოდ ნებისმიერი პოლიტიკური შეხედულების პერსონა უნდა გამოვიყენოთ...

**- რა იქნება მთავარი პრიორიტეტი ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე გია ნაცვლიშვილისთვის?**

- ბუნებრივია, ყურადღება ყველა სფეროს სჭირდება - ბავშვთა, ახალგაზრდულ, ვეტერანთა გუნდებს. თუმცა, სეოკ-ის მთავარი ფუნქცია ხომ ოლიმპიური გუნდების მომზადებაა. შესაბამისად, მთავარი პრიორიტეტიც ესაა. უნდა გაიზარდოს იმ სახეობათა რაოდენობა, რომლებშიც საქართველოს მედლების მოპოვება შეუძლია. მხოლოდ საჭიდაო სახეობების იმედად არ უნდა ვიყოთ. ჩემთვის, როგორც ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარისთვის, ძალიან საინტერესო და პერსპექტიული სახეობებია: კრივი, მშვილდოსნობა, მხატვრული ტანვარჯიში, წყალში ხტომა, ტაეკვანდო. და როგორც გითხარით, ძალიან მინდა წყალბურთელთა გუნდმა ითამაშოს ოლიმპიადაზე. უდიდესი ტრადიციები გვაქვს ამ სახეობაში და დიდი პოტენციალიც...

**- ბოლოს, ასე გკითხავთ: გუბერნატორობა სჯობს თუ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობა...**

- ძალიან სასიამოვნოდ მახსენდება ის დრო, როცა კახეთში პრეზიდენტის რწმუნებული გახლდით. უამრავი საინტერესო პროექტი განვახორციელეთ. გავხსენით ევროპული დონის კორტები თელავში, საგარეჯოს საცურაო აუზი... სხვათა შორის, უფრო პირიქით ხდება ხოლმე, მე კი საკუთარი ქონება სახელმწიფოს, მომავალ თაობას ვაჩუქე... გადავარჩინეთ დაშლის პირას მყოფი „სტუ-თელავი"... ყველაფრის ჩამოთვლას ნამდვილად არ ვაპირებ. ახალ თანამდებობაზე კი მეტის გაკეთების შესაძლებლობა მაქვს. სპორტი ძალიან მიყვარს, ძალზე ბუნებრივ გარემოში ვიმყოფები და პირდაპირ გეტყვით - ეს არის ყველაზე სასურველი თანამდებობა, რაც კი წარმომიდგენია...

რატი შელეგია

## რედაქციისაგან

*გია ნაცვლიშვილის არჩევამ სეოკ-ის პრეზიდენტად დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი ქვეყნის სპორტულ სამყაროში, უპირველესად მისი სამოქმედო პროგრამისა და პიროვნული ღირსებების გამო.*

*„ლელომ" გადაწყვიტა, ერთი ინტერვიუ სეოკ-ის ახალ პრეზიდენტთან მთლიანად დაუთმოს მკითხველთა შეკითხვებს.*

*შეკითხვები შეიძლება მოგვაწოდოთ როგორც ელექტროფოსტით, ისე წერილობით და სატელეფონო ზარებით (კავშირის დასამყარებლად იხელმძღვანელეთ გაზეთის მე-2 გვერდზე გამოქვეყნებული საცნობარო ბლოკით).*

## გასწორება

„ლელოს" წინა ნომერში, მე-11 გვერდზე, წერილში - „ქართული სპორტის საკეთილდღეოდ", ბოლო აბზაცის მეორე სტრიქონში უნდა იკითხებოდეს ბოგლიძე... შემდეგ, როგორც ტექსტშია.

მთავარი რედაქტორის სვეტი

## ღირსეული არჩევანი

31 ოქტომბრიდან ახალი ოლიმპიური ოთხწლეული დაიწყო საქართველოში. რიგით მეოთხე პრეზიდენტად ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გია ნაცვლიშვილი მოვიდა. კარგია, რომ ვნებათაღელვა, რომელიც არჩევნებამდე სუფევდა, დემოკრატიზმის გამოვლინებად დარჩა. ამაოდ ეძებდა მავანი და მავანი ანალოგს და იმუქრებოდა კიდეც, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ბოლო არჩევნების მსგავსად, ყველაფერი სამარცხვინოდ დამთავრდებოდა. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. ამჯერად წინდახედულებით თუ შეცდომებზე სწავლით გადადგმულმა გონივრულმა ნაბიჯმა სათავეშივე მოსპო ანალოგის შესაძლებლობა. სესიამდე ოთხი კანდიდატურა შემორჩა. ერთმა წინა დღეებში ჩამოიცილა თავი. საბოლოოდ სამი გაფორმდა ბიულეტენში. პირდაპირ თუ ვიტყვით, ახირება იქნებოდა ახლა იმის მტკიცება, რომ ერთ-ერთმა კანდიდატმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მხოლოდ იმიტომ მოიპოვა, რომ ხელისუფლების ფავორიტად მოიაზრებოდა. ყველამ კარგად ნახა, რომ არჩევნები ჩატარდა გამჭვირვალედ, ობიექტურად და გარედან ზეწოლაში იოტისოდენა ეჭვის შეტანაც კი უგუნურება იქნება. სამართლიანობა-კანონიერების ჩარჩოს არც ის სცილდება, რომ ახლა უკვე გამარჯვებულმა კანდიდატმა თავიდანვე სწორად ააგო წინასაარჩევნო კამპანია: დატოვა თანამდებობა, შეხვდა სპორტულ ფედერაციებს რიგრიგობით და გაითავისა მათი პრობლემები. თავიანთი მხარდაჭერა კი ამ ფედერაციებმა წერილობით წარადგინეს სეოკ-ში. და, როცა ეს კანდიდატი - გია ნაცვლიშვილი წარდგა ამომრჩევლის წინაშე, ყველამ კარგად დაინახა, რომ იგი პრეზიდენტობის ტვირთს პრობლემებში გათვითცნობიერებული შეეჭიდება, ხედავს მისი გადაჭრის გზებს თავის გუნდთან ერთად. ხმათა დათვლამ კი საბოლოოდ ობიექტურად დაუსვა წერტილი ყოველგვარ ეჭვებს, კონკურენტებიც ღირსეულად შეხვდნენ ქართული ოლიმპიური მოძრაობის სასიკეთო სამართლიან არჩევანს.

ქართული სპორტი

კალათბურთი

საქართველოს XVIII ჩემპიონატი. III ტური

# მიბაძეთ სასოფლოს!

2 ნოემბერი. თბილისი.
სპორტის სასახლე

**სასოფლო–დინამო 84:63**

16:21, 22:7, 22:12, 24:23

სასოფლო: გულისაბედაშვილი (10 ქ. 8 მ. 5 პ), თვაური (2 ქ), მ. ბერიშვილი (25 ქ. 10 მ. 3 ჩ), მარხვაშვილი, გასიტაშვილი, ცერცვაძე, ტყეშელაშვილი (3 ქ), წივწივაძე (14 ქ. 6 პ. 5 მ), ათანელიშვილი (15 ქ. 10 მ), გვიმრაძე (4 ქ), ჩაჩიბაია (9 ქ. 7 მ. 3 პ), ბოქოლიშვილი (2 ქ)

დინამო: ბაქრაძე (5 ქ), ნანიტაშვილი, სორდია (6 ქ. 6 მ. 3 ჩ), ლაფანაშვილი (2 ქ), სიგუა (19 ქ. 3 პ), დოლიძე, კორკოტაძე 8 ქ. 9 მ), ქადარია (7 ქ. 10 მ), ჯიქია (2 ქ), კობიძე (2 ქ), ხიზანიშვილი (12 ქ)

მსაჯები: ხ. გაბედავა, დ. არეშიძე

**ავიამშენი–თსუ 91:85**

29:23, 21:21, 24:23, 17:18

ავიამშენი: ი. ბერიშვილი (17 ქ. 5 პ. 3 ჩ), ნიკოლაძე (17 ქ. 4 პ), კვიმსაძე (2 ქ), მინაშვილი (30 ქ. 7 მ), მათიაშვილი (10 ქ), პირველაშვილი (6 ქ), ს. შერმადინი, ა. ბორისა (2 ქ. 18 მ), ნაცვლიშვილი (7 ქ. 4 პ. 5 მ)

თსუ: გაფრინდაშვილი (11 ქ. 6 პ), კოხრეიძე (3 პ), შანიძე (16 ქ), მარკოიშვილი (9 ქ), ყველაშვილი (8 ქ. 5 ფ), ხეცურიანი (16 ქ), დ. ბარბაქაძე (13 ქ. 3 ჩ), გ. ბარბაქაძე (10 ქ), ახალკაცი (2 ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. სასოფლო | 3 | 2 | 1 | 5 |
| 2. ავიამშენი | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. ენერჯი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 4. ნტდ | 2 | 2 | 0 | 4 |
| 5. თსუ | 3 | 1 | 2 | 4 |
| 6. შსს | 3 | 1 | 2 | 4 |
| 7. დინამო | 3 | 1 | 2 | 4 |
| 8. ბათუმი | 2 | 1 | 1 | 3 |
| 9. მაკაბი | 3 | 0 | 3 | 3 |

მესამე ტურის ორი დარჩენილი მატჩი გუშინ სპორტის სასახლეში გაიმართა. დარბაზში შესულებს უჩვეულო, მაგრამ სასიამოვნო ატმოსფერო დაგვხვდა – ბარაბანმომარჯვებული სასოფლოელები გუნდს მხურვალედ ქომაგობდნენ.

"სასოფლო"-"დინამოს" მატჩის დასრულების შემდეგ უფრო საინტერესო შეხვედრა გაიმართა, მაგრამ დინამოელთა მეტოქის ქომაგები დარბაზიდან გავიდნენ და არენაზე სიჩუმემ დაისადგურა. არადა, მეორე შეხვედრაში თსუ "ავიამშენს" ეთამაშებოდა. ვაკელ სტუდენტებს სასოფლოელების მიბაძვა მართებთ...

არც გულშემატკივრის სხვა გზით კალათბურთზე მოზიდვა იქნებოდა ურიგო საქმე: სპორტის სასახლის წინა ფასადზე დიდი აბრა გვაუწყებს, რომ *20 ოქტომბერს "ორიფლეიმის" აქცია უნდა გაიმართოს. ...აა, უკვე გაიმართა? ჰოდა, ჩამოხსნან ეს ბანერი და დააწერონ, რომ კვირას სპორტის სასახლეში საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის მატჩები ტარდება. ამ გზით დარბაზში ერთი-ორი კაცით მეტი ხომ მაინც მოვა?!*

ტურის ცენტრალური მატჩები არც საკალათბურთო სანახაობის მხრივ მოიკოჭლებს და არც მოცეკვავეებს აკლიათ ტან-ფეხი და ელასტიურობა.



ანატოლი ბორისამ (№17) 18 მოხსნა მიითვალა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გუშინ "ავიამშენი"-თსუ მართლაც საინტერესო სანახავი გამოდგა. "ავიატორებს" თავიდან თუნდაც 5 ქულის სხვაობით დაწინაურება უჭირდათ, თუმცა მეორე პერიოდში წინ გაიჭრნენ – 41:34. სწორედ ამ ეპიზოდში სტუდენტებმა მთელს მოედანზე პრესინგს მიმართეს, თან თამაშის ტემპს მოუმატეს და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს. მესამე პერიოდის შუაში თსუ სულაც წინ გავიდა (65:63), თუმცა **ბერიშვილი-ნაცვლიშვილი-ნიკოლაძის** აქტიურობის შემდეგ "ავიატორები" ბოლო რაუნდს 7-ქულიანი ფორით შეხვდნენ - 74:67.

სტუდენტებს თამაში შემოსატრიალებელი ჰქონდათ, ამიტომ მეოთხე ათწუთეულს მობილიზებულები უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ მათი მონდომება "ავიატორთა" მშვიდმა გარჯამ დაჩრდილა. "მფრინავები" ბურთს დინჯად ათამაშებდნენ და დამაგვირგვინებელ მომენტში უშეცდომო იყო **ვახტანგ მინაშვილი**. მან ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა – 30 ქულა ჩააგდო (17-დან 13 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო გამოიყენა).

ტურის ცენტრალურ მატჩში რეკორდის ავტორი და "ავიასთვის" გამარჯვების მომტანი მინაშვილი ჟურნალისტებმა ტურის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს.

პირველ შეხვედრაში "დინამო" "სასოფლოს" საწყის მეოთხედში თანაბრად ეთამაშა, მეორე ათწუთეულის ბოლოსა და მესამის დასაწყისში კი 0:17 წააგო და მეტოქეს 28:55 ჩამორჩა. მატჩის ინტრიგაც აქ მოკვდა და სასოფლოელებმა სატურნირო ცხრილში ლიდერობა გაიფორმეს.

ამ შეხვედრაში ორმაგი დუბლები შეასრულეს **მიხეილ ბერიშვილმა** (25 ქულა და 10 მოხსნა) და **რეზო ათანელიშვილმა** (15 ქულა, 10 მოხსნა).

ქართველი NBA-ში

# მორის ჩიქსი: ზაზა ვერ შევაჩერეთ

ორი NBA-ს სადებიუტო მატჩში ზაზამ ყველა 11 წუთში მოგროვილი 8-8 ქულა-მოხსნით გააკვირვა, მეორე შეხვედრაში, "ფილადელფიასთან" მეტოქე გუნდის თავკაცს აღიარებინა: **ზაზა ფაჩულიამ** მოგვიგოო. აი, რა თქვა ატლანტაში 88:95 წაგების შემდეგ სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა **მორის ჩიკსმა**:

*„დღეს პირველი ტაიმი მაღალ დონეზე ჩავატარეთ და გამარჯვებასთან ახლოს ვიყავით, მაგრამ მოგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით, რადგან ჩემმა მეფარეებმა არაფერი გააკეთეს ზაზას შესაჩერებლად. ქართველმა ცენტრმა მეოთხე პერიოდის კრიტიკულ მომენტში ზედიზედ სამჯერ მოხსნა ბურთი ჩვენს ფარზე".*

ახლა, მოდით, ფაჩულიას თამაშის **მაიკ ვუდსონისეული** ("ატლანტის" თავკაცი) შეფასებაც მოვისმინოთ:

*„ზაზას სრული თავისუფლება მივეცი. იგი ბოლომდე გაიხსნა და იბრძოდა ყველგან, სადაც ბურთი იყო. მისგან სწორედ ეს გვჭირდება".*

მეორე პერიოდში ფილადელფიელი **რეჯი ევანსი** "ჰოქსის" სათადარიგოთა სკამთან ზაზასთან საქმის გასარჩევად მივიდა, თუმცა გულშემატკივრებისგან გამაყრუებელი სტვენა დაიმსახურა. "ატლანტის" ოფიციალურ საიტს თუ ვერწმუნებით, ფაჩულია ქომაგთა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი კალათბურთელია: *"ამ სეზონში ქართველი ცენტრი თითქოს ხელახლა დაიბადა. იგი სწორედ იმას აკეთებს, რასაც გუნდი ითხოვს – ასრულებს შავ სამუშაოს, იბრძვის მოედნის ყოველ მონაკვეთში, ხსნის საკუთარ და მეტოქის ფარზე. ასეთი თამაში ქომაგსაც ენერგიით მუხტავს და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიდი Z კევინ გარნეტთან ჩხუბის შემდეგ ფანების ფავორიტია."*

მკითხველი, ალბათ, დაინტერესდა მორის ჩიკსის ნათქვამით – გამარჯვებასთან ახლოს ვიყავითო. მწვრთნელს ეს შემთხვევით არ უთქვამს, საკითხავი ისაა, როგორ მოახერხა "ფილადელფიამ" ატლანტაში წაგება. მეორე პერიოდის მეშვიდე წუთზე **იგუოდალამ** სტუმრები 44:21 დააწინაურა. 23-ქულიანი სხვაობის აღმოფხვრა ახალგაზრდა ჯორჯიელთათვის მიუწვდომელი ამოცანა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ზაზას თანაგუნდელებმა მეორე ტაიმში თამაში რადიკალურად შეცვალეს და საბოლოოდ 7 ქულის სხვაობით გაიმარჯვეს – 95:88.

საკვანძო ეპიზოდებში რამდენი ბურთი მოხსნა ფაჩულიამ და რამდენი დააბრუნა მეტოქის კალათში, ამაზე ქვემოთ.

აქ კი გეტყვით, რომ ზაზამ 6-დან 2 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. მან 21 წუთში 5 ქულა, 8 მოხსნა (7 შეტევითი) და 2-2 პას-ჩაჭრა მოაგროვა.

"ატლანტა" ორ მატჩში ამდენივე მოგებით სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში პირველობას ინარჩუნებს. ჯორჯიელები მორიგ მატჩს 5 ნოემბერს ნიუ ორლეანში გამართავენ.

**ფაჩულიას მონაგარი**

21 წუთი: 5 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 2 ფოლი

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 3:32 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 2:20 | ფოლი: 1 |
| 0:33 | პასი: 1 (ევანსი 2ქ, 16:31) |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:20 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 10:16 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| **10:15** | **საჯარიმოები: 1ქ (19:36)** |
| 8:38 | მოხსნა: შეტ-2, დაც-0 |
| 7:45 | მოხსნა: შეტ-3, დაც-0 |
| 7:02 | ჩაჭრა: 1 (ევანსს ჩაუჭრა) |
| 6:51 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| 2:26 | ზაზამ უილიამსი შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 3:25 | ზაზამ სმიტი შეცვალა |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:44 | ჩაჭრა: 2 (იგუოდალას ჩაუჭრა) |
| 8:51 | მოხსნა: შეტ-4, დაც-0 |
| 8:48 | პასი: 2 (სმიტი 2ქ, 73:80) |
| 8:38 | ფოლი: 2 |
| 8:24 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 8:24 | მოხსნა: შეტ-5, დაც-0 |
| 8:22 | მოხსნა: შეტ-6, დაც-0 |
| **8:21** | **ორქულიანი: 3ქ (75:80)** |
| 7:52 | მოხსნა: შეტ-6, დაც-1 |
| 6:32 | ორქულიანი: არაზუტი |
| 6:30 | ორქულიანი: არაზუტი |
| 6:30 | მოხსნა: შეტ-7, დაც-1 |
| **5:53** | **ორქულიანი: 5ქ (82:84)** |
| 5:28 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

# ფაჩულიას ვეღარ ცნობენ: დივაცია თუ უოლტონი?

"ფილადელფიასთან" მატჩის შემ... ...ეგ გაზეთმა "ატლანტა კონსტიტუ... ...ენმა" გამოაქვეყნა სტატია სათაურით ფაჩულიაც შთამბეჭდავია და "ჰოქ... ...იც". მარჩიელობა არაა საჭირო იმის ...ასარკვევად, ვის ეძღვნება ეს მასალა. ...აზაზე დაწერილი სტატია ქართველ ...კითხველსაც დააინტერესებს.

*"ჯორჯიელთა პირველ საშინაო მატ... ...ში "ფილადელფია" "ატლანტის" არე... ...აზე თამაშობდა, თავად "ჰოქსი" ა... ...სად ...ნდა. "ორლანდოსთან" გასვლაზე გა... ...რჯვების შემდეგ ატლანტელთა ასეთ ...უსტ თამაშს არავინ მოელოდა. მაგრამ ...ით სიგიჟე ჩაიდინეს – მეორე ტაიმში ...3-ქულიანი ჩამორჩენა 7-ქულიან ფო... ...ად აქციეს. ჩნდება კითხვა: რა დაემარ... ...ათ მეორე ტაიმში მასპინძლებს? მეო... ...ე კითხვაც არანაკლებ აქტუალურია: ...ე უეცრად მდინარე "მვკტარივით" ...ხადია, ატლანტელ ჟურნალისტს მხედველობაში მდინარე მტკვარი ჰქონდა) როგორ ადიდდა ზაზა ფაჩულია? მეორე ნახევარსფეროს ბინადარმა ჯორჯიის წარმომადგენელმა იმაზე უკეთესად ითამაშა, ვიდრე ორლანდოში.*

*- ზაზამ სათამაშო დრო დაიმსახურა და საკმარისი "წუთებიც" მივეცი. მან თამაში ჩვენს სასარგებლოდ რადიკალურად შეცვალა, - განაცხადა "ჰოქსის" მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა**.*

თანაგუნდელს კომპლიმენტი **ჯოშ სმიტმაც** უძღვნა:

- ფაჩულიამ შესანიშნავად ითამაშა. მას ბავშვი ახლახან შეეძინა და ამ ამბავმა ფაჩულია საგრძნობლად შეცვალა. ეს ჩვენც ძალიან გვახარებს.

ზაზას ვაჟი - დავითი - 9 ოქტომბერს დაიბადა და თავად კალათბურთელიც აღიარებს, რომ იმ დღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუ რვა თვის უკან ფაჩულია მხოლოდ ფოლებით გამოირჩეოდა, "ფილადელფიასთან" მან მეოთხე პერიოდში რაც სურდა, ის აკეთა: შეტევითი მოხსნა, პასი სმიტის მისამართით, დაცვითი მოხსნა **ანდრე მილერის** ტყორცნის შემდეგ, ზუსტი ორქულიანი **მიურეის** პასის შემდეგ...

...ეს ზაზა ფაჩულია იყო, **ვლადე დივაცი** თუ **ბილ უოლტონი**?

- ზაზა ფაჩულია შემოვიდა და თამაში შემოატრიალა, თქვა **ელ ჰორფორდმა**.

- ჩვენი დღევანდელი გამარჯვება გუნდური თამაშის დამსახურებაა. ეს იყო კოლექტიური გარჯის საუკეთესო მაგალითი, - აცხადებს ახლადამობრწყინებული ვარსკვლავი, ზაზა. თუმცაღა, იგი კომპლიმენტებს მოკრძალებულად პასუხობს:

- როცა ასეთი შეფასებები მესმის, ყოველთვის ერთს ვამბობ – გმადლობთ."



ზაზა ფაჩულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო



# ქართველებმა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი მოიგეს

## ანუ როგორ გახდნენ ჩვენი ძიუდოისტები თურქი მეჩაიეები

ტალინში დასრულდა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი ძიუდოში, რომელიც თურქეთის ქალაქ რიზეს კლუბმა „ჩაიკურ სპორმა" მოიგო. ამ გუნდს მხოლოდ რიზე, ისტორიული ლაზეთის ქალაქი, არ აკავშირებს ჩვენს სამშობლოსთან – გუნდი თითქმის მთლიანად ქართველი ძიუდოისტებით იყო დაკომპლექტებული. თანაც ჩვენებმა ევროპის საკლუბო პირველობის ფინალში რუსები დაამარცხეს. „ჩაიკურ სპორის" განაცხადში 11 ქართველი ძიუდოისტია: **ნესტორ ხერგიანი, ზაზა კედელაშვილი, დავით ქევხიშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი, ირაკლი ცირეკიძე, ლომერ ჟორჟოლიანი, გიორგი გუგავა, ლაშა გუჯეჯიანი, გიორგი ყიზილაშვილი, გიორგი ბაინდურაშვილი** და **ვახტანგ ხოსიტაშვილი**. მოკლედ, საქართველოს მთელი ნაკრები. აღსანიშნავია, რომ თურქ ძიუდოისტთა შორისაც ერთი ქართველია – **ირაკლი უზნაძე**.

ესტონეთში პირველ წრეში ნალჩიკის „გლადიატორმა", რომლის რიგებშიც **ილიას ილიადისი (ჯარჯი ზვიადაური)** გამოდის 4:3 დაამარცხა ჰოლანდიური „ნაიმეგენი". ფრანგულმა „ლევალუამ" 6:1 გაანადგურა „იზმირი" (თურქეთი). ტრადიციულმა გერმანულმა კლუბმა „აბენსბერგმა" 5:2 მოუგო უკრაინულ „ტაიფუნს", ხოლო მოსკოვის „სამბო-70" ფრანგულ „დიჟონს" გაუსწორდა – 5:2. მეოთხედფინალიდან ასპარეზობაში უკვე ჩვენების „ჩაიკური" ჩაება, დაძაბულ ბრძოლაში მათ რუსული „სამბო-70" დაამარცხეს – 4:3. ნახევარფინალში გაალწიეს „აბენსბერგმა", (რომელმაც მოქმედი ჩემპიონი რუსეთის „იავარა-ნევა" გააგდო), „გლადიატორმა" და „ლევალუამ".

„ჩაიკურისა" და „აბენსბერგის" მატჩს ყველამ ნაადრევი ფინალი უწოდა. შეხვედრა მართლაც დაძაბულად წარიმართა, 3:3-ის მერე საქმე მძიმე წონაზე მიდგა, სადაც **ლაშა გუჯეჯიანმა** ვაზარი აართვა **ანდრეას ტიორლიცს**, რომელიც მანამდე მას იუკოთი უგებდა და გუნდი ფინალში გაიყვანა. მეორე ნახევარფინალურ მატჩში „გლადიატორმა" 4:3 მოუგო „ლევალუას".

ფინალში თურქებმა შვიდივე ქართველი გამოიყვანეს, რუსებმა კი ერთი – ჯარჯი ზვიადაური. დაძაბული ფინალი თურქული კლუბის ქართველებმა 4:3 მოიგეს და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ თანამედროვე ძიუდოში ჩვენებზე უკეთესი ძიუდოისტები ძნელად თუ მოიძებნებიან. ფინალში იჭიდავეს: ხერგიანმა, კედელაშვილმა, ქევხიშვილმა, ბაინდურაშვილმა, ცირეკიძემ, ჟორჟოლიანმა და გუჯეჯიანმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი

ლეგიონერები

# მესამედი მიილია

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის პირველ დივიზიონში გათამაშების მესამედი მიილია. მეცხრე ტურის შეხვედრების შემდეგ ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან საუკეთესო მაჩვენებელი „კლერმონსა" და „მონტობანს" აქვთ.

**დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა" მეცხრე ტურში გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „სტად ფრანსე" მიიღო და 22:6 დაამარცხა. ვულკანები თავიდანვე დაუფლნენ უპირატესობას და ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს პირველი ქულების აღება მხოლოდ 22-ე წუთზე დაანებეს. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 67-ე წუთზე შეცვალეს.

**გოდერძი შველიძის** „მონტობანმა" კი, დამაჯერებლად სძლია **გია ლაბაძისა** და **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონს" - 42:20. მონტობანელთა რიგებში წლევანდელ სეზონში პირველად არ უთამაშია შველიძეს. ქუბრიაშვილი კი შეხვედრაში 41-ე წუთიდან ჩაერთო. ლაბაძე ისევ მკურნალობს.

კვლავ აგრძელებს წარუმატებელ სერიას **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი". „გლობუსას" გუნდმა მეცხრე ტურში **მამუკა გორგოძის** „მონპელიე" მიიღო და 26:31 წააგო. გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ოღონდ ამჯერად მეორე ხაზში. გიორგაძე თამაშში 65-ე წუთიდან ჩაერთო.

შინ მოიგო „ბურგუენთან" **ირაკლი გიორგაძის** „დაქსმა" - 32:10 და სატურნირო ცხრილის ფსკერს თავი დააღწია. გიორგაძე ტრავმირებულია.

სტუმრად ფიცხელი ბრძოლა გაუმართა ფრანგული რაგბის ფლაგმან „ტულუზს" **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივმა". თუმცა ჩვენებურის გუნდმა მაინც მარცხი ივნია -15:21. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 70-ე წუთზე შეცვალეს.

საფრანგეთი. I დივიზიონი. IX ტური. **მონტობანი-ტულონი 42:20, ტულუზი-ბრივი 21:15, კასტრი-მონპელიე 26:31, დაქსი-ბურგუენი 32:10, მონ დე მარსანი-პერპინიანი 7:31, კლერმონი-სტად ფრანსე 22:6. ბიარიცი-ბაიონი 12:14.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ტულუზი - 31 ქულა, 2. სტად ფრანსე - 31, 3. პერპინიანი - 30, 4. ბაიონი - 28, 5. კლერმონი - 25, 6. მონტობანი - 24, 7. ბიარიცი - 23, 8. მონპელიე - 23, 9.დაქსი - 18, 10. ბრივი - 16, 11. ბურგუენი - 14, 12. ტულონი - 14, 13. კასტრი - 13, 14. მონ დე მარსანი - 7.**

მეორე დივიზიონში, მერვე ტურის მატჩებში, ერთი შეხვედრის გარდა, ყველა დანარჩენში გამარჯვებას მასპინძლებმა მიაღწიეს. მხოლოდ **დავით აშვეთიას** „ოიონაქსმა" ვერ შეძლო „ალბის" დამარცხება და მატჩი ფრე -16:16 დასრულდა. ორივე ეს გუნდი ლიდერთა ხუთეულში იმყოფება. აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და რადგან ტრავმა მიიღო 30-ე წუთზე შეცვალეს.

შინ დაამარცხა **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონი" **მალხაზ ურჯუკაშვილის, ლევან დათუნაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „ორიაკმა" - 31:9. ჟღენტი 28-ე წუთზე შეცვალეს. დათუნაშვილი თამაშში 73-ე წუთიდან ჩაერთო. კუთარაშვილი 66-ე წუთზე შეცვალეს. ურჯუკაშვილი კი განაცხადში არ იყო.

საკუთარ მოედანზე მოიგო გათამაშების ლიდერმა **გიორგი ჩხაიძის** „მეტრო რასინგმა„ **ავთანდილ კოპალიანის** „კოლომიესთან" შეხვედრაში 28:15. ჩხაიძე პარიზელთა რიგებში 68-ე წუთიდან გამოჩნდა. კოპალიანი განაცხადში არ იყო.

შინ მოიგი „გრენობლის" წინააღმდეგ დაპირისპირებაში **ირაკლი მაჩხანელისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენმა" - 18:12. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 48-ე წუთზე შეცვალეს. მაჩხანელი განაცხადში არ იყო.

სატურნირო ცხრილის ფსკერს მნიშვნელოვნად დაშორდა **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბი", რომელმაც შინ დაამარცხა ერთ-ერთი კონკურენტი „ბორდო" - 31:15. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 51-ე წუთზე შეცვალეს.

II დივიზიონი. VIII ტური. **ოში-პო 17:12, აჟენი-გრენობლი 18:12, ორიაკი-ნარბონი 31:9, ოიონაქსი-ალბი 16:16, ტარბი-ბორდო 31:15, ლიონი-ბეზიე 12:10, ლა როშელი-ბურგ ან ბრესი 56:18, მეტრო რასინგი-კოლომიე 28:15.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. მეტრო რასინგი - 28 ქულა, 2. ლა როშელი - 28, 3. ორიაკი - 27, 4. ალბი - 24, 5. ოიონაქსი - 22, 6. გრენობლი - 21, 7. ლიონი - 20, 8. აჟენი - 19, 9. ოში - 18, 10. ბორდო - 17, 11. ტარბი - 17, 12. კოლომიე - 16, 13. პო - 16, 14. ნარბონი - 14, 15. ბეზიე - 7, 16. ბურგ ან ბრესი - 6.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

# ჯობავას მჯობნი ჯერ არ ჩანს

ბარსელონაში გრძელდება წარმომადგენლობითი საჭადრაკო ტურნირი, სადაც რამდენიმე ცნობილ დიდოსტატთან ერთად ქართველი **ბაადურ ჯობავაც** ასპარეზობს. ტურნირი დახურული ტიპისაა და მასში ათი რჩეული ორგანიზატორთა მიერ პერსონალურად მიწვეული მოჭადრაკეები მონაწილეობს. ჯობავას პირველ პარტიაში შავებით გამარჯვებაზე შაბათს ვწერდით. ქართველმა შაბათსაც დაიბრიყვა მეტოქე და კვირასაც: მეორე ტურში თეთრებით დიდებულ სტილში დაამარცხა **ოლდენ ერნანდესი**, ხოლო მესამე ტურში შავებით აჯობა **ხოსეპ მარტინეს ლოპესს**, რომელსაც იქამდე, ჯობავას დარად, ორი მოგება ჰქონდა. ჩვენმა დიდოსტატმა მართლაც დიდოსტატურად წარმართა ბრძოლა და დაამამათა მეტოქე. ამ გამარჯვებით რომ ბაადურმა უდანაკარგო სვლა გააგრძელა, ერთია, მაგრამ უახლოესი მდევარი რომ მთელი ერთი ქულით ჩამოიტოვა, მეორე... სამი ტურის შემდეგ ასეთი ჰანდიკაპი ნამდვილად საოცნებოა. მართალია, ბაადურის მიერ დამარცხებულები ამ ტურნირის ფავორიტებად ნაკლებად ითვლებოდნენ. უმთავრესი გამოცდა მეოთხე და მეხუთე ტურებში ელის, როცა ჯერ პირველ ნომერს, რუს **ალექსეი დრეევს** შეხვდება, მერე მესამე ნომერ ბულგარელ **კირილ გეორგიევს** დაუპირისპირდება. თუ ეს დაბრკოლებები გადალახა, ალბათ მის ჩემპიონობას ეჭვქვეშ ველარავინ დააყენებს.

სიმართლე ითქვას, ყველა დანარჩენი ორთაბრძოლაც არანაკლებ საინტერესოა.

მეოთხე ტურში ასე დაწყვილდნენ მეტოქეები: ანტუანეტა სტეფანოვა – არტურ კოგანი; ფიდელ კორალესი – კირილ გეორგიევი; ბაადურ ჯობავა – ალექსეი დრეევი; ბორის გულკო – ლოპეს მარტინესი; მარკ ნარცისო - ოლდენ ერნანდესი.

სამი ტურის შემდეგ: **1. ბაადურ ჯობავა – 3; 2 – 4. ალექსეი დრეევი, კირილ გეორგიევი, ლოპეს მარტინესი – 2; 5-7. ბორის გულკო, ანტუანეტა სტეფანოვა, ოლდენ ერნანდესი – 1,5; 8. ფიდელ კორალესი - 1; 9. მარკ ნარცისო – 0,5; 10. არტურ კოგანი – 0.**

**ზვიად შათირიშვილი**

ჩოგბურთი

# შაფათავა კრაკოვს უტევს

ერთთვიანი დასვენების შემდეგ კორტებს დაუბრუნდა 19 წლის **სოფიო შაფათავა** (250), რომელიც წლეულს საუკეთესოდ თამაშობს. სეზონის დასრულებამდე სოფიო კიდევ სამ ტურნირში მოსინჯავს ძალებს. მათ შორის ყველაზე პრესტიჟული კრაკოვისაა (პოლონეთი), რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. შაფათავა საკვალიფიკაციო ბრძოლებში ჩაება, რადგან პოლონეთში თამაში მსოფლიოს საუკეთესო ასეულის ერთბაშად 17 წევრმა ისურვა.

პირველ საკვალიფიკაციო წრეში საქართველოს მესამე ჩოგანი ჩეხ **დარინა სედენკოვას** (703) ხვდებოდა. 22 წლის მეტოქესთან სოფიო ფავორიტად ითვლებოდა, თუმცა ძალზე გაუჭირდა სედენკოვას ძლევა - 7:6 (5), 4:6, 6:4. მეორე წრეში ქართველს უკვე სერიოზული მეტოქე ელის, 28 წლის ბოსნიელი **მერვანა იუგიჩ-სალკიჩის** (177) სახით, რომელიც კრაკოვის საკვალიფიკაციო ბადეში მე-3 ნომრადაა განთესილი.

ამერიკის ქალაქ ოუბერნში (50 ათასი დოლარი) განთესილთა შორის იქნება საქართველოს პირველი ჩოგანი ქალი **ანა ტატიშვილი** (166), სადაც ძირითადი ბადე ჯერ არ გამოქვეყნებულა. გერმანიაში, ისმანინგის ტურნირში (50 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში ითამაშებს 25 წლის **მაკა ჩახნაშვილი**. მალიორკაში (ესპანეთი) სტარტი აიღო მცირე საერთაშორისო ტურნირმა (10 ათასი დოლარი), რომლის საკვალიფიკაციო ბადის პირველ წრეში **ანა ჯიქიამ** იოლად სძლია რუმინელ **ლინკა ანგელს** – 6:3, 6:0. მეორე წრეში ურეიტინგო ქართველი ჩოგბურთელი ბელგიელ **მაიოლი დე ვილდეს** ეთამაშება. ამ ტურნირის ძირითად ბადეში 16 წლის **ეკა გორგოძე** ითამაშებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



სოფიო შაფათავა

ავტოსპორტი

საქართველოს ჩემპიონატი

# ბიძინაშვილის დუბლი საკმარისი არ აღმოჩნდა

ავტოსპორტში საქართველოს ჩემპიონატი, „რომპეტროლი-2008" დასასრულს მიუახლოვდა. დარჩა მხოლოდ გასამართი ალმართის ჩქაროსნული დაძლევა, კუს ტბაზე. რალის ჩემპიონად **არჩილ ბიძინაშვილი** (სუბარუ იმპრეზა) აღიარეს. წრიულ რბოლაში უძლიერესის ვინაობა კი კვირას, რუსთავის ავტოდრომზე ასპარეზობის შემდეგ გაირკვა. მოვლენებს წინ გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ საქართველოს ჩემპიონის ტიტული **ოთარ თავართქილაძემ** (ჰონდა სივიკი) მოიპოვა და ახალი „ნივა", მთავარი პრიზი მას გადაეცა.

ტრადიციისამებრ სარბოლო დღე იუნიორების შეჯიბრებამ გახსნა. აქაც თითქმის უკვე გარკვეული იყო ჩემპიონის ვინაობა. **დიმიტრი ქობულიას** (სუძუკი სვიფტი) მეოთხე ადგილიც ჰყოფნიდა საერთო წარმატების მისაღწევად. თანაც მისი მთავარი მეტოქე, **გიორგი კოდუა** (სუძუკი სვიფტი) ტექნიკური მიზეზების გამო ვერც ერთ რბოლაში ვერ გამოვიდა. სასტარტო ბილიკზე სულ ოთხი მონაწილე დადგა: დიმიტრი ქობულია, **დავით მენთეშაშვილი** (სუძუკი სვიფტი), **ლევან ქვარცხავა** (ვაზ-2109) და **თორნიკე ჩარგეიშვილი** (სუძუკი სვიფტი).

იუნიორებს 4100 მ სიგრძის ტრასაზე 5 წრე უნდა გაევლოთ. ორივე რბოლა ქობულიასა და მენთეშაშვილის პაექრობით აღინიშნა. ისინი, შეიძლება ითქვას, „ხალხზეც კი თამაშობდნენ", ერთმანეთს ხშირად უცვლიდნენ ლიდერობას. ბოლოს მენთეშაშვილმა დუბლი შეასრულა, მაგრამ ქობულიას ქულათა იმხელა მარაგი ჰქონდა, რომ ორჯერ მეორე ადგილიც ეყო ჩემპიონობისთვის. მესამე თორნიკე ჩარგეიშვილი იყო.

მცირე ხნით შესვენებისა და დრიფტის ილეთების დემონსტრირების შემდეგ, ტრასაზე პროფესიონალები გამოვიდნენ. სულ 9 მონაწილე შეიკრიბა: 1. ოთარ თავართქილაძე (ჰონდა სივიკი); 6. **გიორგი ნადირაძე** (ოპელ ასტრა); 8. **ლევან ლომაძე** (ჰონდა სივიკი); 13. **მამუკა მელაძე** (სიტროენ საქსო); 29. **დავით ბორძიკული** (ჰონდა სივიკი); 51. **ალეკო ასათიანი** (ჰონდა სივიკი); 74. არჩილ ბიძინაშვილი (ჰონდა სივიკი); 80. **დათა ქაჯაია** (ჰონდა სივიკი); 99. **დავით ჩხიკვიშვილი** (ჰონდა სივიკი).

პოული ბიძინაშვილმა მოიპოვა, მეორე შედეგი თავართქილაძეს ჰქონდა, მესამე - მელაძეს. დანარჩენი ადგილები დაიკავეს ლომაძემ, ქაჯაიამ, ბორძიკულმა, ნადირაძემ და ჩხიკვიშვილმა.




პირველი რბოლა პეისკარით ოფიციალურად გახსნა საქართველოს ავტოფედერაციის საპატიო პრეზიდენტმა, ქალბატონმა **ნინო ბურჯანაძემ**, გზა დაულოცა ავტომრბოლებს და პატიოსანი პაექრობისკენ მოუწოდა.

ბრძოლა მართლაც კორექტული იყო, როგორც პირველობისთვის, ისე დანარჩენი საპრიზო ადგილებისთვისაც. მაყურებელი, რომელმაც საგრძნობლად იმატა, საინტერესო ორთაბრძოლის მოწმე გახდა. მიუხედავად იმისა, რომ თავართქილაძე 10 ქულით უსწრებდა ბიძინაშვილს და, როგორც იტყვიან, „თავი ქუდში ჰქონდა", მაინც გაიბრძოლა. ბიძინაშვილმა ორივე რბოლა უმაღლეს დონეზე ჩაატარა და ღირსეულად შეასრულა დუბლი, მაგრამ ჩემპიონობისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. არჩილი სრულიადაც არ ჩანდა დაღონებული, მიუხედავად იმისა, რომ „ბრძოლა მოიგო", „ომი კი წააგო". ავტოსპორტში საქართველოს აბსოლუტურ ჩემპიონს კუს ტბის რბოლა გამოავლენს.

წარჩინებულები სახელოვანმა ვეტერანმა ავტომრბოლებმა, **ვლადიმერ გლურჯიძემ** და **გურამ დგებუაძემ** დააჯილდოვეს.

**დავით ჩუბინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# გარნეტის ახალი რეკორდი




"ბოსტონ სელტიქსის" ფორვარდი **კევინ გარნეტი** ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე გახდა, ვისაც კარიერაში 1000 მატჩი აქვს ჩატარებული.

რეკორდის დამყარების მომენტში გარნეტი 32 წლის და 165 დღის იყო. წინა რეკორდი "სიეტლ სუპერსონიქსის" ფორვარდ **შონ კემპს** ეკუთვნოდა, რომელმაც ლიგაში მეათასე შეხვედრა 33 წლისა და 24 დღის ასაკში ჩაატარა.

გარნეტმა რეკორდი "ჩიკაგო ბულზთან" მატჩში დაამყარა. იმ დღეს "ბოსტონ სელტიქსის" ლიდერი 18 ქულით და 10 მოხსნით დაეხმარა თავის გუნდს. *"თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ის, რომ ლიგაში 1000 მატჩი ჩაატარე, ბევრ რამეზე მეტყველებს. პირველ რიგში იმაზე, რომ ძველებურად კარგ ფორმაში ვარ და ისევ მსურს საუკეთესო ვიყო"*, - განაცხადა გარნეტმა.

**31 ოქტომბერი**

**ფილადელფია-ნიუ იორკი 116:87**

31:24, 29:24, 31:24, 25:15

ფ: ბრენდი (24+14 მოხსნა+3 დაფარება), ა. მილერი (20+7 მოხსნა+8 პასი), უ. გრინი (18), ლ. უილიამსი (15), ტ. იანგი (13).

ნ-ი: კროუფორდი (14), დ. ლი (13+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), ზ. რენდოლფი (12+7 მოხსნა), რობინსონი (12+3 ჩაჭრა), უ. ჩენდლერი (11).

**ტორონტო-გ. სტეიტი 112:108 (ო)**

28:22, 23:28, 22:23, 23:23, 16:12

ტ: ბოში (31+9 მოხსნა), ე. პარკერი (23+4 ჩაჭრა), ბარნიანი (19+3 დაფარება), კალდერონი (16+13 პასი), მუნი (11).

გ-ს: ე. ჰარინგტონი (26+11 მოხსნა), ს. ჯექსონი (19+7 მოხსნა), ბიედრინსი (17+13 მოხსნა), აზუბუიკე (15), მაგეტი (14+8 მოხსნა).

**მაიამი-საკრამენტო 103:77**

22:14, 27:17, 29:16, 25:30

მ: უეიდი (20+8 პასი+4 ჩაჭრა+4 დაფარება), მ. ბიზლი (17+9 მოხსნა), ჰასლემი (14), დ. კუკი (13), მერიონი (13+10 მოხსნა+4 ჩაჭრა+3 დაფარება).

ს: სალმონსი (14), დუბი (14), ჯ. ტომპსონი (10+7 მოხსნა), ჰოვსი (9+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), უილიამსი (6+10 მოხსნა).

**ბოსტონი-ჩიკაგო 96:80**

24:13, 25:18, 21:23, 26:26

ბ: გარნეტი (18+10 მოხსნა), რონდო (14+6 პასი), რ. ალენი (14), პირსი (14+9 მოხსნა), პერკინსი (8+10 მოხსნა).

ჩ: დ. როუზი (18), ტ. ტომასი (11), გორდონი (11), ნოა (5+13 მოხსნა).

**მემფისი-ორლანდო 86:84**

26:25, 17:30, 18:13, 25:16

მ: გეი (29), მაიო (17), მ. გასოლი (10), არტური (0+10 მოხსნა).

ო: ლუისი (23), თურქოგლუ (18+9 მოხსნა+7 პასი), დუაიტ ჰოვარდი (14+14 მოხსნა+3 დაფარება), ნელსონი (11).

**კლიპერსი-დენვერი 103:113**

28:20, 27:17, 21:31, 18:26, 9:19

კ: ტორნტონი (30+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტ. ტომასი (20+7 მოხსნა), კამანი (15+15 მოხსნა+4 დაფარება), მობლი (14+3 ჩაჭრა).

დ: აივერსონი (25), ნენე (22+11 მოხსნა+3 დაფარება), სმიტი (17+10 მოხსნა), დ. ჯონსი (13), მარტინი (13+13 მოხსნა), ე. კარტერი (12+6 პასი).

**პორტლენდი-სან ანტონიო 100:99**

21:22, 30:23, 27:25, 22:29

პ: როი (26+7 პასი+3 ჩაჭრა), ოლდრიჯი (23), ბატუმი (12), აუთლო (11+3 ჩაჭრა), ფრაი (10).

ს-ა: დანკანი (27+10 მოხსნა), ტ. პარკერი (24+11 პასი), ფინლი (16), რ. მეისონი (14).

**1 ნოემბერი**

**ატლანტა-ფილადელფია 95:88**

18:34, 26:23, 22:18, 29:13

ა: ჯო ჯონსონი (35), სმიტი (14+11 მოხსნა+3 ჩაჭრა).

ფ: ტ. იანგი (22), ბრენდი (17+16 მოხსნა), იგუოდალა (16+3 ჩაჭრა), ა. მილერი (11+8 პასი), დალემბერი (12+11 მოხსნა).

**იუტა-კლიპერსი 101:79**

24:25, 24:23, 27:12, 26:19

ი: ბუზერი (25+10 მოხსნა), ბრიუერი (16), კირილენკო (11+9 მოხსნა+3 დაფარება), მილსეპი (11+7 მოხსნა), ოქური (9+10 მოხსნა).

კ: მობლი (20), ტ. ტომასი (16+7 მოხსნა), ტ. ტეილორი (13), კამანი (11+12 მოხსნა).

**დეტროიტი-ვაშინგტონი 117:109**

31:21, 20:31, 30:24, 36:33

დ: ჰემილტონი (24+7 მოხსნა), რ. უოლასი (17+12 მოხსნა+6 დაფარება), ერმანი (16+7 მოხსნა), ბილაპსი (12+8 პასი), სტაკი (11), მაქსიელი (11+7 მოხსნა).

ვ: ჯეიმისონი (24+8 მოხსნა), იანგი (23), კ. ბატლერი (21+6 პასი+3 ჩაჭრა).

**ინდიანა-ბოსტონი 95:79**

27:17, 21:24, 21:17, 26:21

ი: გრეინჯერსი (20), ფორდი (19), მ. დენიელსი (13+10 მოხსნა), ჯეკი (11+7 მოხსნა), მერფი (10+8 მოხსნა+3 ჩაჭრა).

ბ: გარნეტი (18+14 მოხსნა), პირსი (15+10 მოხსნა), ტ. ალენი (14), რ. ალენი (10).

**ორლანდო-საკრამენტო 121:103**

32:28, 27:21, 27:27, 35:27

ო: დუაიტ ჰოვარდი (29+14 მოხსნა+5 დაფარება), ლუისი (26+7 მოხსნა+6 პასი), თურქოგლუ (21), პიეტრუსი (20), ნელსონი (12).

ს: მარტინი (31), სალმონსი (12), ჯ. ტომპსონი (12), უდრიხი (11), უილიამსი (11).

**ნიუ ჯერსი-გ. სტეიტი 97:105**

25:24, 26:28, 18:33, 28:20

ნ-ჯ: ვ. კარტერი (20), ბუნი (17+14 მოხსნა+3 დაფარება), დ. ჰარისი (13), რ. ანდერსონი (12), ბ. ლოპესი (10+8 მოხსნა).

გ-ს: ბიედრინსი (23+11 მოხსნა), ს. ჯექსონი (23+8 პასი), მაგეტი (20+10 მოხსნა), ე. ჰარინგტონი (14).

**მინესოტა-დალასი 85:95**

20:31, 29:22, 15:17, 21:25

მ: მაკენტსი (18), ე. ჯეფერსონი (14+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), მ. მილერი (13).

დ: ნოვიცკი (21), ტერი (19+4 ჩაჭრა), ჰოვარდი (14), კიდი (9+9 მოხსნა+7 პასი+4 ჩაჭრა).

**ნიუ ორლეანი-კლივლენდ 104:92**

19:27, 30:21, 24:22, 31:22

ნ-ო: დ. უესტი (25), პოლი (24+15 პასი), პოუსი (15+4 ჩაჭრა), რ. ბატლერი (14).

კ: ილგაუსკასი (18), ლ. ჯეიმსი (15+7 მოხსნა+13 პასი+3 ჩაჭრა), გიბსონი (14), დ. უესტი (12), მ. უილიამსი (11), შჩერბიაკი (12).

**ჩიკაგო-მემფისი 96:86**

19:19, 23:31, 33:20, 21:16

ჩ: დ. როუზი (26), ჰინრიხი (18), გორდონი (11), დენგი (11+7 მოხსნა), ნოჩიონი (10), გუდენი (7+20 მოხსნა+3 დაფარება).

მ: გეი (20), უორიკი (18+7 მოხსნა), მაიო (16), ლოური(12).

**ჰიუსტონი-ოკლაჰომა სიტი 89:77**

20:17, 22:24, 23:18, 24:18

ჰ: მაკგრეიდი (22+7 მოხსნა), იაო მინი (16+11 მოხსნა), ლენდრი (14+11 მოხსნა), ელსტონი (10), არტესტი (10), სკოლა (10+7 მოხსნა).

ო: დურანტი (26+4 ჩაჭრა), ჯ. გრინი (10), პეტრო (10+9 მოხსნა+3 დაფარება), უოტსონი (6+7 მოხსნა+8 პასი).

**მილუოკი-ტორონტო 87:91**

22:24, 17:17, 21:29, 27:21

მ: რედი (19), ვილანუევა (16), ბოგუტი (14+9 მოხსნა), სეშენსი (12+9 პასი).

ტ: კალდერონი (25+9 პასი), ბოში (20+10 მოხსნა+6 პასი), მუნი (15), ე. პარკერი (11+4 ჩაჭრა), ჯ. ო'ნილი (11+8 მოხსნა).

**დენვერი-ლეიკერსი 97:104**

21:23, 31:23, 24:30, 21:28

დ: ე. კარტერი (20+6 პასი), მარტინი (18), აივერსონი (13+7 პასი), ენტონი (13+6 პასი), სმიტი (13).

ლ: ბრაიანტი (33), პ. გასოლი (16+16 მოხსნა), რადმანოვიჩი (11+7 მოხსნა), ფიშერი (11), ოდომი (10).

**შარლოტი-მაიამი 100:87**

24:17, 28:24, 25:27, 23:19

შ: ჯ. უოლასი (34+9 მოხსნა+3 დაფარება), რიჩარდსონი (23), ოკაფორი (18+13 მოხსნა).

მ: ბიზლი (25), უეიდი (19+6 პასი+3 ჩაჭრა), ჰასლემი (16+7 მოხსნა).

**ფინიქსი-პორტლენდი 107:96**

29:23, 20:27, 31:22, 27:24

ფ: ა. სტაუდმაიერი (23+13 მოხსნა), ბარნსი (21), ნეში (20+7 პასი), შ. ო'ნილი (16+8 მოხსნა), ბელი (13).

პ: როი (20), ფერნანდესი (20), ოლდრიჯი (16+6 მოხსნა), ბლეიკი (11), აუთლო (11).

ჩოგბურთი

# დელ პოტრო მასტერსის თასზე

არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო** მეშვიდე ჩოგბურთელი გახდა, ვინც წლის შემაჯამებელ ტურნირში მონაწილეობის უფლება მიიღო. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც პარიზის მასტერსის ნახევარფინალში ამერიკელმა **ჯეიმს ბლეიკმა** ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგასთან** წააგო (4:6, 3:6).

ბლეიკის დამარცხება იმას ნიშნავს, რომ არგენტინელმა გაინალდა ადგილი ATP-ის საჩემპიონო რბოლის საუკეთესო რვა ჩოგბურთელს შორის.

წლის მთავარი ტურნირი შანხაიში 9 ნოემბერს დაიწყება. დელ პოტრომდე მასტერსის თასზე თამაშის უფლება ამერიკელმა **ენდი როდიკმა** გაიფორმა. უფრო ადრე საგზურები **როჯერ ფედერერმა, რაფაელ ნადალმა, ნოვაკ ჯოკოვიჩმა, ენდი მიურეიმ** და **დავიდ ნალბანდიანმა** მოიპოვეს.

გუშინ პარიზის მასტერსის ფინალში უნდა გარკვეულიყო ბოლო, მერვე ჩოგბურთელი, ვინც სეზონის უკანასკნელ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

რალი

# ხუთგზის ლოები

იაპონიაში რალის მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლოსწინა, მე-14 ეტაპი დასრულდა. გამარჯვება "ფორდის" ფინელმა პილოტმა **მიკო ჰირვონენმა** მოიპოვა, მეორე ადგილზე მისი თანაგუნდელი და თანამემამულე **იარი-მატი ლატვალა** გავიდა, ხოლო მესამეზე აღმოჩნდა ფრანგი **სებასტიან ლოები** "სიტროენიდან".

ამ საპრიზო ადგილმა ლოებს კარიერაში მსოფლიოს ჩემპიონის მეხუთე ტიტული მოუტანა. ჰირვონენს ბოლო ეტაპზე (ბრიტანეთის რალი) შეუძლია ფრანგი პილოტის დაწევა, მაგრამ იმის გამო, რომ ლოებს ჰირვონენზე მეტი ეტაპი აქვს მოგებული (ათი სამის წინააღმდეგ), ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში ჩემპიონად სწორედ ფრანგი რალისტი გამოცხადდება.

იაპონიის რალის შემდეგ ჰირვონენმა აღიარა, რომ ლოებმა სამართლიანად მოიპოვა წლევანდელი ტიტული: *"ბრძოლა დასრულებულია. იაპონიის ეტაპამდე სებასტიანის ანგარიშზე ათი გამარჯვება იყო, ასე რომ, მან ეს ტიტული დამსახურებულად მოიპოვა. რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. რას ვიზამ, ახლა ისღა დამრჩენია, მომავალ სეზონში მივიტანო ტიტულზე იერიში"*.

**გია თვალაბეიშვილი**

**XIV ეტაპი. იაპონიის რალი**

1. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, "ფორდი") - 3:25.03,0; 2. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, "ფორდი") - +31,10; 3. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, "სიტროენი") - +2.30,60; 4. **კრის ატკინსონი** (ბრიტანეთი, "სუბარუ) - +3.42,40; 5. **პერ-გუნარ ანდერსონი** (შვედეთი, "სუძუკი") - +5.12,90; 6. **ტონი გარდემაისტერი** (ფინეთი, "სუძუკი") - +6.09,40; 7. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, "ფორდი") - +7.05,30; 8. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, "სუბარუ") - +13.19,90.

**საერთო ჩათვლა:** 1. **სებასტიან ლოები** - 112 ქულა; 2. **მიკო ჰირვონენი** - 102; 3. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, "სიტროენი") - 59; 4-5. **კრის ატკინსონი, იარი-მატი ლატვალა** - 50; 6. **პეტერ სოლბერგი** - 41; 7-8. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, "ფორდი"), **ფრანსუა დიუვალი** (ბელგია, "ფორდი") - 22.

**კონსტრუქტორთა ჩათვლა:** 1. **სიტროენი** - 169 ქულა; 2. **ფორდი** - 146 ქულა; 3. **სუბარუ** - 87; 4. **სტობარტ-ფორდი** - 62.



რაგბი ლიგა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ევროპელთა შავი დღეები

ავსტრალიაში მიმდინარე რაგბი ლიგის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე სათამაშო დღეს რამდენიმე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. B ჯგუფში, ფაქტობრივად, გადამწყვეტ შეხვედრაში ფიჯიმ საფრანგეთის ნაკრები გაანადგურა - 42:6. არადა, მატჩის ფავორიტებად, სწორედ ფრანგები იყვნენ მიჩნეული. ბუკმეიკერებიც გამარჯვებას საფრანგეთს უწინასწარმეტყველებდნენ.

ფიჯიმ, როგორც ჩანს, ისტორიის განმავლობაში საუკეთესო შეხვედრა გამართა. მატჩის გმირი **აკუილა უატე** შეიქნა, რომელმაც სამფეროვნებს სამი ლელო გაუტანა. მესამე და ამ შეხვედრაში ბოლო ლელო უატემ 80-მეტრიანი რეიდის შემდეგ გაიტანა, ისე, რომ გზად მოწინააღმდეგის სამი მცველი გადაჯეგა.

არადა, ფრანგებმა თამაში მეტად ყინჩად დაიწყეს და ანგარიშიც **ჯონი ვილსონის** ლელოთი მათ გახსნეს. **ტომა ბროსმა** ზუსტად დაარტყა გარდასახვა - 6:0. ამის შემდეგ ფიჯელებმა მეტოქეს რეტი დაასხეს. ზედიზედ გატანილი სამი ლელოს შემდეგ, მათ საბოოოდ გატეხეს მეტოქე და საერთო ჯამში შვიდი ერთმანეთზე უკეთესი ლელო გაუტანეს. ფიჯელთაგან ორი ლელო **იარი ჰეინეს** ანგარიშზეა. თითოც **იოვანე დივავესმა** და ნაკრების დებიუტანტმა, **სემისი ტორამ** გაიტანეს.

ახლა B ჯგუფში გასამართი ერთი შეხვედრალა დარჩა. 5 ნოემბერს ფიჯი ჯგუფის აუტსაიდერ შოტლანდიის ნაკრებს დაუპირისპირდება. ძნელი საფიქრებელია, რომ „მამაცმა გულებმა" მოწინააღმდეგეს რამე დააკლონ. სავარაუდოდ, სწორედ ამ თამაშის მერე გაიფორმებენ ფიჯელები ნახევარფინალში გასასვლელ მატჩში მონაწილეობის უფლებას.

A ჯგუფში „კენგურუებმა" ინგლისის ნაკრები მო'არეს - 52:4. ინგლისელებმა თავის იტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით წააგეს. აქამდე მათი ანტირეკორდი 2000 წელს ზელანდიასთან წაგება იყო ბოლტონში 6:49.

ავსტრალიელებმა **გრეგ ინგლიზმა** და **ბილი სლეიტერმა** მეტოქეს სამ-სამი ლელო გაუტანეს. ორიც **ენტონი ლაფრანჩის** ანგარიშზეა. ერთიც **ჯოელ მონაგანმა** მიითვალა. ცხრიდან რვა გარდასახვა გაიტანა **სკოტი პრაინსმა**. ამ გამარჯვებით ავსტრალიამ გაინალდა ნახევარფინალში თამაში. ჯგუფის ბოლო, მესამე ტურის შეხვედრაში ისინი პაპუასეთს დაუპირისპირდებიან. აი, ინგლისელებს კი, კიდევ ერთი დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევთ. მეტოქედ ზელანდიის ნაკრები ეყოლებათ, რომელსაც ასევე გამარჯვება სჭირდება.

კივებმა მეორე ტურში პაპუასეთი დიდი ანგარიშით - 46:6 დაამარცხეს და სავარაუდოდ, არც ინგლისელებს დააკლებენ ხელს. ადვილი შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ოთხეულში ვერც ერთი ევროპული გუნდი მოხვდეს.

**ზელანდია-პაპუასეთი 46:6**

**ზელანდია:** 8ლ- როპატი, მანერინგი (2), პერეტი, ლუკე, ფაალოგო, ბლაირი, ისტვუდი. 5გ- ინუ.

**პაპუასეთი:** ლ - ვილშერი. გ - ვილშერი.

**ფიჯი-საფრანგეთი 42:6**

**ფიჯი:** 7ლ - უატე (3), ჰეინე (2), დივავესე, ტორა. 7გ - ნაიგამა.

**საფრანგეთი:** ლ - ვილსონი, გ - ბოსკი.

**ავსტრალია-ინგლისი 52:4**

**ავსტრალია:** 9ლ - სლეიტერი (3), ინგლიზი (3), ლაფრანჩი (2), მონაგანი. 8გ - პრაინსი.

**ინგლისი:** ლ - რობი.

**A ჯგუფი**

ავსტრალია - 4 ქულა, ზელანდია - 2, ინგლისი - 2, პაპუასეთი - 0.

**B ჯგუფი**

ფიჯი -2 ქულა, საფრანგეთი - 2, შოტლანდია - 0

**C ჯგუფი**

სამოა - 2 ქულა, ტონგა - 2, ირლანდია - 0.

**5 ნოემბერი**

ფიჯი-შოტლანდია

ირლანდია-სამოა

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი. ბლედისლოუს თასი



# ბლედისლოუ ოლ ბლექსისაა

**ავსტრალია-ზელანდია 14:19**

**ავსტრალია** (15-9) ეშლი -კუპერი, ჰაინსი, კროსი, მორთლოქი, მიჩელი, გიტო, ბერჯესი. (1-8) რობინსონი, მური, ბაქსტერი, ჩოზომი, შარფი, მამი, ჯ. სმითი, ბრაუნი. (16-22) ფრაიერი, დანინგი, კო, ფოქიქი, ქორდინგლი, ბარნსი, თერნერი 2ლ: მიჩელი (2). 2გ: გიტო.

**ზელანდია** (15-9) ტოიავა, გიარი, კ. სმითი, კარტერი, სივივატუ, დონალდი, ქოუანი. (1-8) ვუდქოქი, ჰორი, ტიალატა, სორნი, ვილიამსი, კაინო, მაკქოუ, სოიალო. (16-22) მეალამუ, სომერვილი, ბორიჩი, თომსონი, ვიპუ, ნონუ, ჯეინი. 2ლ: სივივატუ, მაკქოუ. 3ს: კარტერი.

**მსაჯი:** ალან როლანი (ირლანდია)

ბლედისლოუს თასი „ოლ ბლექსისაა". წლევანდელი სეზონის მეოთხე დაპირისპირებაში ზელანდიის ნაკრებმა ჰონ-კონგში ავსტრალიის ნაკრები 19:14 დაამარცხა და სამი მოგება დაუგროვდა ერთი მარცხის წილ.

მატჩის შემდეგ ზელანდიელთა თავკაცი **გრემ ჰენრი** ამაყი იყო თავის გუნდის გარჯით და საქები სიტყვები არ დაუშურებია ბიჭების მისამართით. *„ჩვენს გუნდს უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ჩემმა ბიჭებმა იციან, როგორ დაამარცხონ ნებისმიერი მეტოქე და აკეთებენ კიდეც ამას. აკი სამი ერიც ჩვენი ტრიუმფით დასრულდა"* - თქვა მან.

*„სამწუხაროდ, ჩვენ ვერ გავიმარჯვეთ. მთელმა გუნდმა უკლებლივ ყველაფერი გაიღო წარმატების მისაღწევად, მაგრამ არ გაგვიმართლა. ზელანდია ძალიან კარგი, მებრძოლი გუნდია. საკმარისია ერთი დუიმი უპირატესობა დაუთმო, რომ უმალვე შეუძლია გამოიყენოს, რაც გააკეთეს კიდევაც მატჩის მეორე ნახევარში"* - ეს უკვე ვოლაბების კაპიტანმა **სტილინგ მორთლოქმა** თქვა.

პირველი ტაიმი ავსტრალიელებმა 14:9 მოიგეს. მატჩის მეშვიდე და ოცდამეექვსე წუთებზე ვოლაბების გარემარბმა **დრიუ მიჩელმა** ორი ლელო გაიტანა, რომლებიც **მეტ გიტომ** გარდასახა. პირველ ნახევარში მხოლოდ ეს ორად-ორი ეპიზოდი იყო დასამახსოვრებელი.

და მატჩის არბიტრი, ჩვენთვის კარგად ნაცნობი ირლანდიელი **ალან ლუისი,** რომელმაც ზელანდიელთა სასარგებლოდ 11 საჯარიმო დანიშნა. აქედან 7 პირველ ტაიმში. „ოლ ბლექსის" დამრტყმელმა **დენ კარტერმა** მხოლოდ სამი გამოიყენა - 9:14, რამაც, როგორც საბოლოოდ გაირკვა, განაპირობა კიდეც ზელანდიელთა გამარჯვება.

მეორე ტაიმი წუთ-ნახევრის დაწყებული იყო, როცა ზელანდიის გარემარბმა **სტივენი სივივატუმ** ლელო მარცხენა ფრთაზე, კიდესთან ახლოს გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა - 14:14. გამარჯვების მომტანი ლელო კი 64-ე წუთზე „ოლ ბლექსის" ყოჩმა **რიჩი მაკქოუმ** გაიტანა და ზელანდია ბლედისლოუს თასს ოცდამეთვრამეტედ დაეუფლა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

კრივი

# ჩემპიონის არჩევანი

## ვლადიმერ კლიჩკო 13 დეკემბერს ჰასიმ რაჰმანს შეხვდება



უკრაინელი **ვლადიმირ კლიჩკო** თავის სამ საჩემპიონო ქამარს (WBO, IBF და IBO-ის ვერსიებით) 13 დეკემბერს გერმანიის ქალაქ მანჰაიმში ამერიკელ **ჰასიმ რაჰმანთან** ბრძოლაში დაიცავს. უკრაინელი მოკრივის მენეჯერებმა მსოფლიოს ექსჩემპიონთან შეთანხმებას მას შემდეგ მიაღწიეს, რაც ჩაიშალა უმცროსი კლიჩკოსა და **ალექსანდრ პოვეტკინის** ბრძოლა. შეგახსენებთ, რომ რუსმა მზადების პროცესში ტრავმა მიიღო და ამის გამო ველარ ახერხებს რინგზე გასვლას.

უკრაინული მხარის გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან თითქმის ყველა დარწმუნებული იყო იმაში, რომ კლიჩკო სწორედ რაჰმანთან (რომელმაც WBC-ის ტიტულის დაკარგვის შემდეგ ხუთიდან ოთხი ბრძოლა მოიგო) და არა მეორე პრეტენდენტთან - რუს **ოლეგ მასკაევთან** მოინდომებდა შეხვედრას.

ბევრი თვლის, რომ 40 წლის მასკაევის დრო გავიდა, თუმცა თავად მოკრივე ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. სანამ კლიჩკო მეტოქედ რაჰმანს აირჩევდა, მასკაევმა ასეთი განცხადებით მიმართა უკრაინელს: *"რაჰმანი ორჯერ ნოკაუტით მყავს დამარცხებული. ბოლოს მას WBC-ის საჩემპიონო ტიტულიც ჩამოვართვი. რას მიაღწია რაჰმანმა ჩემთან წაგების შემდეგ? ბრძოლაში დანებდა ჯეიმს ტუნის და ძლივს მოუგო ჩემს სპარინგპარტნიორ ლოურენსს.*

*მზად ვარ, კლიჩკოსთან ბრძოლაში გამარჯვებულმა მთელი ჰონორარი აიღოს. ნებისმიერ ადგილას შევხვდები მას - ამერიკაში, გერმანიაში, რუსეთში, თავის სასტუმროს ნომერშიც კი".*

მაგრამ მასკაევს ვლადიმირთან ბრძოლის შანსი არ ჰქონდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ უკრაინელის მენეჯერები კლიჩკოს მეტოქეს ვერ უპოვიდნენ, IBF ტიტულის აუცილებელ დაცვას დააკისრებდა უკრაინელს. მასკაევს ამ შემთხვევაშიც არ მოუწევდა რინგზე ასვლა, რადგან ის რეიტინგში მეექვსე ადგილს იკავებს, რაჰმანი - მეხუთეს.

ამერიკელი მოკრივე ტიტულების დაკარგვის შემდეგ მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობს - ისევ გახდეს ჩემპიონი და კარიერა გამარჯვებულის რანგში დაასრულოს. მას ხომ ერთ კვირაში 36 წელს უსრულდება და ამ ბრძოლაში დამარცხება წერტილს დაუსვამს მის კარიერას. გამარჯვება კი ამერიკის გმირად გადააქცევს, რადგან სწორედ რაჰმანი იყო პროფესიულ რინგზე ამ ქვეყნის ბოლო ჩემპიონი წარმომადგენელი.

მაგრამ საქმე ისაა, რომ რაჰმანის გამარჯვებისა თითქმის არავის სჯერა. მიუხედავად იმისა, რომ ჰასიმი იმ მოკრივეთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებსაც ერთი დარტყმით შეუძლიათ ნებისმიერი ბრძოლის ბედის გადაწყვეტა, ის ამ ნიჭს იშვიათად იყენებს. მას კიდევ ერთი ცუდი თვისება აქვს, რის გამოც ბევრი გადამწყვეტი ბრძოლა აქვს წაგებული - იმ დროსაც კი, როცა რაჰმანი შეხვედრის მსვლელობას აკონტროლებს, რაღაც მომენტში შეიძლება მთლიანად გამოეთიშოს ბრძოლას და მეტოქეს გადამწყვეტი შეტევის საშუალება მისცეს.

ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ რაჰმანი თავისი კარიერის განმავლობაში იშვიათად შეხვედრია მაღალი დონის მეტოქეებს (და როცა შეხვედრია, უფრო ხშირად წაგებულს დაუტოვებია რინგი), ვლადიმირ კლიჩკოსთვის მომავალი დაპირისპირება ჩვეულებრივ, რიგით ვარჯიშად უნდა გადაიქცეს.

ფორმულა 1

# ფერარიმ როსი მიიწვია

იტალიური "ფერარის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად მიიწვია ტესტებზე მოტოგრანპრის წლევანდელი ჩემპიონი **ვალენტინო როსი.** შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ იტალიელმა მოტომრბოლმა ფორმულა 1-ის ბოლიდის მართვის სურვილი გამოთქვა. როსიმ განაცხადა, რომ ეს იქნებოდა მოტოგრანპრის კლასში მისი მეექვსე ტიტულის მოპოვების ყველაზე ღირსეული აღნიშვნა.

*"ჩვენ მოხარულები ვიქნებით, თუ კიდევ ერთხელ ვიხილავთ ვალენტინო როსის "ფერარის" ბოლიდის საჭესთან. ის "ფერარის" დიდი მეგობარია და აუცილებლად მივცემთ ოცნების ასრულების საშუალებას"*, - განაცხადა ბრაზილიაში გამართულ პრესკონფერენციაზე "ფერარის" წარმომადგენელმა.

როსი წლის ბოლოს იტალიაში გასამართ ტესტებში მიიღებს მონაწილეობას. შეგახსენებთ, რომ ვალენტინო 2008 წელს ყველაზე პრესტიჟულ მოტოგრანპრის კლასში მეექვსედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. იტალიელი უკანასკნელად "ფერარის" საჭესთან 2006 წელს იჯდა. მაშინ "სკუდერიის" შეფობა სერიოზულად განიხილავდა როსის ფორმულა 1-ში გადაყვანას, მაგრამ ვალენტინომ ამპლუის შეცვლა გადაიფიქრა.




გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

### 31 ოქტომბერი

**ჩიკაგო-დალასი 5:2**

2:1, 1:1, 2:0

**გოლები:** 0:1 ლ. ერიქსონი-5 (მოროუ-8, რიბეირო-11), 1:1 ბარკერი-1 (ბ. კემბელი-5, კეინი-5), 2:1 კეინი-6 (შაელატი-7, ბროუერი-3), 2:2 ოტი-2 (ბერჩი-2, სტეფანი-1), 3:2 სოპელი-1 (კეინი-6, ტეუვზი-6), 4:2 ლედი-1 (ბარკერი-1), 5:2 ბიფიგლენი-1 (ბოლანდი-4).

**ანაჰაიმი-ვანკუვერი 6:7 (ბ)**

2:!, 3:4, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ს. ნიდერმაიერი-1 (სელიანე-2, პერი-8), 2:0 სელიანე-7 (პრონგერი-7, პერი-9), 2:1 ბერნიე-3 (პიატი-2, ო'ბრაიენი-2), 2:2 კესლერი-4 (ბაროუზი-5, ჰანსენი-3), 2:3 ბაროუზი-4 (ბიეკსა-4), 2:4 ოლუნდი-2 (სალო-5, რეიმონდი-4), 2:5 ბიეკსა-2 (ჰანსენი-4), 3:5 მონტადორი-1 (პერი-10, პრონგერი-8), 4:5 პრონგერი-2 (კუნიტცი-5, გეტცლაფი-9), 5:5 სელიანე-8 (პერი-11, ს. ნიდერმაიერი-7), 5:6 ბერნიე-4 (ბიეკსა-5, ლეონგი-1), 1:1 პერი-3 (კუნიტცი-6, სელიანე-3),

**ბულიტები გაიტანეს:** უელვუდი (ვანკუვერი), გეტცლაფი (ანაჰაიმი), ოლუნდი (ვანკუვერი).

**ტორონტო-რეინჯერსი 5:2**

0:1, 0:1, 5:0

**გოლები:** 0:1 კელეპანი-4 (ჟირარდი-7, დრივსი-1), 0:2 ბეტსი-2 (კალინინი-4, სიოსტრომი-1), 1:2 ჯ. მიტჩელი-1 (სტაიანი-4, ჰაგმანი-4), 2:2 ჯ. ბლეიკი-2 (მური-3), 3:2 კუბინა-2 (ანტროპოვი-5, ტ. კაბერლე-4), 4:2 ჯ. მიტჩელი-2 (შენი-2, ჯ. ბლეიკი-4), 5:2 მური-3 (ჯ. მიტჩელი-3, ფინგერი-1).

**ბოსტონი-დალასი 5:1**

1:1, 1:0, 3:0

**გოლები:** 1:0 შტურმი-2 (ვილერი-1, კრეისი-4), 1:1 ეივერი-2, 2:1 პ. ბერჟერონი-3, 3:1 კესელი-7 (სავარი-10, ფერენსი-5), 4:1 სტიუარტი-1 (იელი-1, ვილერი-2), 5:1 შტურმი-3 (აქსელსონი-5, რაიდერი-6).

**ბაფალო-ვაშინგტონი 5:0**

3:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ვანეკი-10 (სეკერა-6, შაპჩეკი-6), 2:0 დ. რუა-2 (პომინვილი-5, ტ. კონოლი-1), 3:0 პომინვილი-3 (მაკარტური-3), 4:0 ვანეკი-11 (კოტალიკი-4, სეკერა-7), 5:0 პეი-2 (კალეტა-1).

**კოლამბუსი-ჩიკაგო 3:4 (ბ)**

1:1, 0:1, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 შარპი-7 (ვერსტეეგი-7, კეინი-4), 1:1 უმბერგერი-1 (ვორაჩეკი-5, ბრასარი-6), 1:2 სიბრუკი-3 (ბ. კემბელი-6, კეინი-7), 2:2 ტოუტინი-1 (ნეში-2, პეკა-3), 2:3 ჰაველატი-4 (კეიტი-5, ვერსტეეგი-8), 3:3 პუსელიუსი-4 (ბრასარი-7, კლესლა-2).

**ბულიტები გაიტანეს:** ტეუვზი (ჩიკაგო).

**ტამპა ბეი-ოტავა 3:2 (ბ)**

0:0, 1:2, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ვერმეტი-2 (მუბერტი-1, ფოლინო-2), 1:1 ლეკავალიე-6 (კრაიჩეკი-1, პროსპალი-5), 1:2 ჰიტლი-7 (კუბა-12, ვერმეტი-2), 2:2 მ. კარლი-1 (პროსპალი-6, კრაიჩეკი-2).

**ბულიტები გაიტანეს:** ი. იოკინენი (ტამპა ბეი), სპეცა (ოტავა), სენტ ლუისი (ტამპა ბეი), ი. რუუტუ (ოტავა), არტიუხინი (ტამპა ბეი).

**ნეშვილი-ფლორიდა 3:2 (ბ)**

1:1, 0:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 შ. უებერი-5 (დუმონი-12, რ. სატერი-8), 1:1 ოლეში-2 (ბალარდი-8), 1:2 სკრასტინსი-2 (კრეპსი-2, დვორაკი-1), 2:2 ერატი-6 (ლეგვანდი-4, ჰამჰუისი-3).

**ბულიტები გაიტანეს:** ერატი (ნეშვილი).

### 1 ნოემბერი

**კაროლინა-ედმონტონი 1:3**

1:0, 0:1, 0:2

**გოლები:** 1:0 რეი უიტნი-2 (გლისონი-5, ტ. რუუტუ-2), 1:1 ჰორკოფი-4 (პემსკი-8, ვიშნოვსკი-2), 1:2 მორო-2, 1:3 მორო-3 (ვიშნოვსკი-3, ჰორკოფი-2).

**აილენდერსი-მონრეალი 4:5**

2:1, 2:0, 0:4

**გოლები:** 0:1 კოვალიოვი-4 (პლეკანეცი-3, ჰამრლიკი-3), 1:1 შტრაიტი-4 (კომრი-4, უეიტი-7), 2:1 სიმი-2 (ნილსენი-3, ჰანტერი-2), 3:1 გერონი-4 (უეიტი-8, ჰანტერი-3), 4:1 ნილსენი-1 (ბერგენჰაიმი-2, პარკი-2), 4:2 პლეკანეცი-2 (კოვალიოვი-4, მარკოვი-11), 4:3 პლეკანეცი-3 (ა. კოსტიცინი-2, კოვალიოვი-5), 4:4 ჰიგინსი-1 (ს. კოივუ-7), 4:5 კოვალიოვი-5 (მარკოვი-12, პლეკანეცი-4).

**ნიუ ჯერსი-ატლანტა 6:1**

1:0, 5:0, 0,1

**გოლები:** 1:0 ბერგფორსი-1 (ზუბრუსი-3, რუპი-1), 2:0 ელიაში-3 (ზუბრუსი-4, მოტო-4), 3:0 პარიზე-8 (ლანგენბრუნერი-3, ოდუია-2), 4:0 ჯონტა-2 (ელიაში-4, ოდუია-3), 5:0 პანდოლფო-1 (ოდუია-4, მადენი-2), 6:0 პარიზე-9 (ზაიაცი-6, მარტინი-4), 6:1 ვაჩ. კოზლოვი-5 (კ. არმსტრონგი-4, რისონერი-2).

**სტ. ლუისი-პიტსბურგი 3:6**

2:1, 0:3, 1:2

**გოლები:** 1:0 ჯექმენი-2 (მაკლემანი-3, ბეკსი-2), 1:1 შატანი-6 (კროსბი-11, ლეტანგი-5), 2:1 ოში-2 (პერონი-6, კარია-11), 2:2 გოლიგოსკი-3 (შატანი-3, სიდორი-1), 2:3 მალკინი-4 (სიკორა-3, კროსბი-12), 2:4 ტ. კენედი-3 (კუკი-2, გილი-1), 3:4 ბერგლუნდი-2 (კარია-12, პერონი-7), 3:5 ტელბოტი-2 (შატანი-4, ორპიკი-2), 3:6 ჯ. სტაალი-1 (მალკინი-14, ტ. კენედი-4).

**ფინიქსი-მინესოტა 2:3**

1:0, 1:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ო. იოკინენი-3 (დოუნი-3, მიულერი-2), 1:1 პუიო-3 (შეპარდი-2, შულტცი-1), 1:2 მ. კოივუ-2 (მიეტინენი-5, ფილი-3), 2:2 ო. იოკინენი-4 (დოუნი-4), 2:3 ბელანჟე-3 (მ-ა. ბერჟერონი-2).

**ლოს ანჯელესი-კალგარი 2:3**

0:1, 1:1, 1:1

**გოლები:** 0:1 ნისტრომი-1 (უ. პრიმო-4, ვანდერმეერი-2), 0:2 ა. იგინლა-2 (კამალერი-8, ბერტუცი-1), 1:2 ო. მოლერი-3 (კუინსი-3, ფროლოვი-2), 2:2 ო. მოლერი-4 (კუინსი-4, ფროლოვი-3), 2:3 ლენგკოუ-2 (ბერტუცი-2, რ. ბურკი-5).

ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ტიუბინგენი-კიოლნი | 71:65 |
| ჯაიანტსი-სკაილაინერსი | 85:89 (ო) |
| პადერბორნი-ოლდენბურგი | 69:82 |
| ტრირი-დიუსელდორფი | 77:57 |
| ულმი-ალბა | 69:85 |
| ბრემერჰავენი-ბონი | 79:86 |
| **საბერძნეთი** | |
| არისი-მარუსი | 83:73 |
| ლარისა-კოლოსოსი | 69:76 |
| პანელინიოსი-კავალა | 74:61 |
| ტრიკალა-აეკ | 73:75 |
| ოლიმპიაკოსი-პაოკ | 80:71 |
| ეგალეო-ოლიმპია | 72:81 |
| პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 71:91 |
| **ესპანეთი** | |
| ტაუგრესი-რეალი | 91:81 |
| სარაგოსა-ესტუდიანტესი | 89:85 (ო) |
| ბილბაო-ბრუესა | 79:70 |
| ვალენსია-მანრესა | 75:82 |
| გრან კანრია-მენორკა | 76:72 |
| ფუენლაბრადა-ბარსელონა | 81:88 |
| მურსია-უნიკახა | 65:90 |
| ხუვენტუდი-გრანადა | 93:76 |
| **იტალია** | |
| ფორტიტუდო-ბოლონია | 73:67 |
| მილანი-მონტეგრანარო | 75:77 |
| აველინო-ბიელა | 72:80 |
| ბენეტონი-იუვე კასერტა | 84:65 |
| რომა-ტერამო | 96:75 |
| სიენა-ფერერა | 89:60 |
| სნაიდერო-კანტუ | 93:95 |
| სკავოლინი-ვირტუსი | 99:65 |
| **საფრანგეთი** | |
| ვიში-დიჟონი | 66:80 |
| ლე მანი-ტულონი | 85:67 |
| ნანსი-ჰავრი | 86:69 |
| რუანი-პო ორტეზი | 74:56 |
| რუანი-ვილერბანი | 70:72 |
| სტრასბური-შოლე | 102:87 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ატლანტი-ამური | 3:0 |
| სკა-ბარისი | 4:2 |
| ტორპედო-სიბირი | 4:1 |
| მვდ-მეტალურგი (ნ) | 5:1 |
| ლოკომოტივი-ხიმიკი | 1:1 |
| ს. იულიაევი-ვიტიაზი | 5:3 |
| აკ ბარსი-ნეფტეხიმიკი | 6:2 |
| სპარტაკი-მეტალურგი (მ) | 1:4 |
| დინამო (მ)-ავანგარდი | 5:1 |
| **დანია** | |
| ოლბორგი-ოდენსე | 1:4 |
| ჰერლევი-როედოვრე | 3:3 |
| ნორდსილანდი-ფრედერიკშავნი | 3:3 |
| ესბერგი-ჰერნინგი | 1:5 |
| სიონდერილი-ჰვიდოვრე | 8:5 |
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-აისბარენი | 3:3 |
| ჰანოვერი-ფრანკფურტი | 4:4 |
| კიოლნი-ვოლფსბურგი | 4:1 |
| მანჰაიმი-დიუსელდორფი | 4:0 |
| აუგსბურგი-კრეფელდი | 0:5 |
| დუისბურგი-ნიურნბერგი | 0:4 |
| შტრაუბინგი-ინგოლშტადტი | 1:1 |
| **ნორვეგია** | |
| კომეტი-სტიორნენი | 3:4 |
| სტორჰამარი-ფრისკ ასკერი | 2:2 |
| სპარტა-ვოლერენგა | 1:4 |
| ლილეჰამერი-ლორენსკოგი | 3:0 |
| სტავანგერი-ფურუსეტი | 4:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-ნიტრა | 8:1 |
| **ფინეთი** | |
| კერპეტი-ლუკო | 5:2 |
| ტაპარა-კალპა | 1:2 |
| ტპს-ილვესი | 2:2 |
| კიეკო-სეიპა | 4:3 |
| ესეტი-იოკერიტი | 2:3 |
| ჰპკ-ჰიფკ | 0:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-კარლოვ ვარი | 4:2 |
| პარდუბიცე-სპარტა | 4:2 |
| სლავია-პლზენი | 2:2 |
| ტრშინეცი-ბუდეიოვიცე | 6:1 |
| კლადნო-ზლინი | 4:1 |
| ლიტვინოვი-ვიტკოვიცე | 3:2 |
| ზნოიმო-ბოლესლავი | 3:1 |
| **შვეიცარია** | |
| ციურიხი-ბილი | 3:3 |
| ამბრი-ლუგანო | 5:6 |
| ბერნი-ლანგნაუ | 5:3 |
| დავოსი-კლოტენი | 3:2 |
| ჟენევა-ფრიბურგი | 5:1 |
| ცუგი-რაპერსვილი | 2:5 |
| **შვედეთი** | |
| სიოდერტალე-ბრიუნესი | 4:1 |
| იურგორდენი-ფრიოლუნდა | 3:6 |
| მოდო-როგლე | 2:3 |
| ჰვ71-ფერიესტადი | 4:3 |
| ლულეო-ტიმრა | 5:1 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. პარიზი** | |
| ნალბანდიანი-დავიდენკო | 6:1, 5:7, 6:4 |
| ცონგა-ბლეიკი | 6:4, 6:3 |
| ნალბანდიანი-ცონგა | 3:6, 6:4, 4:6 |
| **WTA. კვებეკი** | |
| პეტროვა-ჰეინესი | 6:1, 6:3 |
| ვოზნიაკი-მატეკი | 6:7, 3:6 |
| პეტროვა-მატეკი | 4:6, 6:4, 6:1 |

TV სპორტი

### 3 ნოემბერი. ორშაბათი

**იმედი**

01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:35 ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-რეალი.
09:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. როდა-ფეიენოორდი.
11:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ლე მანი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 პორტუგალიის ჩემპიონატი. გიმარაეში-ბენფიკა.
15:05 ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-მანჩესტერ სიტი.
16:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:05 ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-რეალი.
18:50 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-სან ლორენსო.
20:40 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:40 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:55 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ასტონ ვილა (LIVE).
01:55 საფეხბურთო ღამე
02:25 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
04:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ჰავრი-მონაკო.
05:45 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ასტონ ვილა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-დეპორტივო.
09:45 სპორტის ს. მყარო.
10:10 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
11:15 ფეხბურთელთა ცხოვრება.
11:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-მანჩესტერ სიტი.
13:45 სპორტული ტანვარჯიში. გრანპრი. ციურიხი. შვეიცარია.
17:10 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
17:15 მინი-მოედანი.
17:30 ცურვა. მსოფლიოს თასი. სინგაპური.
19:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი.
21:15 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
20:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ასტონ ვილა (LIVE).
01:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
01:05 პროფესიული კრივი. დერვინ მედინა-ვიქტორ პლოტნიკოვი.
04:00 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
06:05 ცურვა. მსოფლიოს თასი. სინგაპური.

**EUROSPORT**

11:30 მოტორსპორტი. ტელეჟურნალი.
11:45 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონია.
12:15 ფეხბურთი. აფრიკის ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. I მატჩი.
14:00 მძლეოსნობა. ნიუ იორკის მარათონი.
15:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ს. კორეა. ახალი ზელანდია.
16:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-ინგლისი. ახალი ზელანდია.
17:00 ფეხბურთი. აფრიკის ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. I მატჩი.
18:45 ჩოგბურთი. სპეციალური გამოშვება. ჟუსტინ ანენი.
19:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. მადრიდი. ესპანეთი.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 მულტისპორტი.
22:00 სნუკერი.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:45 ფეხბურთი. აფრიკის ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. I მატჩი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ბალახის ჰოკეი. ევროპის ჰოკეის ლიგა. რედინგი (ინგლისი)-როტერდამი (ჰოლანდია).
14:00 ახალი ამბები.
14:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. I ტური.
15:30 ახალი ამბები.
17:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
18:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. პორტუგალია.
19:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ს. კორეა. ახალი ზელანდია.
19:45 ახალი ამბები.
20:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. I ტური.
21:00 ახალი ამბები.
21:15 მოტორსპორტი. ტელეჟურნალი.
21:30 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
22:00 მაუნტინბაიკი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ავსტრალიური ფეხბურთი. საერთაშორისო სერია. ავსტრალია-ირლანდია.
01:00 კიბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. აშშ.
02:15 მოტორსპორტი. ტელეჟურნალი.
02:30 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა
03:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილიის გრანპრი

# საგიჟეთი ინტერლაგუშზე!

## ჰემილტონმა ტიტული ფინიშამდე ორი მოსახვევით ადრე მოიპოვა




**დაუჯერებელი**, ფანტასტიკური, გიჟური - როგორც გინდათ ისე უწოდეთ გუშინდელ რბოლას, რომელშიც ბრაზილიელ **ფელიპე მასას** („ფერარი“) ორი მოსახვევი არ ეყო ტიტულის მოსაპოვებლად. ჩემპიონობა ბოლო წრეზე ბრიტანელმა **ლუის ჰემილტონმა** („მაკლარენი“) მოიპოვა.

შაბათის კვალიფიკაციის შემდეგ ცხადი გახდა, რომ მასას გულშემატკივრებს ორი რამის იმედი უნდა ჰქონოდათ: ან ჰემილტონს სტარტზე უნდა შექმნოდა პრობლემები, ან წვიმა უნდა წამოსულიყო, რომლის დროსაც ყველანაირი სიურპრიზია მოსალოდნელი. მეორე ვარიანტი სტარტამდე ამუშავდა, როცა „ინტერლაგუშის“ ტრასას ნამდვილი ტროპიკული თავსხმა დაატყდა თავს. ამ მიზეზით სტარტი 10 წუთით გადაიდო, რათა გუნდები უკეთ მომზადებულიყვნენ ამინდის კაპრიზებისთვის. სხვათა შორის, წვიმამ მომენტალურად გადაილო.

ლიდერებისთვის სტარტი მშვიდი გამოვიდა: პირველი ოთხეულის წევრებმა (ფელიპე მასა, **იარნო ტრული, კიმი რაიკონენი,** ლუის ჰემილტონი) დამაჯერებლად შეინარჩუნეს საკუთარი პოზიციები, აი, **ჰეიკი კოვალაინენმა** („მაკლარენი“) კი **სებასტიან ფეტელისა** („ტორო როსო“) და **ფერნანდო ალონსოს** („რენო“) შეტევას ვერ გაუძლო. პირველივე წრეზე დაემშვიდობა ფორმულა 1-ს **დევიდ კულტჰარდი** („რედ ბული“), თუმცა ამჯერად, ავარიაში არა ის, არამედ **ნიკო როსბერგი** („უილიამსი“) იყო დამნაშავე. ამავე ავარიისას რბოლას **ნელსინიო პიკე** („რენო“) გამოეთიშა.

რამდენიმე წრე პელოტონი პეისკარმა ატარა, რის შემდეგაც რბოლა ჩვეულ რეჟიმში განახლდა. მაგრამ ასფალტი სწრაფად შრებოდა და უკვე მეშვიდე წრეზე პილოტები ბოქსებში წვიმის საბურავების შესაცვლელად შევიდნენ. ვინც გარისკა და ეს პროცედურა სხვებზე ადრე გაიარა, მოგებული დარჩა: ფეტელი და ალონსო მეორე-მესამე პოზიციებზე გადავიდნენ. ჰემილტონი კი მეექვსეზე აღმოჩნდა, რაც მისთვის ტიტულის დაკარგვას ნიშნავდა. მის წინ დროული პიტსტოპების ოსტატი - **ჯანკარლო ფიზიკელა** („ფორს ინდია“) იდგა. რა თქმა უნდა, ბრიტანელისთვის ეს სიტუაცია კრიტიკული არ ყოფილა, მაგრამ ლუისი მაინც დისკომფორტს გრძნობდა, მით უმეტეს, რომ ფიზიკელა მას ცხრა წრის განმავლობაში აყოვნებდა. მაგრამ ეს ჩემპიონატის ინტრიგის შესანარჩუნებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. ჰემილტონმა გაასწრო იტალიელს და მისთვის სასურველ მეხუთე ადგილზე გადავიდა.

ამასობაში, ფეტელმა ყველას დაანახა, რომ სამი პიტსტოპის ტაქტიკა ჰქონდა არჩეული, რისი წყალობითაც, ჰემილტონმა კიდევ ერთი პოზიციით წაიწია წინ. მაგრამ „ტორო როსოს“ გერმანელი პილოტი მაინც ძალიან სწრაფი იყო და ნელ-ნელა ისევ დაეწია ლუისს. საერთო ჯამში, დაძაბული სტარტის შემდეგ, რბოლა ოდნავ მოსაწყენი სანახავი გახდა: მასა დამაჯერებლად ლიდერობდა, ალონსო („რენომ“ ბოლო რბოლებში არნახული პროგრესი განიცადა!) მეორე იყო, რაიკონენი - მესამე, ჰემილტონი - მეოთხე. ბრიტანელს თავისუფლად შეეძლო წინ გაეშვა ფეტელი. ამით მის სავარაუდო ჩემპიონობას საფრთხე არ შეექმნებოდა. მოკლედ, ყველაფერი სტაბილურად იყო.

მაგრას ეს სტაბილურობა ამინდის ახალმა პროგნოზმა დაარღვია - წვიმა ფინიშამდე ათი წრით ადრე. რბოლის შუაში და ბოლოს მოქცეულმა პილოტებმა გადაწყვიტეს, რომ რისკი საჭირო არ იყო და წვიმის პირველივე წვეთებიდანვე ბოქსებში შევიდნენ. ლიდერები როგორ მოიქნენ? ფინიშამდე ხუთი წრით ადრე, მათაც წვიმის საბურავებზე გადასვლა გადაწყვიტეს. სტატუს-კვო შენარჩუნდა? სულაც არა! გერმანელმა **ტიმო გლოკმა** („ტოიოტა“) საბურავების შეცვლა არ ისურვა და მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჰემილტონისა და ფეტელის დავა საჩემპიონო ბრძოლად გადაიქცა.

ასეთ სიტუაციაში ბევრი პილოტი ვერ გარისკავდა ჩემპიონობის პრეტენდენტზე იერიშის მიტანას, მაგრამ ფეტელი სხვაგვარად ფიქრობდა. ორი წრით ადრე, მისი შეტევა წარმატებით დასრულდა და ჰემილტონი მეექვსე ადგილამდე ჩამოქვეითდა, ეს კი მასას გაჩემპიონებას ნიშნავდა. ლუისმა გერმანელის დაწევა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ისე ჩანდა, რომ „მაკლარენის“ პილოტის საჩემპიონო ამბიციები სწორედ აქ დასამარდა.

პრინციპში, რბოლა ასეთი შედეგით რომც დასრულებულიყო, მის სიუჟეტს მაინც ფანტასტიკურად მონათლავდნენ. მაგრამ ფინიში კიდევ უფრო საინტერესო გამოვიდა. გლოკმა სველ ტრასაზე სიჩქარე დაკარგა და ფინიშამდე ორი მოსახვევით ადრე (მასას უკვე დასრულებული ჰქონდა რბოლა), ფეტელი და რაც მთავარია, ჰემილტონი გაატარა. ლუისმა სასურველი მეხუთე ადგილი, ფაქტობრივად, ფინიშის სწორზე დაიბრუნა! „ფერარის“ ბოქსებში დაწყებულმა ზეიმმა „მაკლარენის“ ბანაკში გადაინაცვლა.

ეს იყო წლევანდელი დაძაბული სეზონის ფანტასტიკური დასასრული. ასეთი რამ (ტიტულის მოპოვება ფინიშამდე ორი მოსახვევით ადრე) ფორმულა 1-ში არ მომხდარა! ბრაზილიის ეტაპი აუცილებლად შევა ისტორიაში და ის სამუდამოდ ემახსოვრებათ. „ფერარის“ გულშემატკივრები კი კიდევ დიდი ხანი არასასურველ კონტექსტში მოიხსენიებენ გლოკის გვარს...

მაშ ასე, ფორმულა 1-ის ახალი ჩემპიონი ჰყავს - ბრიტანელი ლუის ჰემილტონი.

**გია თვალაბეიშვილი**

### ბრაზილიის გრანპრი. XVIII ეტაპი

| ინტერლაგუში (71 წრე, 305.909 კმ) | |
|---|---|
| 1 (1). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | 1:34.11,435 (3 პიტსტოპი) |
| 2 (6). ფერნანდო ალონსო (რენო, ესპანეთი) | +13,298 (3) |
| 3 (3). კიმი რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | +16,235 (3) |
| 4 (7). სებასტიან ფეტელი (ტორო როსო, გერმანია) | +38,011 (4) |
| 5 (4). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +38,907 (3) |
| 6 (10). ტიმო გლოკი (ტოიოტა, გერმანია) | +44,368 (2) |
| 7 (5). ჰეიკი კოვალაინენი (მაკლარენი, ფინეთი) | + 55,074 (3) |
| 8 (2). იარნო ტრული (ტოიოტა, იტალია) | + 1.08,463 (2) |
| 9 (12). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | + 1.19,666 (3) |
| 10 (8). ნიკ ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | 1 წრე (3) |
| 11 (13). რობერტ კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | 1 წრე (3) |
| 12 (18). ნიკო როსბერგი (უილიამსი, გერმანია) | 1 წრე (3) |
| 13 (17). ჯენსონ ბატონი (ჰონდა, ბრიტანეთი) | 1 წრე (4) |
| 14 (9). სებასტიან ბურდე (ტორო როსო, საფრანგეთი) | 1 წრე (3) |
| 15 (15). რუბენს ბარიკელო (ჰონდა, ბრაზილია) | 1 წრე (4) |
| 16 (20). ადრიან სუტილი (ფორს-ინდია, გერმანია) | 2 წრე (3) |
| 17 (116). კაზუკი ნაკაჯიმა (უილიამსი, იაპონია) | 2 წრე (3) |
| 18 (19). ჯანკარლო ფიზიკელა (ფორს-ინდია, იტალია) | 2 წრე (3) |
| 19 (11). ნელსინიო პიკე (რენო, ბრაზილია) | 71 წრე (0) |
| 20 (14). დევიდ კულტჰარდი (რედ ბული, ბრიტანეთი) | 71 წრე (0) |

საერთო ჩათვლა: 1. ლუის ჰემილტონი - 98 ქულა; 2. ფელიპე მასა - 97; 3. კიმი რაიკონენი - 75; 4. რობერტ კუბიცა - 75; 5. ფერნანდო ალონსო - 61; 5. ნიკ ჰაიდფელდი - 60; 7. ჰეიკი კოვალაინენი - 53; 8. სებასტიან ფეტელი - 35; 9. იარნო ტრული - 31; 10. ტიმო გლოკი - 25; 11. მარკ უებერი - 21; 12. ნელსონ პიკე - 19; 13. ნიკო როსბერგი - 17; 14. რუბენს ბარიკელო - 11; 15. კაზუკი ნაკაჯიმა - 9; 16. დევიდ კულტჰარდი - 8; 17. სებასტიან ბურდე - 4; 18. ჯენსონ ბატონი - 3.

კონსტრუქტორთა თასი: 1. ფერერი - 172 ქულა; 2. მაკლარენი - 151; 3. BMW-ზაუბერი - 133; 4. რენო - 80; 5. ტოიოტა - 56; 6. ტორო როსო - 39; 7. რედ ბული - 29; 8. უილიამსი - 26; 9. ჰონდა - 14.




